

საქართველოს საბიბლიოთეკა

კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, პოპულარული
და მეთოდური ჟურნალი



“დედაენა” - 140

ინტეგრირებული
საბიბლიოთეკო სისტემა



N3 (64)-2016
ISSN 1512-0880



ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: გურამ თაყნიაშვილი
გულნარა სტურუა
მაია მიქაბერიძე
მირიან ხოსიტაშვილი
რუსუდან ასათიანი

ტექნიკური რედაქტორები: მანანა გაბარაშვილი
მარინე შარაშენიძე

დაკაბადონება: მარიამ ნათაძე

ყდის დიზაინი: გიორგი გელაშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა N4 (65) – 2016; გამოიცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ISSN 1512-0880
www.gela.org.ge

საქართველოს ბიბლიოთეკა №3 (64) - 2016

შინაარსი

საბიბლიოთეკო საქმის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის	2
რუსუდან ასათიანი კომპიუტერიზაციის მასშტაბური პროექტი	4
წიგნის ისტორია	
ნინო ხვედელიძე - წიგნის ბეჭდვა და საგამომცემლო პოლიტიკა საფრანგეთში მე-15-16 საუკუნეების მიჯნაზე.....	5
რუსთაველი - 850	
ბიძინა ნანობაშვილი - ერთი უცნობი ხალხური მოქმედის ლექსი რუსთაველს	9
ნანა მაღალაშვილი - რუსთაველი - 850 კათარზისში	10
დედაენა - 140	
გურამ თაყნიაშვილი - „დედაენის“ გამოცემები ავტორის გარდაცვალების შემდეგ	12
ბიბლიოთეკარის პროფესია	
გურამ თაყნიაშვილი - ბიბლიოთეკარის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის	16
საბიბლიოთეკო ფონდები	
ფერიდე კვაჭანტირაძე - გაფუფრთხილდეთ მემკვიდრეობას	19
საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები	
ირინა ალიაშვილი - ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა SIERRA-ს ტრენინგები ეროვნულ ბიბლიოთეკაში	21
კორესპონდენცია	
ნელი ხატიაშვილი - სოფლის ბიბლიოთეკა ხალხის სამსახურში	23
სოსო კოტორეიშვილი - წიგნი სამ განზომილებაში	24
მანანა საგანელიძე, მანანა ლომსაძე - ბიბლიოგრაფიული მუშაობის თავისებურებანი 42-ე ბიბლიოთეკაში	27
იური სიხარულიძე - ძმები გოგოლაძეების სამწერლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მღვაწეობის შესახებ	29
ციალა ნებიერიძე - შეათავსე წიგნი და კომპიუტერი	31
რეცენზია	
გიორგი გაბუნია - შეცდომაც არის და შეცდომაც!	32
დარეჯან ხვედელიძე - „სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონის“ შესახებ	33
გულნარა სტურუა - „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“	36
გურამ თაყნიაშვილი - ნაშრომი ადამიანის ადამიანურობის შესახებ	38
მოგონებები	
ელენე გუსევა - ვასილ ბარნოვის მოგონებები იაკობ გოგებაშვილის შესახებ	39
შოთა ზოიძე - მოძღვარი - (პ. ლორია - 120)	41
მეთოდური სამსახური	
გურამ თაყნიაშვილი - როგორ გავიგოთ ბიბლიოთეკების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი	42
ინტერვიუ	
ირინა ალიაშვილი - რეგიონების ბიბლიოთეკარები უცხოელი სპეციალისტის თვალთ	44
იუბილე	
ვულცავთ	46
გურამ თაყნიაშვილი - გულისა და გონების ერთიანობით	47
რევიუ	
დავით გიგინეიშვილი - ვერდის „მაკბეტი“ ვენის საოპერო სცენაზე	47
მკითხველის შემოქმედება	
პოეტის ბადაგისეული ხილვები	51
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა	52
ბიბლიოთეკართა საყურადღებოდ	54
ნეკროლოგი	
წარმატებული მღვაწეობის შეწყვეტილი ნაბიჯები	55

საბიბლიოთეკო საქმის თეორიული ბაზის მდგომარეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მას შემდეგ, რაც შეწყდა საქართველოში კადრების მომზადება და შეწყვიტა არსებობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრამ, აღარ ფუნქციონირებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი კურსები. დარგის თეორიული ბაზა საგრძნობლად შემცირდა, ფაქტობრივად, ამან გამოიწვია შემოქმედებითი მოღვაწეობის შენელება. გართულებულია თეორიული მოსახრებების გაცვლა-გამოცვლის პროცესი, ურთიერთინფორმირება, თეორიული ნაშრომების გამოცემა, უცხოელ კოლეგების სტატიების თარგმნა. ყოველივე ამის გამო, ცხადია, დარგში მოღვაწე სპეციალისტების პროფესიული დაოსტატება და განვითარება, საგრძნობლად შეფერხდება, თუ არ იქნა მიღებული საჭირო ზომები.

სადავო არაა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ბიბლიოთეკებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ დიდი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენში, საგულისხმოა პრეზიდენტის ინიციატივა - „ინტერნეტი სოფლის ყველა ბიბლიოთეკას“, რომლის განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (ასოციაციის პრეზიდენტი რ. ასათიანი), პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, რომელთა ინიციატივით სისტემატურად ტარდება ტრენინგები საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ბიბლიოთეკებისათვის.

ახალი ტექნოლოგიების გავრცელებასა და დანერგვაში, კადრების მომზადებასა და მათ გამოყენებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სწორედ თეორიული რესურსების გამოყენებას. არ კმარა სრულყოფილი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში მხოლოდ ტექნიკური ოპერაციების დაუფლება, თუ სპეციალისტი დაუფლებული არ არის ახალ მეთოდოლოგიას, საბიბლიოთეკო საქმის ყველა ციკლს, რაც აადვილებს პერსონალის გამოყენებას ყველა მიმართულებით, მათ მოძრაობას შიდა მენეჯმენტურ პროცესებში. იმის მიხედვით, თუ როგორი საჭიროება შეიქმნება ამა თუ იმ სიტუაციაში. ყოველივე ამის გარდა, ეს მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მოსამზადებლად, საერთოდ, დარგის განვითარებისათვის საქართველოში. მაღალკვალიფიციური საშტატო შემადგენლობა მოცემული ბიბლიო-

თეკის საერთო დონის ამაღლების საწინდარია.

როგორც წესი, ძველი თაობა, რომელიც ყოველმხრივ ფლობს საბიბლიოთეკო პროცესებს და ამავე დროს დაუფლებულია თანამედროვე ტექნოლოგიებს, ახალმა თაობამ უნდა შეცვალოს. ისინი უნდა ცდილობდნენ ყოველმხრივ დაეუფლონ საქმეს, შეისწავლონ თეორიული და მეთოდოლოგიური რესურსები. სწორედ ამ კუთხით უნდა ხდებოდეს მათი აღზრდა, განათლების მიღება, დახელოვნება. ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაუფლებული სპეციალურ ცოდნას, ამასთან, თუ არ არიან მონდომებულები პროფესიულ ცოდნას დაეუფლონ, თუ არ იცნობენ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებს, თუ არ გაითავისებენ დარგს და შემთხვევით საქმედ მიიჩნევენ მას, ამგვარი თანამშრომელი ვერ შეიქმნება ვერაზდროს პროფესიონალი, თუ ახალგაზრდა თანამშრომელი სერიოზულად მოეკიდება საქმეს, შეეცდება გააღრმავოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აიმაღლოს კვალიფიკაცია და მუშაობს ამ მიმართულებით, მისგან უეჭველად დადგება ისეთი პროფესიონალი, რომელიც წარმატებას აღწევს თავისი კარიერის გზაზე, ასეთი ფაქტები ჩვენს სინამდვილეში უამრავია და, რამდენადაც შეიძლება, მეტად უნდა შევუწყოთ ხელი მათ და დავეხმაროთ, მით უმეტეს, როცა არ ხდება სპეციალური კადრების მომზადება ოფიციალურად სახელმწიფოს დონეზე.

ამ კონტექსტში არ შეიძლება გამოკვეთილად არ აღვნიშნოთ საბიბლიოთეკო ასოციაციის მოღვაწეობა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზაციის საქმეში, (სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინგა ფილაური-ლორია), რასაც ხელს უწყობს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეფექტური მხარდჭერა, ამ კურსებზე სწავლების მოთხოვნილება თანდათან იზრდება, რაც ამ მიმართულებით ბევრ საზრუნავს უქმნის ასოციაციას, რასაც ჯერჯერობით თავს ართმევს, მაგრამ გასათვალისწინებელია ამგვარი საქმის შემდგომი გაფართოება და სისტემურობა, არ უნდა დავუშვათ დარგის ჩამორჩენა. პირიქით - ვიზრუნოთ მის აღორძინებაზე, რაშიც თეორიული როლი განუსაზღვრელია.

საბიბლიოთეკო საქმის ჩამორჩენა ქვეყნად წიგნიერების კულტურის დაქვეითებას იწვევს, რაც საერთო კულტურის დამუხრუჭების ფაქ-

ტორს წარმოადგენს. ამგვარ დასკვნას აკეთებენ მსოფლიოს განთქმული მეცნიერები და მძიმე შედეგს პროგნოზირებენ.

საქართველო უნდა ასცდეს ასეთ შედეგს, ვიფიქროთ, თუ როგორ მოხდეს ეს, რაა საჭირო ამისათვის, კერძოდ, რა შეიძლება გააკეთდეს უშუალოდ საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის მოცემულ ეტაპზე.

უპირველეს ყოვლისა, აღდგეს სპეციალისტების მომზადების პრაქტიკა - როგორი სისტემისაც არ უნდა იყოს ის. ამას სჭირდება საბიბლიოთეკო საზოგადოების განუხრელი და დასაბუთებული მოთხოვნა და ხელისუფლების ნება, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია, მაგრამ არ უნდა დაგვაკლოთ ხელი ცდას.

სავალდებულოდ იქცეოს იმ დებულებების აღსრულება, რომლებიც მოცემულია „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, მართალია, „კანონი“ საჭიროებს კორექტირებას, მაგრამ არა იმ ნაწილში, რომელიც საბიბლიოთეკო კადრების მომზადებას შეეხება, სამწუხაროდ, კანონის აღსრულება თანმიმდევრულად არ ხდება მრავალი ობიექტური მიზეზის გამო.

ყველა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს კადრების შერჩევისა და მიღების წესების დადგენილი ნორმები, როგორც წესი, მოითხოვოს ყველა ახალმიღებული თანამშრომლისგან ბიბლიოთეკაში მათი მანამდე მუშაობის დამადასტურებელი საბუთი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დამთავრების სერთიფიკატი.

საჭიროა შეიქმნას ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის სტრუქტურული ნაწილი იქნება, ასევე მიღწეულ იქნეს ამგვარი კურსების გახსნა სხვა ცენტრებშიც ერთიანი დოკუმენტაციის საფუძველზე. აუცილებლად ჩამოყალიბდეს ერთიანი მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პედაგოგთა სტატუსი და კვალიფიკაცია. მხოლოდ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის კომპეტენციით უნდა ხდებოდეს ყოველივე ეს.

როგორმე უნდა მოგვარდეს საბიბლიოთეკო კონცეფციის შექმნა. ჩვენმა ჟურნალმა დიდი ხნის წინ დასვა ეს საკითხი, მაგრამ აქამდე მას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

საჭიროა აღდგეს ე.წ. „ტექნიკური მინიმუმის“ კრებული გამოქვეყნება თანამედროვე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რაც გაუადვილებს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ტექნიკური პროცესებისა და ოპერაციების წარმოებას და სათანადო ცოდნის დაუფლებას. აუცილებლობას წარმოადგენს, აღდგეს

ტრადიცია საწავლო-მეთოდური და სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციების სისტემატურად გამართვისა. ამ მხრივ საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკას მდიდარი გამოცდილება აქვს, გამოქვეყნებულია არაერთი კრებული მოხსენებათა თეზისებისა და მასალებისა. ერთგვარ დადებით მაგალითს წარმოადგენს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებული „საბიბლიოთეკო კვირეულის“ შემაჯამებელი ღონისძიებები, როცა ხდება მოწინავე ბიბლიოთეკების გამოცდილების ანალიზი.

როგორც ცნობილია, სათანადო ღონისძიებების გამოცდილება თითქმის ყველა წამყვან დიდ ბიბლიოთეკას გააჩნია. ზოგ შემთხვევაში უცხოეთის სპეციალისტების მონაწილეობით იმართებოდა სემინარები, სესიები თუ კონფერენციები, ხდებოდა გამოცდილების გაზიარება. ამგვარ ღონისძიებებს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის გარდა, აწყობდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, გორის პედაგოგიური უნივერსიტეტის, ქუთაისის საჯარო, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკები. ცხადია, უდიდეს როლს ამ მიმართულებით ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა ასრულებდა, მათ მიერ გამოიცემოდა პროგრამები, თეზისები თუ „მასალების“ კრებულები. ამ ორგანიზაციების მიერ არაერთი მეცნიერული წიგნია გამოქვეყნებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები, მისასაღამებელია, რომ მოხდა შეწყვეტილი ტრადიციის აღდგენა, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი აქტიური მოქმედება ამ მიმართულებით.

რაც შეეხება ჩვენს ჟურნალს - „საქართველოს ბიბლიოთეკას“, ის მუდამ აქვეყნებდა და აქვეყნებს როგორც სამეცნიერო, ისე მეთოდურ მასალებს, რაც ერთგვარად ხელს უწყობს შესაბამისი თეორიული ბაზის გაფართოებას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

თუ მიღწეული იქნება ყოველივე იმის განხორციელება, რაც ზემოთ ითქვა, ეს იქნება გარანტი იმისა, რომ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმე აღორძინდეს და იმ ძალად იქცეს, რომელსაც ეყრდნობა ქვეყნის მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო პოტენციალი.

საბიბლიოთეკო საზოგადოებამ აქტიურად უნდა იზრუნოს ამისათვის. ითანამშრომლოს ყველასთან, ვინც ხელს უწყობს საბიბლიოთეკო თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებას.

ჩვენს ასეთიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

კომპიუტერიზაციის მასშტაბური პროექტი

2016 წელი იწურება. სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის მასშტაბურ პროექტს კიდევ 76 სოფლის ბიბლიოთეკა დაემატა. ამ ხნის განმავლობაში, პროექტმა თითქმის ყველა რაიონი მოიცვა. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია, ქვეყანაში ხომ 600-მდე ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, თუმცა იმედი მაქვს, რომ ცოტა ხანში კომპიუტერული პროგრამები ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება და ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერი ადამიანი დაუკავშირდება ციფრულ მსოფლიოს.

ხუვდიდი, ახალციხე, დმანისი, ახალგორი, დუშეთი, გარდაბანი, თიანეთი... - ეს იმ რაიონების მცირე ჩამონათვალია, სადაც კომპიუტერები ჩავიტანეთ და ინტერნეტი ამუშავდა. თუმცა ეს ყველაფერი არაა. წელს 76-ივე ბიბლიოთეკარი გადამზადდა კომპიუტერულ პროგრამებში.

მთელი ზაფხული ბიბლიოთეკარებთან ერთად დაუდალავად ვიშრომეთ; მაშინ, როცა ყველა შვებულებაში იყო გასული და ისვენებდა, ეროვნული ბიბლიოთეკის „ლიბერთი“ დარბაზში ტრენინგებს ვატარებდით სოფლის ბიბლიოთეკარებისთვის. ტექსტის აკრეფა, ცხრილებზე მუშაობა, ბროშურების, ფლაერების და სავიზიტო ბარათების დამზადება, პრეზენტაციების მომზადება, ბიბლიოთეკარის ელექტრონული დღიურის წარმოება, დიაგრამების გაკეთება, Survey Monkey-ში გამოკითხვის გაკეთება და სტატისტიკის დამუშავება, სრული სარეკლამო კამპანიის წარმოება, ადვოკატირება - ეს იმ პროგრამების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ბიბლიოთეკარებმა შეისწავლეს. მათ შორის 15 ბიბლიოთეკარი გადამზადდა, როგორც ტრენერი. ისინი ახლა ვალდებულები არიან, ტრენინგები თავიანთი რაიონის მასშტაბით ჩატარონ და წარმატებითაც ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

მიხარია, რომ იდეა, რომელიც თავიდან არარეალურად გვეჩვენებოდა თავისი სირთულის გამო, რეალობაში განხორციელდა. მაღალმთიან სოფლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში,



ყველგან, სადაც კი თუნდაც ერთი ადამიანია, რომელსაც ინფორმაცია სჭირდება და სწავლა სურს, ინტერნეტი და კომპიუტერი უკვე ხელმისაწვდომია. მიხარია, რომ ბიბლიოთეკარები დროს არ კარგავენ და უკვე დაიწყეს ისეთი სერვისების შეთავაზება მომხმარებლისთვის, როგორცაა კომპიუტერის უფასო კურსები და სხვა.

როგორც იცით, აღნიშნულ პროექტს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტრადიციულად, კომპანია beyond Access-თან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად ახორციელებს.

ამ შურნალში თქვენ წაიკითხავთ უკრაინელი ტრენერის, ლიუბოვ კასიუკის, ინტერვიუს, რომელშიც ის განვლილი ზაფხულის ტრენინგების სერიაზე, ქართველ ბიბლიოთეკარებსა და თანამედროვე ბიბლიოთეკის სტანდარტებზე საუბრობს. ასევე გაეცნობით ძალიან ბევრ საინტერესო მასალას, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში გამოგადგებათ.

ნივნის ისტორია

ნიმო სვლეციძე

ნივნის ბეჭდვა და საგანმრისიველო პოლიტიკა საფრანგეთში
მეთხუთმეტი-მეთექვსმეტი საუკუნეების მიჯნაზე


მეცამეტე საუკუნიდან საფრანგეთში ხელნაწერი წიგნები იქმნებოდა ეკლესია-მონასტრებსა და გადამწერთა სამოქალაქო სახელოსნოებში, სადაც კალიგრაფები, მხატვრები და ამკინძავ-დამყდაველები გასაყიდად ამზადებდნენ წიგნებს. მისი შექმნის პროცესი კორპორაციულ საწარმოებში მნიშვნელოვნად პროდუქტიული იყო, თუმცა წიგნების რაონებობა მაინც ვერ აკმაყოფილებდა კითხვის მსურველთა მოთხოვნილებას. ევროპის სხვადასხვა ქალაქში მრავალი მესტამბე ცდილობდა ეპოვა მარტივი და იაფი მეთოდი წიგნის ასლების დასამზადებლად.

ბეჭდური წიგნის შექმნის შესახებ ცნობა გერმანიიდან გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის უპირველესი საფრანგეთი იყო. 1458 წლის 3 ოქტომბერს საფრანგეთის მეფემ კარლ VII-ემ გასცა ბრძანება: ქალაქ მაინცში მიეველინებინათ გრაფიორი, რომელიც გუტენბერგისაგან წიგნების გამრავლების ახლადგამოგონილი მეთოდის საიდუმლოებას შეისწავლიდა და სამშობლოში ჩამოიტანდა. ამ მისიისათვის შეირჩა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი და კალიგრაფი ნიკოლა ჟანსონი (1420-1480). იგი მეფის კარზე მსახურობდა მონეტებისა და სამკერდე ნიშნების გრაფიორად. ახალგაზრდა ფრანგი მაინცში 1459 წლის დასაწყისისთვის ჩავიდა, წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და სრულყოფილად შეისწავლა, მისი თქმით „შავი ხელოვნება“. ამასობაში, 1461 წელს საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა ლუდოვიკო XI - წინამორბედის ყოველგვარი წამოწყებისადმი მტრულად განწყობილი მონარქი. სავარაუდოდ, ამ მიზეზის გამო, ნიკოლა სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად იტალიაში გაემგზავრა და საფრანგეთმა დაკარგა პოლიგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

საფრანგეთში გადამწერთა და წიგნით მოვაჭრეთა მიერ გაჩაღებული დიდი კონკურენციის გამო „გუტენბერგის შვილებად“ წოდებული სტამბის მუშაკებიდან იქ არავინ ჩასულა, თუ არ ჩავთვლით იოჰან ფუსტს (1400-1466), რომელმაც პარიზში საკუთარი გამოცემები ჩაიტანა. ფუსტის წარმატებამ გაანაწილა

პარიზელ გადამწერთა მრავალრიცხოვანი არმია. მათ განიზრახეს წიგნითმოვაჭრისა და მისი გამოცემების დაპატიმრება. პირველმეტყველად მსურველი ლუდოვიკო XI გამოექომაგა და გამოცემებიც განადგურებისაგან გადაარჩინა.

საფრანგეთში პირველი სტამბის დაარსება, შედარებით გვიან, მხოლოდ 1470 წელს, ლუდოვიკო XI-ის (1461-1483) მმართველობის დროს მოხერხდა. იმ დროისათვის მთელი საფრანგეთი გაერთიანებული იყო ძლიერი სამეფო ძალაუფლების ქვეშ. საზოგადოებაში ცოდნის წყურვილი თანდათან მატულობდა, მაგრამ წიგნის მაღალი ფასი სერიუზულ პრობლემას წარმოადგენდა. სორბონის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის - გუილიამ ფიშეთისა (1433-1480) და მისი კოლეგის რობერტ გაგუინის (1433-1501) მიწვევით 1469 წელს პარიზში მიუნსტერიდან ჩავიდა სამი გერმანელი მესტამბე - ულრიხ გერინგი, მიქაელ ფრიბურგერი და მარტინ კრანცი. პირველმეტყველებმა სტამბა უნივერსიტეტის



Liber epistolarum 1470

ერთ-ერთ დარბაზში გამართეს. მათი ძალისხმევით საფრანგეთში 1470 წელს გამოიცა მოძრავი ლიტერებით ნაბეჭდი პირველი წიგნი - გასპარენო დე ბერგამოს (1360-1431) „წერილები“ - „Liber epistolarum“. 1470-1474 წლებში მესტამბეებმა დაბეჭდეს 22 დასახელების წიგნი. საწარმო, რომელსაც უნივერსიტეტი აფინანსებდა, დაიხურა და 1477 წელს პირველმბეჭდავები იძულებულნი იყვნენ სორბონა დაეტოვებინათ. გაჩნდნენ სხვა მესტამბე-გამომცემლებიც: პასკე ბონო, რომელმაც 1477 წელს გამოსცა პირველი ფრანგულენოვანი წიგნი - „დიდი ფრანგული ქრონიკები“ - „Grandes Chroniques de France“ და ანტუან ვერარდი (1485-1512) - საგმირო რომანებისა და პოეტური კრებულების გამომცემელი. კალიგრაფისტი და მინიატურისტი ვერარდი 1450-1512 წლებში ცხოვრობდა პარიზში, სადაც მან დააარსა საკუთარი სტამბა და შემოიღო შრიფტი ე.წ. ბატარდი, რომელიც ფრანგულ ხელნაწერ შრიფტს წააგავდა. მეოქვსმეტე საუკუნეში საფრანგეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ილუსტრირებული ქრონიკები და საგმირო რომანე-

ბი, რომელთა შორის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ ვერარდის გამომცემები.

მეთხუთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში საფრანგეთის საუკეთესო მესტამბეებმა თავი მოიყარეს ლიონში, სადაც პირველი წიგნი გამოსცეს 1473 წელს. აქვე ჩამოაყალიბეს მესტამბე-გამომცემელთა ამხანაგობა. საუკუნის მიწურულს ლიონში ორმოცდაათამდე სტამბა ფუნქციონირებდა. 1487 წელს პიერ დე რუჟემ გამოსცა იმ დროინდელ საფრანგეთში ყველაზე ლამაზად გაფორმებული წიგნი - „დედა ისტორიის“ ორტომეული.

საფრანგეთის წიგნის ბეჭდვის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს პარიზელ მესტამბე-გამომცემელთა უძველესმა და ცნობილმა ეტიენების ოჯახმა. თავისი საქმიანობით მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ პოლიგრაფიულ წარმოებაში, არამედ წიგნის ბაზრის შექმნაში. ეტიენების საგამომცემლო სახლის დამაარსებელი გახლდათ ანრი ეტიენი (1465/70-1520). მან პირველი წიგნი - არისტოტელეს „ეთიკა“ 1502 წელს დაბეჭდა. რთული საგამომცემლო პოლიტიკის მიუხედავად, ანრი ეტიენმა სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით 140 რელიგიური, ასტროლოგიური და ფილოსოფიური შინაარსის წიგნი გამოსცა. საგამომცემლო სახლს ფილიალები ჰქონდა ლიონში, პარიზსა და ჟენევაში (1502-1660), სადაც ამ გვარის ხუთი თაობა მოღვაწეობდა. მათ შექმნეს არაჩვეულებრივი ბერძნული ე.წ. სამეფო შრიფტი. გამომცემებისათვის ასო-ნიშნებს ცნობილი შრიფტჩამომსხმელი - კლოდ გარამონი (1499-1561) ამზადებდა. ეტიენები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ტექსტის რედაქტირებას. კითხვის გამარტივების მიზნით, უარყვეს ტექსტში სიტყვათა შემოკლებები, რაც იმდროისათვის დადგენილ ნორმად ითვლებოდა. მრავალ ენაზე ბეჭდავდნენ რელიგიური, ასტროლოგიური და ფილოსოფიური შინაარსის წიგნებს, ცნობილ მწერალთა თხზულებებს კომენტარებით, ბიბლიის სახელმძღვანელოებს, ფუნდამენტურ ლექსიკონებს. საგამომცემლო სახლმა გამოსცა დაახლოებით 2000-მდე დასახელების წიგნი არაჩვეულებრივი სატიტულე ფურცლითა და ორიგინალური საგამომცემლო მარკებით.

1510 წლისთვის პარიზში ორმოცდაათამდე სტამბა ფუნქციონირებდა. წიგნის ბეჭდვის ხელოვნება თითქოსდა ნაყოფიერ ნიადაგზე ვითარდებოდა, მაგრამ სინამდვილეში საფრანგეთში ათწლეულების მანძილზე სასტამბო საქმის შეხედულებისათვის მთელი რიგი დონისძიებები გატარდა. ბეჭდურ წიგნთან ბრძოლა კათოლიკური მრწამსის მცველთა



Grandes Chroniques de France



ეტეინების საგამომცემლო სახლის ფასადი

სადმროს ღოზუნგს წარმოადგენდა.


მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში წიგნის ბეჭდვას სამეფო ხელისუფლება მფარველობდა. 1513 წელს ლუი XII-ემ განსაკუთრებული აქტის გამოცემით ხაზი გაუსვა წიგნის ღვთაებრივ წარმოშობას და მის სარგებლობას კათოლიკური ეკლესიისათვის. ამის მიუხედავად, პოლიგრაფიულ მრეწველობას აფერხებდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესები. პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გარდა, პროტესტანტული მოძრაობისა და რელიგიური დაპირისპირების გამო ქვეყანაში მდგომარეობა უფრო დამძიმდა. 1521 წლის 18 მარტს გამოიცა სამეფო გან-

კარგულება, რომელსაც პაპის მიერ შედგენილი აქტი დაედო საფუძვლად. ამ დოკუმენტით აიკრძალა წმინდა წერილის თემაზე შექმნილი ნებისმიერი ტექსტის გამოცემა და რეალიზაცია უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე. ამავე წლის 13 ივლისს ძალაში შევიდა პარლამენტის დადგენილებაც, რომელიც მოითხოვდა გამოსაცემად გათვალისწინებული რელიგიური შინაარსის ტექსტების სამეცნიერო შესწავლას უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ. ეს იყო ცენზურის შემოღების პირველი წინაპირობა. მრჩეველთა საბჭოს დასტურის გარეშე აიკრძალა ნებისმიერი ტექსტის ბეჭდვა. ერთის მხრივ, უნივერსიტეტმა ყოველგვარი გადასახადებისაგან გაათავისუფლა ბეჭდური პროდუქცია, სასტამბო შრიფტები და საღებავები, მაგრამ, მეორეს მხრივ, მუდმივად მეთვალყურეობდა წიგნის ბეჭდვის საქმეს და მესტამბე-გამომცემლებს მკაცრ შეზღუდვებს უწესებდა. დიდი სიმკაცრით მოქმედებდა წიგნი მისი გარეგნული, შინაარსობრივ, რედაქტორული და კორექტორული თვალსაზრისით. უნივერსიტეტმა დანიშნა ინსპექტორები. მათ ევალებოდათ ზედამხედველობა გაეწიათ ნაბეჭდი პროდუქციისათვის და არ გაპარვოდან შეცდომები. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში სტამბის მუშაკებს სოლიდური ჯარიმები ეკისრებოდათ. ანადგურებდნენ წიგნებს, რომლებიც დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა. ასეთი ანგარიშსწორებისაგან არავინ იყო დაცული. სხვისი შეცდომების გამო დასჯისაგან თავის დასაცავად კორექტორები და რედაქტორები მათ მიერ გასწორებულ ყოველ ფურცელს აწერდნენ ხელს. მესტამბეებს ჩამოართვეს

უფლება თვითონ განესაზღვრათ ნაბეჭდი პროდუქციის ფასი.


ანრი ეტიენის შვილმა რობერტ ეტიენმა 1523 წელს შესწორებული ტექსტითა და განმარტებებით გამოსცა „ბიბლია“ და „ახალი აღთქმა“, რითაც გაანაწიენა სორბონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველო პროფესორები. თავისი გამოცემის დასაცავად რობერტ ეტიენი დისკუსიაში ჩაერთო პროფესორებთან, რომლებიც განაცვიფრა თავისი ერუდიციით და

© I.H.R.P. - Musée National de l'Éducation



სორბონა. პარიზი XVI საუკუნე.

Le Collège de Sorbonne en 1550



FRANCIS I WAITS FOR ROBERT ESTIENNE. — Page 168.

*მეფე ფრანცისკ I რობერტ ეტიენთან
საგამომცემლო სახლში*

ორივე წიგნს წარმატებულად დაუმკვიდრა ადგილი სასულიერო გამოცემებს შორის.

მეფე ფრანცისკ I და მარგარიტა ნავარელი ხშირად სტუმრობდნენ საგამომცემლო სახლს. მეფემ რობერტ ეტიენს უბოძა სამეფო მბეჭდავის წოდება ლათინურ, ძველ ებრაულ და ძველ ბერძნულ ენებზე.

1550 წელს, რობერტ ეტიენმა დაბეჭდა „ახალი ალექსის“ ახალი გამოცემა. მისი მფარველი მეფე უკვე გარდაცვლილი იყო. ტახტის მემკვიდრე, ჰენრიხ II კი სორბონელი მეცნიერების მხარდამჭერი გახლდათ.

1551 წელს სორბონელებისაგან დევნით გადაღლილი რობერტ I ეტიენი გამძაფრებული კათოლიკური რეაქციისაგან თავის დასაღწევად ჟენევაში გაიქცა, სადაც დააარსა სტამბა.

პერგამენტისა და ქაღალდის ფასებზე უნივერსიტეტის კონტროლი იყო დაწესებული, ხოლო წიგნით მოვაჭრეებსა და წიგნის ფასებზეც მეთვალყურეობის გაწევა ინსპექტორებს ევალებოდათ.

განსაკუთრებული წესების გამო რედაქტორები, კორექტორები, შეგირდები და დამხმარე მუშები მესტამბე-გამომცემლებთან ცხოვრობდნენ.

მომავალი სტამბის მუშაკები ან წიგნის გამყიდველები იძულებულნი იყვნენ ოთხი წელი ესწავლათ და შემდეგ, სამი წელი ემსახურათ; ამასთანავე, მათ უნდა წარედგინათ ლათინური და ბერძნული ენების, რელიგიური კანონებისა და მორალური წეს-ჩვეულებების ცოდნის მოწმობა და გამოცდაზე მოეპოვებინათ გამომცემლთა ხმების ორი მესამედი.

1545 წელს გამოვიდა პირველი ფრანგული აკრძალული წიგნების ინდექსი. 1551 წელს კოდები მიანიჭეს ბეჭდვის შესახებ ყველა წინა რეზოლუციას და იმავე დროს, ქვეყანაში კალვინისტური ნაშრომების შეღწევისაგან დასაცავად, აკრძალეს ბეჭდური პროდუქციის შეტანა ჟენევიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან.

ფრანსუა I ვალუას (1494-1547) მეფობის პერიოდში (1515-1547) პარიზში სტამბების რიცხვი თორმეტამდე შემცირდა. სტამბის მუშაკები გაიფანტნენ და სხვადასხვა სამუშაოთი დასაქმდნენ, ზოგი მათგანი სამუშაოს საძებნელად ქვეყნიდან გადაიხვეწა. საფრანგეთში საგამომცემლო საქმიანობას მხოლოდ რამდენიმე მესტამბე-გამომცემელი აგრძელებდა.

ასეთმა რეპრესიულმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საფრანგეთში პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარება. ამ ვითარებაში გამოიწვია სტამბების დაარსება ქვეყნის ფარგლებს გარეთ: სტრასბურგში, ბაზელსა და ანტვერპენში, სადაც იბეჭდებოდა საფრანგეთში აკრძალული ლიტერატურა, კათოლიკური ეკლესიისა და მონარქიის წინააღმდეგ მიმართული რეფორმატორული თხზულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лазурский. В. В. Альд и Альдины. - М. : Книга, 1977 (Тип. N5 „Союзполиграфпрома“). - 116 с.
2. Книговедение : Энцикл. словарь / Редкол. Сикорский Н. М. (гл.ред.) и др.. - М. : Сов. энцикл., 1982 (Тип. N1). - 617 с.
3. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т. 1- / Ф.И. Булгаков. - Санкт-Петербург : А.С. Суворин, 1889.- 142 ст.
4. Щелкунов М.И., История, техника, искусство книгопечатания. - М/Л. - Гос. Издательство. -1926. - 125 ст.

რუსთაველი - 850

რუსთაველის გენიალური პოემის არაერთი ინტერპოლაციაა ცნობილი; ასევე უამრავი ლექსია მიძღვნილი სახალხო მოქმედების მიერ, რომელთა ვინაობა უცნობია და მათი ქმნილებები ხალხურ შემოქმედებას შერთვია. ამის კვლევა ყოველთვის მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს. ბევრი მათგანია უეტყველად მიუკვლეველიც, ზოგი - გამოუქვეყნებელიც. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, რა ადგილი უჭირავს რუსთაველს ხალხის გულში. ამ შემთხვევაში, ცხადია, ყოველგვარ ახალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ჩვენი ყურნალი დაინტერესდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ბიძინა ნანობაშვილის წერილით, რომელიც გვაცნობს აქამდე ერთ-ერთი უცნობი ხალხური მოქმედის ლექსს, რომელიც აქამდე არსად გამოქვეყნებულა. ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ხსენებული წერილის მოკლე ფრაგმენტებს.

ბიძინა ნანობაშვილი

ერთი უცნობი ხალხური მოქმედის ლექსი რუსთაველს


მეტად საყურადღებო მასალებს მივაკვლიე დამსახურებული პედაგოგის - დიმიტრი გონაშვილის საოჯახო არქივში. „მამულის სიყვარულის მასწავლებელს“ უწოდებდნენ მას სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ბორჯომის რაიონის სკოლებსა და ცხინვალის პედინსტიტუტში. ბატონ დიმიტრის იშვიათი შრომისმოყვარეობით უგროვებია ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მათ შორის - „ვეფხისტყაოსანზეც“. მართალია, შეკრებილი მასალის ერთი ნაწილი ცნობილია, მაგრამ არის ჯერ გამოუქვეყნებელი უცნობი შემოქმედებითი ნიმუშებიც...

2003 წლის ზაფხულში, როცა დიმიტრი გონაშვილი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, მისმა ქალიშვილმა, ჩემი უფროსი მეგობრის - ჰამლეტ გონაშვილის დამ - საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა, ჯულიეტა გონაშვილმა არქივის მოსაწესრიგებლად სოფელ ანაგაში მიმიწვია. ოთახში შესვლისთანავე დავინახე სულმნათი რუსთაველის სურათი, რომელიც კედელზე იყო გამოკიდებული. ქალბატონმა ჯულიეტამ მამცნო, რომ ეს სურათი მამამისის დახატული იყო.

საარქივო მასალებში ბევრი რამ იყო საინტერესო, მაგრამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დღემდე დაუბეჭდავმა ლექსმა, რომელიც რუსთაველს ეძღვნებოდა. მოქმედის ვინაობა ვერ დავადვინეთ. მას-

აი, ეს ლექსი:

რუსთაველო, ხალხის გულში
შენ უკვდავი ხარ მგოსანი,
სიბრძნით ნაქსოვ ლექსის თქმაში
უდიდესი ხელოვანი.
დაგვიწერე, მთელ მსოფლიოს
უძღვენ „ვეფხისტყაოსანი“ -
ყველა მწიგნობარისთვის
ოქროთ სავსე კიდობანი.
შენ ამ ძვირფას ნივთთა ჭურჭლის
ზღვაში ჩასდგი საძირკველი,



პინქელმა მხოლოდ ის მითხრა, რომ ეს ლექსი რომელიდაც ჩვენებური სახალხო მოქმედის მიერაა შექმნილი.

თავზედ ნისლი ეხვეოდა,
ძნელი იყო გასავლელი,
უამრავი დაბრკოლება
ნახე, გქონდა განსაცდელი,
მაგრამ შეუდარებელი
ყველგან დარჩი წარუშლელი.
გენიალური ქმნილება -
რვაასი წლის მოსდევს გზასა,
შენზედ უწინ მასზე ბრძნული
არ წარმოუთქვამს ენასა,

გმირები შეხედნენ დევ-ქაჯებს
და იბრძოდნენ კლდოვან მთასა,
რუსთაველო, შენი გარჯა
სიდიადით სწვდება ცასა,
დიდება შენდა მგოსანო,
შენს ხელში კალმის ჭერასა,
გენიოსურ კალმის მოსმით
აფორიზმების წერასა.
შენნაირ გმირთ-გმირის აღზრდა
სხვევია ქართველის კერასა,
ხალხისთვის მზრუნველი კაცი
უკეთეს იზამს ვერასა.
შენ ხარ თანმხლები ბუნების
და მისი ძალის მფლობელი,
თვით შემოქმედი კეთილის
და ბორბების მგმობელი,
ბუნების უხვი ჯილდოთი
მდიდარ პოემის მშობელი,
უჭკნობი ნაყოფითა ხარ
სამშობლოს შემამკობელი.
ნაჩვევია ეს ქვეყანა
აღვის ხის ნაზარდობასა
და მასში არის ცხოვრება
ხეხედ ფოთოლთა წყობასა,
როს ხარობს ზედა ფოთოლი,
ქვედა ეძლევა ჭკნობასა,
შოთავ, შენ მოგვეც ნაყოფი,
რაც იჩენს უხრწნელობასა.
ყურსა უპყრობდე, მკითხველო,
ამ ჩემსა მოწოდებასა,
თუ გინდა სრულად იცნობდე
რუსთაველის შემეცნებასა,
მის ქნარში უცნობს ნუ დასტოვ
ნურც ერთ ასოსა წყებასა,

რა შეასრულებ ჩემს თხოვნას,
შოთავს შეუთვლი ქებასა.
„ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა
კაცს მისცემს გამდიდრებასა,
შეუგნებელ და უმეცარ
კაცს მისცემს შემეცნებასა,
„თინათინ ადგა, მოვიდა,
მოჰყვა მამისა ნებასა:
უგავს პირისა სინათლე
მთვარისა მოვანებასა“ -
ძველადაც, როცა ეს ლექსი
ვისმეს ყურს შეასმებოდა,
უმაღვე წიგნის ცოდნისა
სურვილი აღეძვრებოდა,
ბევრი თუ ამას შესძლებდა,
ზოგი ვერ შააწვდებოდა
და მაინც ბრძნული აზრები
მეტ-ნაკლებ გულში რჩებოდა.
როცა მშრომელი მუშაკი
მონობით იჩაგრებოდა,
იმ ჩაგრულს შენი სიტყვები
გულს წამლად დაედებოდა,
თუნდაც სცოდნოდა, დღეს თუ ხვალ
უთუოდ გარდიცვლებოდა,
შენს სიტყვებს მოიგონებდა
და კვლავაც გამხნევებოდა.
ამ მხრივ შემატე სახელი
ძველადვე საქართველოსა,
ათასნაირად შემკობილს,
სიმდიდრით სასახელოსა.
შენი ნაყოფი ხელთ შერჩა
მშრომელთა სამფლობელოსა,
იგი გადგიხდის მგოსანო,
ღირსეულ გასამრჯელოსა.

ნანა ბალანაშვილი

რუსთაველი - 850 კატარგისში

2 ივნისი. „კატარგისის“ ბიბლიოთეკა
ნელ-ნელა ივსება ბენეფიციარებით. ბიბ-
ლიოთეკის სალონი „საპოვნელა“ მორიგ
საღამოს - „რუსთაველი - 850“-ს მართავს.
ბიბლიოთეკის მკითხველები მოუთმენლად
ელოდნენ სტუმრებს. და აი, ისინიც გამოსწ-
ნენ. რუსთაველის საზოგადოების წარმომად-
გენელი ქ-ნი ლალი მიქაძე, მწერლები: ნაპო
(გიორგი) კაკრიაული, ისტორიკოსი-მწერალი
დრამატურგი მერაბ მოდებაძე, ტარიელ მუშ-
ლაძე, ლიტერატურის მუზეუმიდან ქ-ნი ლიანა
წერეთელი (ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი), საღამო არც ქალაქის მერიამ დაგ-
ვიტოვა უყურადღებოდ და ქ-ნი ნანა კაჭარავა

წარმოგვიდგინა.
საღამოს ხსნის და თავად წარმართავს სა-
ლონი „საპოვნელას“ ხელმძღვანელი ლილი
გორდელაძე, რომლის სიტყვამ მოიცვა X-XI
და XII-XIII საუკუნეები, რუსთაველის ეპოქა
და საქართველოს ისტორია. რაღაც საოცრად
უხამებდა სხვათა გამოსვლებს, და ახალ-
ახალ მკითხველს ისე წარმოადგენდა მსმე-
ნელის წინაშე. საინტერესო იყო პროფესიით
მათემატიკოსის, მწერლის, პოეტისა და პუბ-
ლიცისტის ბ-ნი ტარიელ მუშლაძის გამოსვ-
ლა, რომელმაც თავისი სიტყვა რუსთაველის
ვინაობის დადგენას მიუძღვნა. ქ-ნი ლილიმ
ასევე მსმენელს აუწყა, რომ ბ-ნი ტარიელი,

ფაზისის აკადემიის წევრი და აკადემიკოსი რუსთაველის იუბილეს ხედება წიგნით „ქართველთა მახარნი“, რომელიც პრემიის მოსაპოვებლადაა წარდგენილი.

სადამო გრძელდება. ქ-ნი ლილი მკითხველს აცნობს ახლახან გამოქვეყნებული ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“, არეოპაგიტული პრობლემების კვლევის სამეცნიერო ცენტრისა და ნიუ-იორკის (აშშ) ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ სახელით ქ-ნი დენიზა სუმბაძის წერილს, მიმართულს მსოფლიო პატრიარქის, მის ყოფილადუწმინდესობის ბართლომეოსისადმი და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილისადმი.

წერილი აუწყებს ქართველი ხალხის ოცნებას, რათა მსოფლიოს პატრიარქმა აღადგინოს, ქრისტიანობის სჯულის კანონის თანახმად, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერსა და სხვა სამლოცველოებში ქართული წირვა-ლოცვა. ასევე ჯვრის მონასტრის მიმდებარედ შეიქმნას სამი მემორიალური ხეივანი სკულპტურული კომპოზიციებით: დიდი პეტრე იბერიელის - ქართველთა ჯვრის მონასტრის დამაარსებლის, დიდი რუსთაველის, რომლის პირველი მოსახსენიებელი ალაპიცი დაწესდა ჯვრის მონასტერში, როგორც თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესისა და დიდი თამარ მეფის, რომლის წმინდა ნაწილებიც განისვენებს იერუსალიმში. ამრიგად ქართველ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, მუხლი მოიყაროს მათ საფლავებთან და ასევე ქართულ ეკლესიას უნდა მიეცეს საშუალება, უწყვეტად აღავლინოს თავისი მისია მათ მოსახსენიებლად.

სადამო ისევ გრძელდება და ქ-ნი ლილი მსმენელის წინაშე წარადგენს ბიძინა ნანობაშვილს - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ეთნოგრაფსა და პროფესორს, რომელმაც უამრავი ხალხური თვალ-მარგალიტი მოიძია და ვრცლად ილაპარაკა ხალხურ „ვეფხისტყაოსანზე“ და ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ახლახან გამოცემული წიგნიც „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხალხური ვერსია“. ამასობაში ქ-ნი ლილი „ეფხისტყაოსნის“ ზეპირ მოქმედებს, „კათარზისის“ თეატრ „ნოსტალგიის“ მსახიობს, დარიკო დარიბაშვილს, ხალხურ მოქმედს მხატვარ იოსებ ხუცურაულსა და



მშენებელ-მომდერალ ბენეფიციარს, თეიმურაზ კერესელიძეს უხმობს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო მეტად ფლობდა ზეპირად „ვეფხისტყაოსანს“.

სადამოს მსვლელობას მწერლები ნაპოკაკურიაშვილი და მერაბ მოდებაძეც უერთდებიან. ბ-ნმა მერაბმა „ვეფხისტყაოსანი“ დრამატურგიაში წარმოადგინა. პიესა, რომელიც რუსთაველის პრემიაზე იყო წარდგენილი. მწერლებს არც ბენეფიციარები ჩამორჩნენ და სიტყვა ითხოვა ზაურ ოტიაშვილმა. მან მსმენელებს აუწყა, რომ 1966 წელს მისმა ძმამ და მისმა ორმა მეგობარმა 19 წლის ყმაწვილებმა გამოძერწეს რუსთაველის ბიუსტი და აიტანეს მწვერვალ უშბაზე.

სადამოს მშვენება იყო გამოფენა თვალმარგალიტში ამღერებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მოამზადეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა ნიკო მუმლაძემ და რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარმა ლილი გორდელაძემ. რუსთაველის გენიამ გაიელვა არა მარტო როგორც მსოფლიო პოეზიის გვირგვინმა, არამედ მრავალი მეცნიერების მიჯნაზეც - ასტრონომიის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და სხვათა მიმართულულებებითაც. ბატონმა ნიკომ, როგორც სილიკატური მეცნიერების წარმომადგენელმა, ვრცლად გააშუქა: კერამიკა, ბროლი, მინანქარი და სხვათა მასალების წარმოქმნის საკითხი ვეფხისტყაოსანში. მან მკითხველს აუწყა და წარმოადგინა რამდენიმე სტროფიც, სადაც ძვირფასი ქვებია ნახსენები. მაგალითისათვის მოიყვანა რამდენიმეც:

„დავჯე, რუსთაველმა გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ სობილი,

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტად წყობილი“.

ანდა „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და

კალმად მე ნა რხეული“ - მრავალი ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ამ გენიალურ პოემაში 25-ჯერ არის ნახმარი მარგალიტი, 18-ჯერ გიშერი და ა.შ. ასევე საინტერესოა, თუ რა ფერისაა ან რა არის ამარიტი, რომლის შესახებაც დადგინდა კვლევების შედეგად, რომ იგი ქვია და არის ყვითელი ფერის.

დასასრულს, ბევრმა ბენეფიციარმა ითხოვა სიტყვა. მათ შორის იყო ყოფილი ჟურნალისტი ნანა მაღალაშვილი, რომელმაც ილაპარაკა თავისი გვარის როლზე „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთა შორის.

საღამო დასასრულს მიუახლოვდა. მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა (3 საათნახევარი) არავის უნდოდა საღამოს დასრულება.

ბოლოს სიტყვა ითხოვა რუსთაველის საზო-

გადოების წარმომადგენელმა, ქნმა ლალი მიქაძემ. თავისი აღფთოვანება ვერ დამალა, რომელიც ასე გამოხატა: „მე არ მეშინია უკვე სიბერის. რაც აქ ვიხილე, ეს მოლოდინს აჭარბებს. უღრმესი მადლობა იმ სიბოლსა და სიყვარულისთვის, რაც თქვენში დავინახეთ. თუ შეიძლება, ქნო ლილი, გეამბორებით და ერთხელ კიდევ დიდი მადლობა ასეთი შემართებისათვის“.

ახლა კი, მეც მომეცით ნება, ვეფხისტყაოსნიდან წავიკითხო ზეპირად ჩემთვის საყვარელი ადგილები. რაც შეეხება თბილისის მერიის წარმომადგენელს ქნ ნანა კაჭარავას, მან ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილება: „ეს ყველაფერი შეუდარებელი იყო. გმადლობთ თქვენ, ჩემო კარგებო და კეთილო ადამიანებო“.

დედაენა - 140

ბუჩხამ თაყნიაშვილი


„დედაენის“ გამოცემები ავტორის გარდაცვალების შემდეგ

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა „დედაენის“ ძირითადი გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, მათი ანალიზი და პროფესიული დახასიათება სპეციალისტების განსჯის საგანია.

აკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის ივნისში. იმავე წლის მარტში შედგენილ ანდერძში (პუნქტი 7) ი.გოგებაშვილი წერდა: „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების ყველა წევრის მიერ“ (1,32). უფრო ადრე „დედა ენის“ ავტორი წერდა: „დედა ენა დაუთმობს თავის ადგილს არა რომელიმე ღატაკს წიგნაკს, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნებს იქითა და აქეთა საქართველოსას“.

„დედაენის“ პირველ გამოცემისთანავე იაკობ გოგებაშვილი „ცნობის ფურცელში“ წერდა: „სრულ უფლებას ვაძლევ დედაენიდან ისარგებლოს მხოლოდ იმან, რომელიც შეადგენს უფრო მდიდარს, უფრო უკეთესს და სრულ

სახელმძღვანელოს. ეს ღირსება სახელმძღვანელოსი აღიარებული უნდა იქნას ან წ.კ. გამაფრცველებელი საზოგადოების მიერ, ან თბილისის სააზნაურო სკოლის კომიტეტის მიერ და ან ქუთათურ სააზნაურო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ“ (2,4). თუ ასეთი პირობა არ იქნება შესრულებული, ავტორი აღნიშნავს, რომ იგი გამოიყენებს სალიტერატურო საკუთრების უფლებას და წიგნს აკრძალავს. ცნობილია ის ფაქტიც, თუ როგორ ებრძოდნენ „დედაენას“, რას უწუნებდნენ წიგნს, როგორ ესროდნენ მას კენჭებს, ამ ბრძოლებიდან წიგნის ავტორი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. აკი თვითონაც სიამაყით წერდა: „ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორც სიმართლეს, არასოდეს არ დაგმარცხებულვარ“. არ დამარცხებულა, ვინაიდან „დედაენის“ შედგენისას, როგორც თვითონ წერს, ჩემში ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“.



ი. გოგებაშვილის სიცოცხლეში (1840-1912) „დედაენა“ 33-ჯერ გამოიცა. იაკობის გარდაცვალების შემდეგ „დედაენის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა წ.კ.გ. საზოგადოებასთან მოქმედი სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო „დედაენის“ დიდი დამცველი ლუარსაბ ბოცვაძე. 1925 წელს გაუქმდა აღნიშნული კომისია, ხოლო უფრო ადრე, 1919 წელს გარდაიცვალა ლუარსაბ ბოცვაძე. „დედაენის“ პირველი გამოცემა იაკობის გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა 1912 წელს. აქედან მოყოლებული 1920 წელს და შემდეგ წლებშიც სისტემურად იცვლებოდა „დედაენის“ შინაარსი, სტრუქტურა. 1912 წელს დაიბეჭდა „დედაენის“ I ნაწილი 48 გვერდის მოცულობით. უფრო სრულყოფილია წიგნის მე-2 ნაწილის - „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ“ 27-ე გამოცემა, 288 გვერდის მოცულობით.

„დედაენის“ მე-2 ნაწილი 1912 წლის გამოცემა განკუთვნილი იყო ორი წლის სრული კურსისათვის. წიგნში შეტანილია ქართველი ავტორების: აკაკი წერეთლის, ს.ს. ორბელიანის, ალ. მირიანაშვილის, რ. ერისთავის, ი. დავითაშვილის, დუტუ მეგრელის, ვაჟა-ფშაველას, თ. რაზიკაშვილის და სხვათა ნაწარმოებები, პოეზიისა და პროზის ნიმუშები. წიგნს დაერთვის სასულიერო განყოფილება: ლოცვების ტექსტები. ამის მომდევნო წლებში „დედაენა“, თითქმის ყოველ წელს გამოიცემოდა ორივე ნაწილით. ყველაზე სრულყოფილი გამოცემებიდან უნდა აღინიშნოს 1916 წლის გამოცემა. 1916 წლის „დედაენის“ პირველი ნაწილი მოიცავს 52 გვერდს. ეს იყო შესწორებული გამოცემა პატარა მოთხოვნებით, ლექსებით, სურათების აღწერით შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, 38-ე გამოცემა. წიგნს ახლავს სასულიერო განყოფილება, დაერთვის სიტყვების ახსნა. მეორე ნაწილი იმავე, 1916 წელს გამოცემული უფრო სრულია 256 გვერდით. ეს არის 31-ე გამოცემა. წიგნი განკუთვნილია ორი წლის სრული კურსისათვის.

ქართველი ავტორებიდან წიგნში წარმოდგენილია აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ს.ს. ორბელიანის, რ. ერისთავის, ლ. ბოცვაძისა და სხვათა ნაწარმოებები. უცხოელი ავტორებიდან წიგნში დაბეჭდილია ლ. ტოლსტოის, ეზოპეს ნაწარმოებები. ცალკე თავშია გამოყოფილი ქვეყნისათვის თავდადებულთა შესახებ ცნობები, ისევე როგორც წინა გამოცემებში. დაერთვის სინონიმების ლექსიკონი.

მეორე ნაწილში უხვადაა ხალხური პოეზიის ნიმუშები, რუსულიდან გადმოთარგმნილი ნაწარმოებები.

1916 წლის შემდეგ „დედაენა“ გამოდიოდა 1920, 1922, 1923, 1924, 1925 წლებში. საინტერესოა 1925 წლის გამოცემა. იგი გამოსცა „წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ ქართველთა საზოგადოებამ. შეიცავს სულ 80 გვერდს. იწყება ქართული ანბანით, მათ შორის არის ჩამონათვალი ე.წ. განდევნილი ქართული ანბანისაც. წიგნს არა აქვს სარჩევი, გარეკანზე მითითებულია ავტორის ინიციალები: ი.გ. ეს იყო 45-ე გამოცემა, აგებული, ძირითადად, ავტორის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო „დედაენის“ დაცვა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენისგან. საბჭოთა ცენზურამ უღმობელი ბრძოლა გამოუცხადა ისეთ გამოცემებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით ეწინააღმდეგებოდნენ პარტიის იდეოლოგიას, ცენზურა სასტიკად კრძალავდა განსაკუთრებით საღვთისმეტყველო ლიტერატურას. 1920-იანი წლებიდან „დედაენას“ ჩამოაშორეს საღვთისმეტყველო განყოფილება. „დედაენის“ დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა 1930-იან წლებში. 1930 წელს საქართველოს მთავლიტმა გამოსცა სია იმ წიგნებისა, რომლებიც უნდა ამოღებულიყო ამ დროისთვის მოქმედი ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებიდან. (3). აღნიშნული სიის მიხედვით ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს გაბრიელ ეპისკოპოსის, დიმიტრი ბაქრაძის, ანტონ I კათალიკოსის, კ. კეკელიძის, ნ. ჟორდანიას და სხვა პოლიტიკოსების გამოცემები.


ამოსაღები წიგნების სიაში მოჰყვა „დედაენა“ 1876, 1898, 1903, 1906, 1910, 1912, 1917 და 1920 წლების გამოცემები. ასევე ამოიღეს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ 1868, 1878, 1899 წლების გამოცემები. ამავე ავტორის ცალკეული ნაწარმოებები: „თავდადებული ქართველი“, „ასპინძის ომი“, კრებული „საყმაწვილო კონა“, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ 1867, 1896, 1873 წლების გამოცემები. როგორც მთავლიტის განმარტებით წერილშია აღნიშნული, „ბიბლიოთეკებში წიგნების სიმცირესთან ერთად საკმაოდ მოიპოვება პოლიტიკურად მავნე და იდეოლოგიურად მიუღებელი ლიტერატურა“. სიის დანიშნულებას შეადგენდა ბიბლიოთე-



კებიდან „წიგნების ფილტრაცია“.

1940 წელს გამოიცა „დედაენის“ პირველი ნაწილი. სახელმძღვანელო აღადგინა გ. თავ-ნიშვილმა 1912 და 1916 წლების „დედაენის“ მიხედვით. სახელმძღვანელო მცირე მოცუ-ლობისაა, 68 გვერდი. დაიბეჭდა 3000 ტირა-ჟით. იმავე 1940 წელს სახეიმიდ აღინიშნა ი. გოგებაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებში არაფერი არ იყო ნათქვამი „დე-დაენის“ შესწორებებისა და გა-მოცემების შესახებ. აღნიშნული ბრძანებულებით ი. გოგებაშვი-ლის სახელი მიეკუთვნა თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტი-ტუტს, გორის პედაგოგიურ სას-წავლებელს, სოფ. ვარიანის არას-რულ საშუალო სკოლას.

1944 წელს გამოიცა ნ. ბოცვა-ძისა და კ. ბურჯანაძის მიერ შედგენილი „დედაენა“. ეს იყო ე.წ. „საბჭოთა დედაენა“. წიგნ-ში გარკვეული ადგილი ეკავა ცნობებს სკკპ ლიდერების შესახებ, მათდამი მიძღვნილ ლე-ქსებს. ამით, ფაქტობრივად, დარღვეული იყო ი. გოგებაშვილის მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელოების აგების პრინციპი, რომ-ლის თანახმად, დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი პირველდაწყებითი სახელმძღ-ვანელო თავისუფალი უნდა იყოს პოლიტი-კური იდეოლოგიისგან. ეს იყო „დედაენის“ პირველი ნაწილი. წიგნში იმავე ქართველი ავტორების ნაწარმოებებია შეტანილი, რო-გორც 1912 და 1916 წლების გამოცემებში. იმავე 1944 წელს გამოიცა „დედაენის“ მე-2 ნაწილი სახელმძღვანელო მე-2 კლასისათვის. წიგნი შეადგინეს ნ. ბოცვაძემ და კ. ბურ-ჯანაძემ, ისევე როგორც I ნაწილი. წიგნის რედაქტორებია: ვ. ეგნატაშვილი და არნ. ჩი-ქობავა. წიგნში მხატვრული ნაწარმოებები, ძირითადად, გადმოტანილია „დედაენის“ წინა გამოცემებიდან და რუსულ ენაზე გამოცე-მული სახელმძღვანელოებიდან. „დედაენის“ გადმოკეთებას ი. გოგებაშვილის მიხედვით დიდი ამაგი დასდეს ნ. ბოცვაძემ და ეკ. ბურ-ჯანაძემ. 1944 წლის ორივე ნაწილის გამო-ცემის შემდეგ მათი ავტორობით გამოიცა 1947 წელს „დედაენა“, ნაწ. I. რედაქტორები: ვ. ეგნატაშვილი, გ. თავნიშვილი, არნ. ჩი-ქობავა. ეს არის მე-4 გამოცემა, შეიცავს 192 გვერდს. წიგნში გამოქვეყნებული მასალების წყობა, ძირითადად, შეესაბამება „დედაენის“ გოგებაშვილისეულ გამოცემებს. სარჩევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წიგნში წარმო-



დგენილი მასალების 80% გადმოტანილია „დედაენიდან“. ამ წიგნის მე-2 ნაწილი დაი-ბეჭდა 1948 წელს, მე-5 გამოცემა, მე-2 კლა-სის სახელმძღვანელო 240 გვერდით. წიგნს დაერთვის ქართული ანბანის ხელნაწერების ნიმუშები. მე-2 ნაწილშიც მასალების უმრავ-ლესობა გადმოტანილია „დედაენიდან“. ამის შემდეგ „დედაენა“ აღნიშნული ავტორებისა გამოიცემოდა თითქმის ყოველ მეორე წელს. 1982 წელს გამოიცა მათ მიერ შედგენილი „დედაენის“ ორივე ნაწილი. მათში ერთობ შემცირებულია „დედაენიდან“ გადმოტანილი მასალების რა-ოდენობა, მაგრამ მათი წყობა, გა-დასვლები, ილუსტრაციებითა და განმარტებებით, ძირითადად, მის-დევს „დედაენის“ ძირითად ხაზს. ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის ავტორობით გამოცემული „დე-დაენა“ ერთობ სიცოცხლისუნა-რიანი აღმოჩნდა, როგორც ამის შესახებ წერენ „დედაენის“ მკვ-

ლევარები. აღნიშნული ავტორების მიერ გა-მოცემულმა „დედაენამ“ შეცვალა 1935-1943 წწ. ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები.

ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის მიერ შედგენილი „დედაენა“ გამოდიოდა 1944-1984 წლებში. სულ გამოიცა 40 გამოცემა.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ყურად-საღებია ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას ავტორობით გამოცემული „დედაენა“, I წიგნი, ნაწილი მე-2 1926-1936 წლების გამოცემები.

1973-1984 წლებში გამოიცა ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“ ჯერ მოსამზადე-ბელი კლასებისთვის, ხოლო შემდეგ 1985-2000 წლებში პირველი კლასის სახელმძღვანელო სამ ნაწილად. 1982 წელს გამოვიდა „დედაე-ნა“ მოსამზადებელი კლასისთვის, მე-10 გადა-მუშავებული გამოცემა. სახელმძღვანელო შედგენილი იყო ი. გოგებაშვილის „დედაე-ნის“ მიხედვით. პირველი 30 გვერდი დათ-მობილი აქვს ნახატებსა და ხაზებში ჩასაწ-ერი ასოების ნაწილებს. „ია“, „აი“, „იყება 31-ე გვერდიდან. პატარებისათვის „დედაენიდან“ გადმოტანილია მცირე მოცულობის პროზი-სა და პოეზიის ნიმუშები, ლენინის სურათით, მასზე ლექსებით, შ. რუსთაველის სურათით, ი. გოგებაშვილის სურათით, მისი რამდენიმე ნაწარმოები შემოკლებული სახით. საერთოდ, მოსამზადებელი კლასისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში „დედაენიდან“ შეტანილ-ია მასალის 70%. ერთვის სიტყვებისა და ცნე-ბების განმარტებითი ლექსიკონი.

სამნაწილიან „დედაენაში“, რომელიც შედგენილი იყო ვ. რამიშვილის მიერ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით, პირველი ნაწილი მთლიანად დათმობლი აქვს ილუსტრაციებსა და ხაზებში ჩასაწერ ასონიშნებს. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ნახატები და მცირე ტექსტები ანბანის შესასწავლად. მესამე ნაწილში წარმოდგენილია, ძირითადად, ქართველი ავტორების საბავშვო ნაწარმოებები: რ. ერისთავის, ა. წერეთლის, გ. ქუჩიშვილის, ს.ს. ორბელიანის, მ. მრევლიშვილის, ი. აბაშიძისა და სვ. კლასიკოსების ნაწარმოებები. „დედაენიდან“ გადმოტანილია წიგნის დიდი ნაწილი.

მესამე წიგნს დაერთვის სიტყვებისა და ცნებების განმარტებითი ლექსიკონი. როგორც აღვნიშნეთ, ვ. რამიშვილის სახელმძღვანელოები მოსამზადებელი და პირველი კლასებისთვის გამოიცემოდა 1985-2000 წლებში.

პირველკლასელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებიდან თავისი შინაარსითა და „დედაენასთან“ დაახლოების პრინციპით გამოირჩევა ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“, I კლასის სახელმძღვანელო. - თბ., 2004. - 125 გვ. მასალის აბსოლუტურად დიდი ნაწილი გადმოტანილია ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“.


2004 წლიდან დაწყებითი კლასებისთვის სახელმძღვანელოდ შემოდის ვ. როდონიას ხელმძღვანელობით შექმნილი ავტორთა ჯგუფის: მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე და ქ. თოფაძე მიერ შედგენილი „ქართული ენის“ სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოებმა გაიარეს პოლიტი...(არ იკითხება ხელნაწერი) პროცედურები და მინიჭებული აქვთ შესაბამისი გრიფი 2011 წლიდან. პირველი კლასის სახელმძღვანელოში ჯერ წარმოდგენილია სავარჯიშოები, ნახატები. თითოეულ გამოცემაში გარკვეული ადგილი უკავია ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“ გადმოტანილ საბავშვო ნაწარმოებებს. მე-4 კლასისათვის გამოცემულ „ქართულ ენაში“ 230 გვ. წარმოდგენილია ქართული თანამედროვე ლიტერატურის საბავშვო ნაწარმოებები. ი. გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებებიდან შეტანილია მხოლოდ ორი ნაწარმოები: „ცხრა ძმანი ხერხეულიძენი“ და „თავდადებული მღვდელი თევდორე“.

საერთოდ, უნდა აღნიშნოს, რომ პირველი-მეოთხე კლასებისათვის გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი ეთმობა ი. გოგებაშვილის „დედაენა-

ში“ გამოქვეყნებულ ქართველ კლასიკოსთა და თვითონ ი. გოგებაშვილის ავტორობით საბავშვო ნაწარმოებებს. სახელმძღვანელოების ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის“ I-IV კლასების სახელმძღვანელოებს, რომლებსაც გამოსცემს გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2011 წლის შემდეგ გამოცემულ სახელმძღვანელოებს გამოცემის წელი არ აწერია.

დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები, რომლებიც რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფით, თავიანთი შინაარსით, მასალის წყობით, სტრუქტურით, თვალსაჩინოებითა და განმარტებებით, ვფიქრობთ, ძირითადად, ასრულებენ მშობლიური ენის სწავლების ფუნქციებსა და ამოცანებს; მათი რეცენზირება, რა თქმა უნდა, სპეციალისტების განსჯის საგანს შეადგენს. ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილის სიცოცხლეშივე, იმ დროს, როცა „დედაენა“ თავის დანიშნულებას ასრულებდა, ამიერ და იმიერ საქართველოს თითქმის ყველა ქართულ სკოლაში. გამოქვეყნებული იყო აგრეთვე სხვა ავტორთა სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისთვის, რომელთა ავტორები იყვნენ: ქართულ გრამატიკაში დ. ჩუბინაშვილი, მსოფლიო ისტორიაში ალ. ჭყონია, საქართველოს ისტორიაში დიმიტრი ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, სიტყვიერების ისტორიაში კირიონი, გრ. ყიფშიძე, ქართულ ენაში, გარდა დ. ჩუბინაშვილისა, გამოიყენებოდა დ. ყიდიანის, თ. ჟორდანიას, პ. კვიციანიძის. ი. როსტომაშვილის და სხვათა სახელმძღვანელოები.

დღეს ინფორმაციის საშუალებებით გვესმის მოწოდება-ლოზუნგი „დაგვიბრუნეთ „დედაენა“. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილმა „დედაენამ“ გაუძლო იმდროინდელ ქარტეხილებს, კენჭების სროლას, უსამართლო კრიტიკას. წიგნმა მაინც შეასრულა თავისი კეთილშობილური მისია. მის ავტორს მოწიწებით მოიხსენიებდნენ ქართველი და უცხოელი ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწენი. დღევანდელი სახელმძღვანელოები თავიანთი შინაარსით დიდწილად მიესადაგება დიდი პედაგოგის ნააზრევსა და სახელმძღვანელოების შედგენის მისეულ პრინციპებს, მაგრამ ბევრი რამ კიდევ დასახვეწია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოზარდი თაობისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში ნათლად ჩანდეს



ქართული, ეროვნული სული, პატრიოტიზმი და ქართული გენი, რასაც თავდაუზოგავად შეაღია თავისი სიცოცხლე ქართული პედაგოგიური აზროვნების მამამთავარმა.

ლიტერატურა

ჟურნ. „განათლება“ - 1912, №6.
„ცნობის ფურცელი“ - 1896. - 31 დეკემბერი.

ქ.ხ-სამკითხველოებიდან და ყველა ტიპის მასიური, საქალაქო, სამაზრო და საოლქო ბიბლიოთეკებიდან გასარიცხი წიგნების სია. - თბ., 1930. - 114 გვ.
„კომუნისტი“ - 1940. - 27 ოქტომბერი.
გოგოლაშვილი, გ. „დედაენა“ - ძეგლი სამარადისო. - თბ. 2011. - 208გვ.

ბიბლიოთეკარის პროფესია

ბუჩხა თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკარის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

ბიბლიოთეკა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-აღმზრდელობითი და საინფორმაციო-სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც არსებითი წვლილი შეაქვს საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი პროგრესის საქმეში.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ის გარემო, სადაც ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, იცვლებოდა მისი ფუნქციები, დანიშნულება, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი, როგორც იდეოლოგიური დაწესებულების ძირითადი ამოცანები. ყოველ ისტორიულ ეპოქაში მმართველი ძალა ცდილობდა ბიბლიოთეკები გამოეყენებინა საკუთარი სოციალური თუ იდეოლოგიური ამოცანების შესასრულებლად, რაც ტენდენციურად აისახებოდა ბიბლიოთეკის ამოცანებზე.

ბიბლიოთეკის წარმატებული ფუნქციონირებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკართა პიროვნულ თვისებებს, მათ მიდრეკილებებს, პროფესიონალიზმში დამოკიდებულებას და ისეთ ფაქტორებს, რომლებსაც განაპირობებენ ბიბლიოთეკის, როგორც დაწესებულების ეფექტურობას. ბიბლიოთეკაში მომუშავე პირი, როგორც ორგანიზებული ცოდნის მფლობელი, სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, გამოირჩევა წიგნიერების მაღალი კულტურით, ადამიანებთან ურთიერთობის სპეციფიკური ნიშნით, რასაც განაპირობებს თვითონ ბიბლიოთეკა, როგორც სულიერების მრავალფეროვანი წყარო. იმისათვის, რომ ცალკეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტებში წარმოდგენილი ცოდნა წესრიგში მოეყვანა და ხელმისაწვდომი გაეხადა მკითხველისათვის, ბიბლიოთეკარი ადგურს უნდა ყოველივე სათანადო პროფესიული ცოდნით.

საქართველოში ბიბლიოთეკარის პროფესიული მომზადება დაიწყო გასული საუკუნის 30-40-იანი წლებიდან. მზადდებოდა როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები, რომელთა ერთი ნაწილი ახლაც წარმატებით იღვწის სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკაში.

სასწავლო პროცესში გარკვეული ადგილი ეთმობოდა ბიბლიოთეკართა ფსიქოლოგიური და მორალური პორტრეტის ჩამოყალიბებას. ქართველმა ბიბლიოთეკათმცოდნეებმა: (ნ. ლორთქიფანიძე, გ. მუხაშავერია, ნ. აკერმანი, მ. ბერულავა, ა. ლორია, ბ. მაზანაშვილი, გ. პაპიძე და სხვ.) სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს ბიბლიოთეკარის პროფესიული დახელოვნებისა და მათი პედაგოგიური ტაქტიკის საკითხებს. ეს პრობლემები განიხილებოდა მკითხველებთან მიმართებაში. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკარი თავისი შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს ორი მიმართულებით - საბიბლიოთეკო დოკუმენტების ორგანიზებული მთლიანობის ჩამოყალიბება და მკითხველ საზოგადოებასთან ურთიერთობა. ორივე ეს მიმართულება განსაზღვრავს ბიბლიოთეკარის კონკრეტულ სამუშაო უბანს და აქვე ყალიბდება მისი, როგორც პიროვნების ხასიათი, იკვებება მისი დამოკიდებულება წიგნისა და ადამიანისადმი, საკუთრივ ბიბლიოთეკათმცოდნეობაც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, სწავლობს წიგნისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებას.

ბიბლიოთეკარს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში ურთიერთობა აქვს ბიბლიოთეკის შრომით კოლექტივთან, მკითხველებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. აქ

წარმოჩინდება მისი პედაგოგიური ტაქტი, უნარი და შესაძლებლობები, რათა წარმოაჩინოს ბიბლიოთეკის წინაშე არსებული პრობლემები და დასახოს მისი გადაჭრის გზები. როდესაც საბიბლიოთეკო პროცესებს წარმართავს სპეციალისტთა ჯგუფი, აქ საერთო წარმატება დამოკიდებულია თითოეული პიროვნების უნარზე, მის პროფესიონალიზმზე, მის შესაძლებლობებზე, თუ რამდენად შეუძლია მას საერთო ამოცანებში პირადი წვლილის შეტანა.

ბიბლიოთეკარის პიროვნული ღირებულებები - თანდაყოლილი თუ შეძენილი ვლინდება შრომით კოლექტივში და მკითხველებთან ურთიერთობაში. აქ ჩნდება მისი სულიერი მდგომარეობა, ქცევის მანერა, მეტყველების კულტურა, ტაქტი და ყველა ის შინაგანი თვისება, რითაც განსხვავდება იგი კოლეგებისგან. ბიბლიოთეკაში შემოსულ მკითხველს ბიბლიოთეკარი უნდა დახვდეს ღიმილით, მიუხედავად იმისა, თუ რა განწყობით მოვიდა იგი სამსახურში. ბავშვ მკითხველთან ურთიერთობა როგორც ფსიქოლოგიური დატვირთვითაა აღსავსე. აქ



საჭიროა მკითხველის ინტერესის გათვალისწინებასთან ერთად, ზუსტად შევარჩიოთ მისთვის საჭირო გამოცემა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკარის მიერ წიგნზე საუბრის სწორად წარმართვას. საუბარი, როგორც ცოცხალი ურთიერთობის უნივერსალური ფორმა და საშუალება, ბიბლიოთეკარისგან მოითხოვს წიგნის არსის მეტნაკლებად ცოდნას, ისეთი ეპიზოდების წარმოჩენას, რომელიც აღძრავს მკითხველის ინტერესს მოცემული წიგნისადმი. მკითხველებთან მუშაობის მეთოდები, ბიბლიოთეკარის ტაქტი და მისი უნარი, როგორ წარმართოს ურთიერთობა მკითხველებთან, მეთოდური თვალსაზრისით დამუშავებულია პროფ. ა. ლორიას სპეციალურ ნაშრომებში (1,2,3).

როგორც სტრუქტურის მქონე ბიბლიოთეკებში - ეროვნული, სამეცნიერო, საქალაქო, მუნიციპალიტეტის მთავარი (ცენტრალური)

და სხვ. საბიბლიოთეკო პროცესებს წარმართავს სპეციალისტთა ჯგუფი. ასეთ გარემოში დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულის შეგნებას, მის დამოკიდებულებას საერთო საქმისადმი. სპეციალისტთა ჯგუფებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ პიროვნულ კავშირებს; ასეთ კავშირს თან ახლავს დადებითი ემოციები; ასეთი დამოკიდებულება საერთო ჯამში ქმნის პოზიტიურ გარემოს, სამუშაო სიტუაციას, რაც საბოლოოდ აისახება შრომის ნაყოფიერებაში. კოლექტივის თითოეული წევრისათვის აუცილებელია ნდობა, გულთბილი დამოკიდებულება; ასეთი თვისება ბიბლიოთეკარისა იმავე დროს არის მისი პიროვნული ღირსების საქმეც. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბიბლიოთეკარს აქვს გარკვეული წარმატება და პროფესიული ზრდა, თუ მან ეს სპეციალობა აირჩია წიგნის სიყვარულით, ისეთი მიდგომით, რომ მისი პროფესიული საქმიანობა ერთდროულად გამოხატავდეს წიგნსა და პიროვნებას შორის მიზანიმართულ დამოკიდებულებას.

ისეთ ბიბლიოთეკებში, სადაც შრომითი პროცესები დანაწილებულია და ბიბლიოთეკარს უხდება ერთი და იმავე ოპერაციების შესრულება, მის ხასიათს ბევრად განაპირობებს სამუშაოს სპეციფიკა. ბიბლიოთეკარი, რომელსაც მკითხველთან უწევს სისტემატური კონტაქტი, უნდა გამოირჩეოდეს ნათელი გონებით, ნაკითხობით, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნარით, სწორი მეტყველებითა და პედაგოგიური ტაქტით. ბიბლიოთეკარი, რომელიც კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის პროცესებით არის დაკავებული, ერთგვარად შემოფარგლულია ერთი და იმავე ოპერაციების ჩარჩოებში, მაგრამ მას აქვს გააქტიურებული ინტერესის სფერო, ის აქ მუდმივ სიახლეთა პირობებშია. ეს ინტერესი გრძელდება, ვიდრე იგი საბოლოოდ არ გაეცნობა ახლადმიღებულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს.

შრომითი კოლექტივის წარმატებული საქმიანობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელის ავტორიტეტს, მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას. თავისი მიდგომითა და საქმისადმი დამოკიდებულებით მან უნდა მიადწიოს კოლექტივის ორგანულ მოტივაციას. ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს შეგნებული დისციპლინის დამყარება სპეციალისტთა ჯგუფში; მას უნდა ახსოვდეს, რომ ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისაა, დისციპლინირებული პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ნებისყოფის მქონე ადამიანი; ბიბლიოთეკარს ნებისყოფა თავიდანვე ეძლევა, ხოლო მისი

სიმტკიცე ცხოვრების მიმდინარეობისას აქვს შექმნილი. ყოველი ადამიანი სხვადასხვაგვარია და მასთან ერთად თავისებურიც. ერთსა და იმავე ოპერაციაში მონაწილე ბიბლიოთეკარები განსხვავდებიან თავიანთი ხასიათით, უნარით, შესაძლებლობებით, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობით, ტაქტით და ა.შ. პიროვნების განწყობა დიდად მოქმედებს მის აქტიურ დამოკიდებულებაზე შრომითი პროცესების მიმართ. განწყობა თავისთავად ნიშნავს ადამიანის გარკვეულ შინაგან მობილიზებას განსაზღვრული მიმართულებით. ბიბლიოთეკარის შინაგანი სამყარო არ უნდა იყოს ყოველდღიური უკმაყოფილების გრძნობით გაჟღენთილი: იგი არ უნდა გაეხასხმოს ცივადურ განცდათა ქსელში და ეცადოს, განთავისუფლდეს ზედმეტი დრამატიზმისგან, რათა ადვილად შეძლოს საკუთარი ძალებით



სა და მისწრაფებების რეალიზაცია. ბიბლიოთეკარს კარგად ახსოვს, რომ არ არსებობს სამუშაო პროცესებში დიდი და პატარა საქმეები, ყოველი ოპერაცია ერთიმეორესთან ლოგიკურ კავშირშია; ამის გათვალისწინებით, ყოველი მცირე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საქმე ისე უნდა აკეთოს, როგორც დიდი საქმე. ასეთი მიდგომა წარმატების საწინდარია.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, დიმიტრი უზნაძე 1910 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“ წერდა: „პიროვნებას ახასიათებს მონოლითურობა, ჰარმონიულობა, სიმშვიდე, წონასწორობა, კონტაქტის უნარი, სიცოცხლის სიყვარული, საკუთარი ძალების რწმენა, მაღალი იდეალებისადმი ერთგულება, ლტოლვა სისრულისკენ, პიროვნებაში უნდა ჭარბობდეს ინტელექტი“ (4,2). ბიბლიოთეკარი შრომით კოლექტივში ისე უნდა მოიქცეს, როგორც ამას მისი მოქალაქეობრივი და ადამიანური ნორმები უკარნახებს; მისი სიცოცხლის დევიზი უნდა იყოს აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა.

ბიბლიოთეკარმა, მით უმეტეს, ხელმძღვანელმა პირმა, მკითხველებთან ურთიერთობის პროცესში, თუნდაც კოლეგებთან, არ უნდა შეიმჩნიოს სულიერი მდგომარეობა, მან უნდა შეძლოს გააციხვას სიკეთით შემოქმედება, მრისხანების დაოკება. სწორედ კრიტიკულ მომენტში უნდა გამოამჟღავნოს დაფარული კეთილი თვისებები.

როგორც აღვნიშნეთ, შრომითი კოლექტივების, განყოფილებების, სექტორების მუშაობის ეფექტურობა ბევრწილად დამოკიდებულია ხელმძღვანელის მართვის სტილზე, მის ტაქტზე, პროფესიონალიზმზე და ა.შ.

ხელმძღვანელი პირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი მმართველობითი, ადმინისტრაციული უნარი. თავისთავად ასეთ უნარებში იგულისხმება მის მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარი. აქ მუდავნდება მისი ნებისყოფა, ლოგიკურობა, ინტუიცია, მომავლის ხედვის უნარი. ბიბლიოთეკის განვითარების დაგეგმვისას ხელმძღვანელი პირისათვის მხედველობაშია მისაღები არსებული მდგომარეობა და ისეთი პრობლემების დაყენება, რომელთა გადაჭრა რეალურადაა შესაძლებელი.

ხელმძღვანელი პირის ზნეობრივი თვისებებიდან წარმოჩენილი უნდა იყოს მისი პატიოსნება, სამართლიანობა, სანდოობა, ჰუმანურობა, თანაგრძნობა და ა.შ. ბიბლიოთეკის მენეჯერს (დირექტორს, ხელმძღვანელს) უნდა ახასიათებდეს დიპლომატურობა, მოლაპარაკების წარმოების უნარი; ამ პროცესში მუდავნდება მისი, როგორც ადამიანის თვითფლობის უნარი, თავდაჭერილობა, სიდარბაისლე, კოლეგებზე ზრუნვა. სხვა ზნეობრივი კატეგორიებიდან ხელმძღვანელ პირს უნდა ახასიათებდეს ორგანიზატორული უნარი, სამართლიანობა, ყურადღება, სიმკაცრე, მეგობრობა, მზრუნველობა, სპეციალური ცოდნის დონე და ა.შ. აქსიომაა, რომ მხოლოდ პროფესიონალ ხელმძღვანელს აქვს ავტორიტეტი თანამშრომლებში. სრულყოფილი, ყოველმხრივ შემკული ხელმძღვანელი პირი თანამშრომელთათვის მისაბადი მაგალითია. ხელმძღვანელი პირის ყურადღებინობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, სხვებზე მეტი შრომითი უნარი, რისკიანი, მაგრამ გამართლებული ქცევა, გარკვეულობა და დაგეგმვის დასაბუთების მოტივი, სხვა ადამიანი, კოლეგების სტიმულირების უნარი - ყველა ეს თვისება ერთობ მაღლა სწევს ბიბლიოთეკის ავტორიტეტს.

საბიბლიოთეკო დარგში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ არსებითად

შეცვალა ბიბლიოთეკარის დამოკიდებულება შრომითი პროცესებისადმი. მანქანური ინფორმაციის მოპოვება, ფლობა, დამუშავება და ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკარისგან მოითხოვს ოპერატიულ ქმედებას, ახალი ტერმინებისა და ცნებების დაუფლებას. წარსულში უნდა დავტოვოთ უმრავლესთა შეხედულებები ბიბლიოთეკარზე, რომ იგი არის წყნარი, თავმდაბალი, მორჩილი, პასიური, წიგნების მექანიკური მიმღები და გამცემი. ბიბლიოთეკარის შინაგანი წყობა, მისი სულიერი სამყარო აღსავსეა გონებრივი შუქით, იმის შეგნებით, რომ წიგნი თანამედროვე საზოგადოებაში არ კარგავს თავის დანიშნულებას, რომ „მას გააჩნია ადამიანზე ესთეტიკური ზემოქმედების უნარი, სულიერი სიამოვნების მინიჭების ძალა, რომ წიგნი გამოირჩევა ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ერთ-

ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ.“ (2,46).

ლიტერატურა:

ლორია, ა. მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაცია. - თბ., 1985.- 158გვ.
ლორია, ა. კითხვის ფსიქოლოგიური კვლევის შესახებ (ბიბლიოფსიქოლოგია). - თბ., 1979. - 84გვ.
ლორია, ა. საბჭოთა ბიბლიოთეკის მკითხველი და კითხვის შესწავლის პრობლემები. - თბ., 1984. - 85გვ.
უზნაძე, დ. ინდივიდუალობა და მისი გენეზისი // სახალხო გაზეთი. - 1910. - №102.
უზნაძე, დ. აღზრდის მიზნები // დროება. - 1910. - №5
ყიფიანი გ. ეროვნული ხასიათი და განვითარება. - თბ., 2002. - 192გვ.

საბიბლიოთეკო ფონდები

ფაჩილჟ ხვანახსიხაძე

გავუფრთხილდეთ მემკვიდრეობას


ურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში (გვ.12-14) წარმოგიდგინეთ Interstate Council for Standardization-ის მიერ შემუშავებული სახელმწიფოთაშორისი სტანდარტის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტისათვის (მოცემულ შემთხვევაში ხელნაწერი და ბეჭდური წიგნისათვის) ძეგლის სტატუსის მისანიჭებელი კრიტერიუმები და ნიშნები, გააცანით ამ სტატუსთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება, რაც მკაფიოს ხდის გასაძეგლებელი ერთეულის ნიშან-თვისებებს და აიოლებს მისთვის სტატუსის განსაზღვრას.

ხელნაწერი ან ბეჭდური წიგნი ძეგლის გამოვლენა შეიძლება განხორციელდეს, როგორც ცალკეული კრიტერიუმების (ქრონოლოგიური, მემორიალური, მცირე ტირაჟი, დანომრილი გამოცემა, კოლექციური ეგზემპლარი და ა.შ.) გათვალისწინებით, ასევე მათი ერთობლიობით. გამოვლენილი ეგზემპლარის აღწერის დროს ფონდების მფლობელები ხელმძღვანელებს მოქმედი სარეგლამენტო დოკუმენტებით და მეთოდური მასალით. შესაბამისად,

აღწერა ხორციელდება ბიბლიოგრაფიული აღწერის სტანდარტის სრული დაცვით, მას ემატება სპეციფიური ნაწილი - ანოტაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გასაძეგლებელი ეგზემპლარის შესახებ.

ანოტაციაში განისაზღვრება წიგნის (ხელნაწერის) წარმოშობის, გადაწერის, გამოცემის ისტორია; მხატვრული გაფორმება, მხატვრის, გადამწერ-კალიგრაფის სახელისა და გვარის მითითებით. კონკრეტული ეგზემპლარის ფიზიკური მდგომარეობა, ინდივიდუალური თავისებურებები; მაგალითად: აკინძულია კერძო მფლობელის შეკვეთით, ინდივიდის გემოვნებით, მოკაზმულია საეკლესიო ღირებულებათა გათვალისწინებით, დაწერილია ან დაბეჭდილი გამორჩეული ხარისხის მასალაზე და ა.შ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში ირიცხება 1888 წელს დასტამბული (გ.დ. ქართველი შვილის გამოცემად ცნობილი) შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ერთეული. ყოველი მათგანი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, მხატვრული დი-



რებულებით (ბე-
ქდურ გამოსცემა-
ში პირველადაა
ჩართული მიხაი
ზიხის ილუს-
ტრაციები და
გრიგოლ ტატიშ-
ვილის თავსარ-
თი ასოებისა და
ფურცელთა სამ-
კი, წნული ორნა-
მენტები), აწ უკვე
ხანდაზმულობით
- იშვიათია და
ძველის სტატუ-

სის მინიჭებას იმსახურებს, მაგრამ ერთი, მათ
შორის, გამორჩეული ეგზემპლარია (K-718/504)
რომელიც შინდისფერ, ინდივიდუალურ, მკვრივ
ყდაშია აკინძული. ყდაზე დაკრულია მეტა-
ლის ფირფიტა ნაჩუქრობის წარწერით. იგი
პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს 1901
წელს მიუძღვნიათ მეცნიერისა და საზოგადო
მოღვაწის, ალექსანდრე ხახანაშვილისათვის,
როგორც ეგზემპლარში ჩართული ადრესიდან
ირკვევა „ქართული ისტორია-სიტყვიერების
სანიმუშო კათედრის დაარსებისათვის მოსკო-
ვის უძველეს უნივერსიტეტში“. ეს მართლაც
ისტორიული მოვლენა იყო ახლადფეხადგმუ-
ლი ქართული მეცნიერებისათვის.

ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა ხსენ-
ებულმა ადრესმაც, მრავლისმთქმელია აქ
დაფიქსირებული 70 სტუდენტის გვარ-სახე-
ლი, მათ შორის 10 ქალია; რომელიდაცა მათ-
განის ნაღვაწია წიგნი ჩართული სანიმუში,
რომელზედაც ფაქისადაა ამოქარგული შოთა
რუსთაველის ყველასათვის გასათვალისწინე-
ბელი აფორიზმი:

„არას გარგებს
სწავლულობა, თუ
არა იქმ ბრძენთა
თქმულსა

არ იხმარებ, რა ხე-
ლსა ჰხდი საუნჯესა
დაფარულსა“...

ამ ეგზემპლარი-
სათვის სტატუსის
მინიჭებისას, ერ-
თობლივად უნდა
გავითვალისწინოთ
ყოველი დეტალი.

წიგნი ძველების აღწერები ტარდება დაწე-
სებულებებისა და ფონდის მფლობელების
მიერ ერთიანი მეთოდის შესაბამისად, რაც
უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეო-
ბის ნაერთი სიის შედგენას.


წიგნი-ძველები ექვემდებარებიან აუცილებ-
ელ აღრიცხვას. რაც ხორციელდება წიგნის
დირებულების გამოვლენით, აღწერის, რეგ-
ისტრაციის ან სახელმწიფოს მიერ მათი
მიღების პროცესში. ფონდების შემოწმება
ხორციელდება იმ ვადებში, რომლებიც გან-
საზღვრულია ინსტრუქციებით, ფონდების
დაქვემდებარების გათვალისწინებით.

მიმდინარე წელს ვანო სარაჯიშვილის
სახელობის კონსერვატორიის ბიბლიოთეკამ
ფონდების ელექტრონული კატალოგების ორ-
განიზების პროცესში გადასინჯა როგორც
წიგნადი, ისე - სანოტო რეპერტუარი, რომლის
შედგად არაერთი მნიშვნელოვანი გა-
მოსცემა გამოვლინ-
და, რომელთა
უმეტესობა წარდგე-
ნილი იქნება გაძე-
ვლების სტატუსის
მისანიჭებლად. აქ
აღმოჩნდა XVI-
XVIII საუკუნის
ევროპული გამოსცე-
მები, მათ შორის
უძველესი მუსიკის
სახელმძღვანელო.



საერთაშორისო
სტანდარტის მიხედვით, წიგნი გაძველების
ექსპერტიზა უნდა განხორციელდეს ფონ-
დის მმართველი დაწესებულების სპეციალ-
ისტების მიერ ძველთა დაცვის სამეცნიერო
მეთოდური ცენტრების ხელმძღვანელობით.

შ. რედაქციაში შემოსულმა ზარებმა ნათე-
ლყო, რომ დედაქალაქისა და რეგიონების
ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების თანამშ-
რომლები მოტივირებულნი არიან, აქტიურად
ჩაებნენ ეროვნული სულიერი საგანძურის
გასამდიდრებლად მათდამი დაქვემდებარე-
ბულ ფონდებში მოიძიონ და აღრიცხონ გა-
მოსცემები, რომელთაც შეიძლება მიენიჭოს
ძველის სხვადასხვა კატეგორიის სტატუსი.
თემის ირგვლივ შეგობლიათ მოგვწეროთ რო-
გორც ფოსტის, ისე - ფეისბუქის საშუალებით.



საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები

ნიჩნა ალიაშვილი

ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა
SIERRA-ს ტრენინგები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

4-7 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგები კომპანია Innovative-ის მიერ ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა SIERRA-ს დანერგვაში. ტრენინგს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები - ცირკულაციის, IT-ისა და კატალოგიზაციის სპეციალისტები - გადიოდნენ. მათ, ვისაც უშუალო შეხება აქვს კატალოგების დამუშავებასა და მკითხველებთან.

ტრენინგს ატარებდა შვედი დენ მატსონი, რომელიც ბიბლიოთეკარად 20 წელზე მეტია, რაც მუშაობს. ბოლო 15 წელი კი კომპანია Innovative-ს უფროსი კონსულტანტი და ტრენერია. მისი თქმით, SIERRA არის უფრო მარტივი და გამჭვირვალე გზა ინფორმაციამდე, რაც ძალიან საჭირო და სასარგებლოა საზოგადოებისათვის.


„არ აქვს მნიშვნელობა, სად და როგორ ქვეყანაში ცხოვრობ. მთავარია, რომ მთელ მსოფლიოში ბიბლიოთეკის დანიშნულება ერთი და იგივეა. თქვენი ბიბლიოთეკა მსოფლიო კლასის მასშტაბებს აკმაყოფილებს, ამიტომაც აქ SIERRA-ს დანერგვა აუცილებელია“, აღნიშნა მატსონმა. „ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ თქვენს საჭიროებებზე მორგებული პროგრამა შეგვექმნა, სიერა ამის საშუალებას გვაძლევს“.

რა არის SIERRA?

ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა SIERRA კომპანია Innovative-ის პროდუქტია. კომპანია 1978 წელს დაარსდა. მის მიერ შექმნილი პირველი პროდუქტი სრულად შეესაბამებოდა კომპანიის სახელწოდებას.

დღესდღეობით Innovative-ს ანგარიშზე უკვე 2400 ზე მეტი საბიბლიოთეკო სისტემაა შექმნილი, რომელიც 9500 ბიბლიოთეკაშია დანერგილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ანუ საუბარია დაახლოებით 66 ქვეყანაზე. მაღალკვალიფიციურ ბიბლიოთეკარებს სრულად აქვთ ბიბლიოთეკების მიმართ არსებული ყოველდღიური მოთხოვნები გაცნობიერებული და რეგულარულ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებს თავიანთ პრაქტიკაში გამუდმებით ნერგავენ. ეს კი მოსახერხებელია უამრავი ადამიანისთვის, რომლებსაც

21-ე საუკუნეში არასდროს აქვთ საკმარისი დრო – სტუდენტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს და სხვა რიგით მკითხველებს.



პროგრამა ყველანაირი სიდიდის ბიბლიოთეკისთვის მუშაობს. მასზე წვდომა შესაძლოა ნებისმიერი სიმძლავრის კომპიუტერიდან ან მობილური მოწყობილობიდან. მენიურეგულირებადი და კომფორტულია. ის მორგებულია კონკრეტულ ოპერაციასზე ისე, რომ თითოეული რგოლი – ეს იქნება მკითხველი თუ ბიბლიოთეკის თანამშრომელი, მხოლოდ მისთვის საჭირო ფუნქციებს ხედავდეს.

სწორედ ესაა კომპანია Innovative-ს სახელწოდების ზუსტი გამართლება – ტრადიციულ საბიბლიოთეკო სამუშაო დღეს ამცირებს და ფუნქციონალურად უფრო დატვირთულს ხდის. გამარტივებული დიზაინის, დახვეწილი საძიებო სისტემის და ვებსტილის ნავიგაციის მქონე ინოვაციური პროგრამა SIERRA უზრუნველყოფს სამუშაოს გამარტივებას როგორც მკითხველისთვის, ასევე ბიბლიოთეკის პერსონალისთვის. გარდა ბეჭდური გამოცემებისა, პროგრამას აქვს მხარდაჭერა ელექტრონული წიგნებისთვისაც.

რას ხედავს მკითხველი პროგრამაში? - მკითხველი რეგისტრირდება და მარტივ და მოსახერხებელ ინტერფეისში საძიებო სიტყვების გამოყენებით სასურველ წიგნს პოულობს, მონახავს მის შიფრს და თავისი პროფილით ჯავშნის წიგნს, დარბაზს, სადაც წიგნს მიიღებს, და თარიღს. შეკვეთის გაუქმება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

ბიბლიოთეკარის რგოლი

ტრენინგები ბიბლიოთეკარებს რეგულარულად უტარდებათ მწარმოებელი კომპანიის მიერ. ახალი პროგრამა ბიბლიოთეკების თანამშრომლებისგან ახალ უნარებს მითხოვს.

შვედი ტრენერი იმასაც აღნიშნავს, რომ რიგით მეორე ტრენინგზე ბიბლიოთეკარები უფრო მომზადებულები და გამოცდილები დახვდნენ. „ვინაიდან ეს ჩემი მეორე ვიზიტია აქ, ტრენინგის მონაწილეები გაცილებით უფრო მომზადებულები და გამოცდილები დამხვდნენ, ვიდრე - თავიდან“, ამბობს დენი. „თუმცა ბევრჯერ დამისვეს ძალიან სკეპტიკური კითხვებიც: მართლა უფრო მარტივია? რატომაა ეს ასე და არა - ისე? არადა, რეალურად, SIERRA ყველა სხვა ძველი პროგრამის ბევრად გაუმჯობესებული და გამარტივებული ვარიანტია“, აღნიშნავს დენი.

რაც შეეხება თავად ბიბლიოთეკარებს, მათი თქმით, დროა, მსოფლიოს დაეწიონ და საერთო საქმეში აქტიურად ჩაებნენ. პროგრამის კოორდინატორი, თინათინ ლომჯარია ამბობს, რომ SIERRA-ზე მუშაობა უკვე წელიწადნახევარია მიმდინარეობს და მომავალი წლიდან ის სრულად ამოქმედდება, შესაბამისად, მომხმარებელი თავისუფლად შეძლებს თავისი ანგარიშიდან წიგნის გამოწერას და დაჯავშნას.

„ჩვენ ვგეგმავთ, რომ მოდულებად დავეყოთ მთლიანი პროგრამა და სხვადასხვა საცაფის თანამშრომლები რიგრიგობით, ნელ-ნელა გადავამზადოთ იმიტომ, რომ ახალი მასალის ათვისება დიდ ძალისხმევას მოითხოვს“, აგვისსნა თინა ლომჯარია.

პროგრამა თითოეულ ბიბლიოთეკაზე მაქსიმალურადაა მორგებული. SIERRA-ს უამრავი შესაძლებლობიდან კონკრეტული ბიბლიოთეკა მხოლოდ მისთვის საჭირო ფუნქციებს არჩევს. გარდა ამისა, პერსონალს შეუძლია პროგრამაში გუგლის მრავალფეროვანი აპლიკაციებიც დააყენოს.

ბიბლიოთეკარები ამავე სისტემაში შეძლებენ ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ატვირთვას; შესაძლებელია, კონკრეტულად

ადირიცხოს, რამდენი მკითხველი ელოდება ამა თუ იმ წიგნს და მათ რიგითობას; ის ასევე უზრუნველყოფს მკითხველებისთვის შეტყობინებების დაგზავნასაც. შესაბამისად, გამარტივდება ბიბლიოთეკისთვის საჭირო ამა თუ იმ სტატისტიკის სწრაფად გამოთვლა. მარტივი და მოსახერხებელი პროგრამის წყალობით ეს პროცესი უფრო სწრაფი გახდება, ვიდრე მანამდე იყო.

SIERRA-ს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დანერგვაზე უკვე მუშაობს ბიბლიოთეკის IT-პროგრამისტთა ჯგუფი. სულ მალე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა იქნება საქართველოში პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც მკითხველს განახლებული გამარტივებული და ინოვაციური ტექნოლოგიებით მოემსახურება.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი და ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რუსუდან ასათიანი ამბობს, რომ ინოვაციების დანერგვა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით არ შემოიფარგლება.

„ჩვენ შევიძინეთ ისეთი სისტემა, რომელშიც სამომავლოდ შესაძლებელია, რომ ქვეყნის გაერთიანებული კატალოგი გაკეთდეს“, აღნიშნავს რუსუდან ასათიანი. „წარმოიდგინეთ, ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა - ამ ერთ ბაზაში ინფორმაციას ერთი ჩვეულებრივი კომპიუტერიდან მოიპოვებ საქართველოში მოქმედი ყველა ბიბლიოთეკის ფონდების შესახებ“, ამბობს ქნ რუსუდანი.

მომავალში დაგეგმილია სხვა ბიბლიოთეკებთანაც მოლაპარაკება. ეტაპობრივად, ფინანსების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული ყველა ბიბლიოთეკა ამ სისტემაში გაერთიანდება.

„ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალს, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედა ენით, იმიტომ, რომ მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა. დედა ენა ბევრად უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული ადამიანის შინაგან სამყაროსთან, ვიდრე რომელიმე სხვა ენა.“

იაკობ გოგებაშვილი

ვიდრე ბავშვს საკმაოდ არ შეუსწავლია დედაენა, სანამ მას თავისუფლად და ღრმად არ გამოთუქვამს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, არ განვითარებულა საკმარისად, მანამდის უცხო ენის სწავლება არც საჭიროა და ფრიად მავნებელიცაა“.

ლუარსაბ ბოცვაძე.

ხორავა-გორა

ნაციონალური

ლიტერატურული სალონის „ახიბქეს“ ხელმძღვანელი

სოფლის ბიბლიოთეკა ხალხის სამსახურში

ახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის, არაშენდის თემში შემაგალი სოფელი ქოდალო - ამჟვენიური სამოთხე, მაღალმთიანი, ისტორიული (თოთხმეტსაუკუნოვანი), ულამაზესია, 200 კომლით და 480 მცხოვრებით.

წინა ხელისუფლებამ სოფელში ყველა საწარმო და დაწესებულება გააუქმა.

შემორჩენილი იყო ერთადერთი კულტურის კერა - სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელშიც მუშაობდა ქალბატონი მირზო მოსულიშვილი, 45 წლის სტაჟით, ყველა რეგალიების მფლობელი, წარდგენილი იყო ღირსების ორდენზე, მაგრამ მან მუხრან მაჭავარიანივით უარი თქვა ორდენზე. 2006 წელს ავადმყოფობის გამო გავიდა პენსიაზე და ბიბლიოთეკა გადააბარა თავის ქალიშვილს, პროფესიით პედაგოგს - მაია ბოლღაიშვილს, რომელიც ბიბლიოთეკაში არ დაბადებულა, მაგრამ აქ გაიზარდა.

2007 წელს გააუქმეს ეს ბიბლიოთეკაც და მოითხოვეს, რომ წიგნობრივი ფონდი გადაეცათ მეზობელ სოფელ არაშენდის სკოლის ბიბლიოთეკისთვის.

სიხარულს ვერ მაღავედნენ მაშინდელი სკოლის დირექტორი და მასწავლებელ-მოსწავლეები, რომ ასეთი მდიდარი ფონდი, უნიკალური წიგნები, ხელში ჩაუვარდებოდათ.

სოფლის მოსახლეობა, მკითხველთა აქტიური გვერდით დაუდგა ერთუხიასტ, ახალგაზრდა ენერგიულ ბიბლიოთეკის გამგეს და არაფრით არ გადააბარეს წიგნები.

სოფელი ქოდალო მდიდარია არა მარტო თავისი ფლორითა და ფაუნით, არამედ განათლებული, მწიგნობარი ადამიანებით. პურსა და წიგნს ერთად ითხოვს ქოდალოელი: მოხუცი და ახალგაზრდა, მასწავლებელი და მოსწავლე, ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია.

პური და წიგნი - საზრდო არსებობისა და საზრდო სულისა ერთნაირად სჭირდება ხალხს და კონკრეტულად ქოდალოელებს. მათ კარგად იციან წიგნის, ცოდნის ფასი, ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა.

ბიბლიოთეკის გამგემ, მაია ბოლღაიშვილმა გადაწყვიტა უხელფასოდ ემუშავა ბიბლიოთეკაში. მკითხველები პირადი ბიბლიოთეკიდან ჩუქნიდნენ წიგნებს ბიბ-

ლიოთეკას.

ასე გაგრძელდა 6 წელი და 2013 წელს ადაღინეს სოფელში ბიბლიოთეკარის შტატი, რასაც ხალხი უმადლის დიდ ქველმოქმედს, ბიძინა ივანიშვილს. სრულიად საქართველომ იცის, რომ დავით სარაჯიშვილის შემდეგ ასეთი მეცენატი ჩვენს სამშობლოს არ ღირსებია.



მკითხველები დიდად გაახარა იმ ამბავმა, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პრეზიდენტის ფონდის თანამშრომლობით, მათ ბიბლიოთეკას 500 ლარის ოდენობის ვაუჩერი გადაეცა წიგნების შესაძენად.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი სოფელი მადლიერია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, ახალგაზრდა ქალბატონის, რუსუდან ასათიანის თავდაუზოგავი საქმიანობით. მისი ძალისხმევით სოფლის ბიბლიოთეკები აღიჭურვა კომპიუტერული მოწყობილობებით.

გურჯაანელებს საამაყოდ დაემატათ ისიც, რომ სულ რაღაც 7-8 თვეა მოხდა საბიბლიოთეკო და სამუხეუმო ქსელის გაერთიანება და დირექტორად დანიშნეს ახალგაზრდა, ენერგიული, პუნქტუალური, მოწესრიგებული, ორგანიზებული, კოლეგიალური, კომუნიკაბელური, ეთიკური ქალბატონი მაია ბეროშვილი, რომლის დანახვაზე გახსენდება პოეტის სიტყვები:

„ასწიეთ მაღლა, აიტაცეთ ღრუბელსა ზედა, ქალი მებრძოლი, ქალი - დედა, ქალი - ლეგენდა!“

როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრო ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს - უფსკრულის პირას მდგომთ.

სიხარულს ვეღარ მაღავენ ბიბლიოთეკარები და მუზეუმის თანამშრომელნი. ამის შემდეგ ბიბლიოთეკარებს აღარავენ უწოდებენ „ყინვაგამკლავებს“, რადგან გათბობითაც უზრუნველყოფილნი არიან და განათებითაც.

ღირექტორი საკუთარი მანქანით ამარაგებს ამ დაწესებულებებს საკანცელარიო ნივთებითა და სხვადასხვა ინვენტარით.

ახალ-ახალ წიგნებსაც დროულად იღებენ ბიბლიოთეკარები.

ქოდალოს ბიბლიოთეკის მკითხველთა სახელით უღრმეს მადლობას ვუხდით ქალბატონ მაია ბეროშვილს ამ ტიტანური შრომისთვის.

ქოდალოს ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 5089 ეგზემპლარს.

2015 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 210 მკითხველს. ბიბლიოთეკაში მოწოდებულია როგორც მუდმივი, ასევე დროებითი გამოფენები.

ყოველკვარტლურად უშვებენ კედლის გაზეთს „ცოდნის ლამპარი“.

ბიბლიოთეკასთან შექმნილია ლიტერატურული სალონი „კარიბჭე“, აგრეთვე ბიბლიოთეკის მეგობართა წრე.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწეობა სხვადასხვა მასობრივი ღონისძიება: მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, საბავშვო დღეები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, შეხვედრები და სხვა.

მკითხველთა ესთეტიკური ღონის ამადლების მიზნით კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველ ზაფხულს ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში. მუშაობის ამგვარი სტილი ხელს უწყობს ბიბლიოთეკის ავტორიტეტის ამაღლებას.

2016 წელს ბიბლიოთეკაში ჩატარდა საბავშვო დღეა „მშვიდობით გველოს წელს ახალ“, გაერთიანების ღირექტორმა ყველა ბიბლიოთეკას და მათ შორის ქოდალოსაც, გადასცა ნაძვის ხეები და ახალ წელს ბავშვება ძალიან იმხიარულეს.

საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით მოეწყო დაუვიწყარი საღამო „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

ყოველ 9 მაისს სოფელში ტრადიციად არის დამკვიდრებული შეხვედრა ომის ვეტერანებთან, შინმოსვლელთა პარკში ობელისკთან.

26 მაისს ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონფერენცია „თავისუფლების, არდაბერების სიმღერა არის თვით საქართველო“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავს და მერაბ კოსტავას დაბადების დღეს.

2016 წელი იუნესკოს გადაწყვეტილებით გამოცხადებულია რუსთაველის წლად. ამასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მოეწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნების“ სხვადასხვა გამოცემების გამოფენა. 850 წლისთავის აღსანიშნავად მოვაწყობთ ლიტერატურულ საღამოს.

ქოდალოს ბიბლიოთეკა ყველასათვის მიმზიდველი და საყვარელი ადგილია, სადაც ტრადიციული საბიბლიოთეკო მომსახურების გარდა ხელმისაწვდომია კომპიუტერული ინტერნეტით სარგებლობაც.

სოფელს შეუძლია თამამად იამაყოს თავისი განათლებულობითა და წიგნიერებით.

ქოდალოს ბიბლიოთეკის მკითხველი არის ლალი და საქმიანი, გემოვნებიანი და ჭკვიანი, ღირსეული და განათლებული, წიგნიერი და გონიერი. ნამდვილად ვერაფერი შეედრება ასეთ ადამიანებთან ურთიერთობას.

სოსო ხოსოჩიოშვილი

წიგნი სამ განზომილებაში

სექტემბერი ბაღდათის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეებით გამოირჩა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სურვილი და მონდომება, პლუს პროფესიონალთა გვერდით დგომა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერა, მნიშვნელოვნად სასიკეთოდ შეცვლის მუნიციპალური ბიბლიოთეკების ყოფას. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და თუ რაზე ვლაპარაკობთ, ამის გასაცნობად, გირჩევთ, ქვემოთ, წიგნის სამყარო-

ში იმოგზაუროთ.

წიგნობაცია

ერთი შეხედვით, ამ უჩვეულო სათაურმა შესაძლოა მკითხველი დააბნიოს, მაგრამ იმას, რაც 28 სექტემბერს ბაღდათის ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოხდა, ზუსტად მიესადაგება. 28 სექტემბერს, ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრი გაიხსნა. ჩვენ დღეს ვიხილეთ ბიბლიოთეკის, წიგნისა



და ინოვაციური ტექნოლოგიების თანაარსებობის სანიმუშო მაგალითს ბაღდათური პრეკედენტი სახვენებელი და მისაბადი უნდა გახდეს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის” - ერთხმად აღნიშნავენ სტუმრები და ახალი ცენტრის მნახველები. სტუმრები კი მრავლად იყვნენ. მათგან სამს - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარეს ირაკლი ქაშიბაძეს გამოვიყვდი. სწორედ მათ ერგოთ ცენტრის სახეიმოდ გახსნის პატივი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ასეთი ცენტრის არსებობის ინიციატივა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან წამოვიდა, რასაც მხარი აუბა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. სააგენტოსა და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შეთანხმებული თანამშრომლობით შექმნილ ახალ სივრცეში, იქ მოსულ ახალგაზრდას, სურვილისამებრ, უნდა გალაკტიონის „ღურჯა ცხენებს“ გააქროლებს, უნდა - და ვინჩის გაეჯიბრება და 3D პრინტერით მონა ლიზას მისეულ ღიმილს იხილავს. სხვა მრავალ სერვისთან ერთად, ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში დისტანციურ ტრენინგებს ჩაატარებენ თბილისში არსებული ლაბორატორიები: „ჯეოლაბი“, „სიტი მულტილაბი“, „გეიმ ლაბი“ და „ფაბლაბები“.

წიგნის მზა და საკრებულოს მზარება

კარგი ამბით დავიწყეთ, მაგრამ ბაღდათის საბიბლიოთეკო ქსელში დღეს არსებულ მდგომარეობას რომ დალხენილი არ ეთქმის, ჩვენზე უკეთ, აბა, ვინ იცის. რა დალხენაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა მუნიციპალიტეტში მხოლოდ სამი ბიბლიოთეკა მოქმედებს: ბაღდათის ცენტრალური, სოფლების - დიმის და ფერსათის ბიბლიოთეკები. არადა, 2007 წლამდე 15 სოფლის ბიბლიოთეკას აკითხავდა მკითხველი. 2007-ში კი, ერთი ხე-

ლის მოსმით, საბიბლიოთეკო ცხოვრება მოკვდა, სიცოცხლე მხოლოდ ბაღდათის „წიგნის სახლს“ შეუნარჩუნდა, ორი წლის თავზე კი, დიმსა და ფერსათში გაიღო ბიბლიოთეკების კარი. ერთი სიტყვით, მწარე რეალობა ასეთია - სოფლის გაუქმებული ბიბლიოთეკები, უმეტესად მოუვლელი და განადგურებული წიგნადი ფონდი (რომლის ქონების განმკარგავი მუნიციპალიტეტის გამგეობაა). თუ რამ გადარჩა, სახლში გაშვებული ბიბლიოთეკარებისა და სოფლის მცხოვრებთა წიგნის სიყვარულისა და უანგარო მსახურების წყალობით. ერთი წლის წინ, ახალშექმნილი ა(ა)იპ ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდის (ფონდის დაქვემდებარებაშია საბიბლიოთეკო ქსელი) თაოსნობით და ბაღდათელ ბიბლიოთეკართა ძალისხმევით, ორი თვის მანძილზე მოვახერხეთ სოფლების ბიბლიოთეკებში და მისახლეობაში მიმოფანტული წიგნადი ფონდის აღრიცხვა-დახარისხება. წვიმასა და ქარში, მთასა თუ ბარში, ნესტსა და ობში დაუხარეღმა, დაუღალავმა, თავისი საქმის პროფესიონალმა ქალბატონებმა შეუძლებელი შეძლეს - დღეს წიგნთა ფონდი შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია, ხოლო სოფლებში - ობჩა, ზედა დიმი, როკითი-დიდველა, ვარციხე, წითელხევი, ზეგანი და საკრაულა - არსებობს იმის პირობები, რომ ბიბლიოთეკებმა სათანადოდ იმუშაონ. მაგრამ საამისოდ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, უპირველესად, მათი დაკანონება



და ბიბლიოთეკარის შტატის დაშვება, ამის გადაწყვეტა კი გამგეობისა და საკრებულოს პრეროგატივაა და რაოდენ სასიხარულოა, რომ 30 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, როცა ჩვენი ფონდის გაწეული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ეს საკითხი გავახმოვანეთ, დეპუტატთა სრულმა უმრავლესობამ მხარდაჭერა აღგვითქვა. საკრებულოს სიტყვიერ თანხმობას კი წინ უძღოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოცი-



აცის დელეგაციის სტუმრობა ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მეთაურობით. მათ შორის იყვნენ: საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები ინგა ფილაური-ლორია, ციცო ქველიძე და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, მანანა სვანიძე. თბილისიდან წამოსულებს, ქალბატონებს ვუთხარი: ჩვენ ახლა ვაწყობთ ბიბლიო-ტურს ბაღდათში და ვივლით „წიგნის გზა“-ზე. თავდაპირველი გაკვირვება გულწრფელმა სიხარულმა და ამავდროულად სევდიანმა გაცეხამ შეცვალა, როცა ხემოთხსენებული სოფლების ბიბლიოთეკები მოვინახულეთ, იქაურებს ვესაუბრეთ და ფინიშის ხაზი ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადავკვეთეთ. ასოციაციის პრეზიდენტმა შთაბეჭდილებები გაუხიარა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ გელა მშვილდაძეს და ის ხედვები და პროექტები გააცნო, რომლითაც შეუძლია ასოციაციას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს აღდგენილ სოფლის ბიბლიოთეკებს. იმავე თემაზე გაგრძელდა საუბარი სამკითხველო დარბაზში, ამჟამად თბილისელ სტუმრებსა და მასპინძელ ქალბატონებს შორის. „წიგნის გზაზე“ დასახული მიზანი - დაუბრუნოთ ბიბლიოთეკები სოფლებს! - ვგონებ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევადი ხდება.

ჩემი წიგნი ბაღდათს

„მეგობარნო!!! - ბაღ-სკოლისანნო; სტუდენტობისანნო; „ყურშას“ ხაზებში ნაცეკვნ-



ნო; სცენის მტვერნაყლაპნო; ჯოს-ჯოს-ჯოს ძახილით გაჭაღარავებულნო მომიტინგეებო; ტელე-რადიო-პრესით მოწამლულო ამქროსნებო; ყანწდაღეულო ოღრაშებო, ევროპიელუბო და ოკეანგადმელებო!!! ჩაერთეთ აქციაში - ჩემი წიგნი ბაღდათს! შემოსწირეთ თითო წიგნი ბაღდათის ბიბლიოთეკებს. თქვენი ავტოგრაფით დამშვენებული საჩუქარი „დასახლდება“ ბაღდათის, ფერსათისა და დიმის ბიბლიოთეკების საამსაქმოდ მოწყობილ სამკითხველო სივრცეში. ვინც სტუმრობას ვერ შეძლებს, ფოსტა დაგეხმარებათ - ბაღდათი, რუსთაველის ქუჩა 68. ბაღდათის ბიბლიოთეკას”.

ჩემს ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებულ ამგვარ ხუმრობანარევე პოსტს, ჩვენდა გასაკვირად, დიდი გამოსხმაურება მოჰყვა - ნათია ჟვანიამ საბავშვო ლიტერატურა გვითავაზა, ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კიკნაველიძემ - უახლესი გამოცემები და იურიდიული ლიტერატურა, მადონა ხაზარაძემ



და შალვა გუმბერიძემ - წიგნიერი ბაღდათელის, იუზა ხაზარაძის მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკიდან მრავლფეროვანი საკითხავი წიგნი, ხოლო თამარ ერისთავმა ნიუ იორკიდან წიგნებთან ერთად უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი საბავშვო სათამაშოები. დღეს ბაღდათის ბიბლიოთეკაში, ახალგაზრდონტებულ ინოვაციების ცენტრში, უკვე თავს იწონებენ მათ მიერ ნაჩუქარი წიგნები ორიგინალურად მოწყობილ კუთხე-თაროებზე - „ჩემი წიგნი ბაღდათს“!

დასასრული დასაწყისით

ახალი მონაცემებით ბაღდათის საბიბლიოთეკო ქსელის წიგნადი ფონდი 150 ათასამდე წიგნს ითვლის, 1910 წელს კი, როცა გიორგი ახვლედიანმა, გრიგოლ ფურცელაძემ, ეგნატე დვალის შვილმა და პელაგია ქაშაკაშვილმა, სტეფანე ხითაროვის სახლში პირველი ბიბლიოთეკა, ქოს-სამკითხველო დააარსეს, მხოლოდ 80 წიგნით შეავსეს სამკითხველო. პელაგია ქაშაკაშვილი 1915-17 წლებში მუშაობდა სამკითხველოს გამგედ. 1912 წელს

სოფელ დიმში, პედაგოგ თორნიკე გეგეშიძის თაოსნობით იხსნება პირველი წიგნთსაცავი და სამკითხველო. 1917 წელს თ. გეგეშიძე აირჩიეს ბაღდათის სახალხო ბიბლიოთეკის თავმჯდომარედ.

1935 წელს შეიქმნა ბაღდათის სარაიონო ბიბლიოთეკა და გამგედ დაინიშნა ქეთევან ფურცელაძე. 1956-86 წლებში კი ბაღდათის (მაშინ მაიაკოვსკი) საბიბლიოთეკო ცხოვრებას უნარიანად უძღვებოდა ნათელა ფურცელაძე. 1973 წელს ბიბლიოთეკისთვის აშენდა ორსართულიანი საბიბლიოთეკო შენობა. იმ დროისთვის რაიონში ფუნქციონირებდა მაიაკოვსკის ცენტრალური ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, 24 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი, ავტო ბიბლიოთეკა. 80-იან წლებში კი ქსელი უფრო ფართოვდება - სამ სოფელში გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკები, ხოლო სოფლად ფილიალების რაოდენობა 42-მდე გაიზარდა, მკითხველს კი ასამდე ბიბლიოთეკარი ემსახურებოდა.



1986-2007 წლებში საბიბლიოთეკო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ყიფინი. 2015 წლამდე კი საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა თინათინ ნემსაძე. 90-იანი წლების ქარტეხილებმა ბაღდათის ბიბლიოთეკებსაც გადაუარა, არც უახლესი წარსულის ქარაშოტებს დაუკლია ხელი და ამიტომაც გვიწევს „წიგნის გზაზე“ სიარული მოწოდებით - დაეუბრუნოთ ბიბლიოთეკა სოფელს!

მანანა საბანჯიძე
მანანა ცოხსაძე

ბიბლიოგრაფიული მუშაობის თავისებურებანი 42-ე ბიბლიოთეკაში

წიგნისა და კითხვის პრობლემატიკა მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები თავიანთი კუთხით აშუქებენ ამ მოვლენას. მაგალითად, ფილოლოგისათვის წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც ლიტერატურული წყარო, შემოქმედის ნიჭიერების განმსაზღვრელი ფაქტორი. ფსიქოლოგისათვის წიგნი წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკაზე ხემოქმედების საშუალებას, პედაგოგისათვის ის აღზრდა-განათლების წყაროა, ხოლო ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფისათვის – მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ყველა ხემოქმედოვლილ თვისებებთან ერთად – მკითხველთან ურთიერთობის საშუალება. ამიტომ საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები ასე ფართოდ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის პროფესიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ჩვენ დღეს არა მარტო ძალზე კარგად უნდა ვიცნობდეთ ჩვენი ბიბლიოთეკების ფონდებს, არამედ უნდა ვფლობდეთ კომპიუტერულ პროგრამებს და

მათთან მუშაობის ტექნიკასაც.

დღეისათვის მწვავედ დგას საკითხი წიგნისა და კითხვის ერთიანი მეცნიერული სისტემის შექმნისა. დღევანდელობას, ჩვენი აზრით, ეხმაურება პ. როფესორ ალ. ლორიას მიერ გამოთქმული ჰიპოტეზა „ელექტოლოგიის“, როგორც მეცნიერული დისციპლინის შექმნისა. „ელექტო“ - (ლათ.) კითხვას ნიშნავს. აღნიშნულ მეცნიერულ დისციპლინას შეხების წერტილები აქვს ისეთ მეცნიერებებთან, როგორებიცაა ფილოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგია, ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, რადგან წიგნი ინფორმაციის შემცვენების, სწავლის, ცოდნის მიღების ყველაზე დიდი და საიმედო საშუალებაა, რომელიც კაცობრიობას დღემდე გამოუგონებია. იგი არის ყველაზე დიდი მონაპოვარი, ამიტომ მსოფლიოში არ დარჩენილა მოაზროვნე, რომელსაც წიგნზე თავისი მოსაზრება არ გამოეთქვა.

საზოგადოებაში წიგნისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას ობიექტური და სუბიექტური კანონზომიერება გააჩნია. ადამიანის ურთიერთობა წიგნთან არა მარტო

სოციალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს, არამედ წიგნს შეუძლია ჩამოაყალიბოს ადამიანის პიროვნული და მოქალაქეობრივი თავისებურებანი. მაგრამ წიგნის ზეგავლენა ადამიანზე აბსოლუტურად ინდივიდუალურია და ხელს უწყობს პიროვნების მრწამსის, შეხედულების, მორალის, ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებას.

წიგნის ზეგავლენის თავისებურებაზე დაკვირვებას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და ბიბლიოგრაფმა მიხეილ რუბაკინმა, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში შექმნა მოძღვრება წიგნისა და მკითხველის ფსიქოლოგიის შესახებ და მას „ბიბლიოფსიქოლოგია“ უწოდა. ყველაზე მთავარი ამ მოძღვრებაში ის არის, რომ რუბაკინი უსაზღვროდ დიდ ძალას ხედავს წიგნში, რომელიც გაეღწეოს ახდენს არა მარტო ინდივიდზე, არამედ საზოგადოების ფსიქიკაზეც, ე. ი. იმაზე, რაც, საერთოდ, ძნელად თუ ექვემდებარება ზეგავლენას.

ცნობილია, რომ ადამიანი მთელ თავის ცოდნას ცხოვრებისგან და წიგნისგან იღებს. მეცნიერთა და მოაზროვნეთა დიდი ნაწილი სწორედ წიგნს ანიჭებს უპირატესობას. ამ მხრივ საინტერესოა შტეფან ცვაიგის აზრი: „ადამიანის მთელი სულიერი სამყარო აიგება ცალკეული შთაბეჭდულებებისგან, ხოლო სხვა ყველაფერს, ცოდნის ძირითად მასას, ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ წიგნებს, ჩვენს მიერ წაკითხულს და შესწავლილს“, ხოლო დიდი ილია „გლახის ნაამბობში“ ამბობს: „მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიანი კაცების ნაცადი ცოდნა წიგნებშია მოცემული“ და შემდეგ „ოთარაანთ ქერივში“ ფორმულის სახით დასძენს: „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა... მაგრამ არც მხოლოდ წიგნებიდამ გამოხედვა შეიძლება“.

დღევანდელ საზოგადოებაში წიგნებთან ერთად უდიდესი ზეგავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორც ინფორმაციის ოპერატიულად მიღების საშუალებას, ამიტომ ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის უპირველესი მოვალეობაა ჰარმონიულად შეუხამოს მკითხველური ინტერესების ჩამოყალიბება, არა მარტო კომპიუტერის, არამედ ბიბლიოთეკაში არსებული უმდიდრესი ფონდის გაცნობით და დაინტერესებით. ამ საკითხში, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი როლი ენიჭება ბიბლიოგრაფს, რადგან ბიბლიოგრაფია „წიგნის წერას“ ნიშნავს. მკითხველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბიბლიოგრაფს წიგნებთან ერთად, გააჩნია ბიბლიოთეკაში არსებული

სხვა დამხმარე საშუალებები, კატალოგები, კარტოთეკები, ზოგადი და დარგობრივი ენციკლოპედიები, კომპიუტერი და სხვ.

დიდ სამეცნიერო და ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში არსებობდა და არსებობს ბიბლიოგრაფიული განყოფილებები, რომლის მეშვეობითაც მკითხველებს შეუძლია ინფორმაციის მიღება არა მარტო წიგნადი ფონდიდან, არამედ პერიოდული მასალებიდან. გარდა ამისა, ბიბლიოგრაფიული განყოფილება აწარმოებს გაცემულ ინფორმაციაზე ზეპირი და წერილობითი ცნობების არქივს, რომლებიც ივსება უახლესი ინფორმაციით და ისე მიეწოდება მკითხველს. აქედან გამომდინარე, ბიბლიოგრაფიულ მუშაობას დიდ ბიბლიოთეკებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ამავე მუშაობას მასობრივ ბიბლიოთეკებში თავისებურებები გააჩნია, რადგან ბიბლიოთეკა-ფილიალები საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შედარებით მცირე ნაკადს ფლობენ და საჭიროების შემთხვევაში მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მასალების საშუალებით ავსებენ. მით უმეტეს, რომ ამაჟამად მეტად რაციონალურად ხერხდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მაგრამ ამ მხრივ ბევრია კიდევ გასაკეთებელი, მით უმეტეს, რომ ჩვენთან ბიბლიოგრაფიული აპარატი ამ ბოლო დროს ზედმიწევნით გამდიდრდა. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს №42-ე ბიბლიოთეკა, რადგან ჩვენ 2014 წელს საჩუქრად გადმოგვეცა გამოჩენილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნისა და „წიგნის ტრფიალის“ პროფესორ თთარ ოსაძის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები (ბატონ თთარს მიმდინარე წელს 90 წელი უსრულდება) და დამუშავებული და კარტოთეკების სახით მოცემული „მხატვრული გამონათქვამები ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანმურადიდან“, რომელიც მოიცავს 738 რუბრიკას, განლაგებულს ანბანის მიხედვით დაწყებული „ადათ-წესებიდან“ - დამთავრებული „ჰუმანიზმით“ (რუბრიკები განთავსებულია №42-ე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე). ყველა რუბრიკა განთავსებულია საკატალოგო ყუთებში, რომლებიც დანომრილია. დაინტერესებული მკითხველი ბიბლიოგრაფის დახმარებით პოულობს გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებს, რომელშიც მითითებულია წყარო და საჭიროების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია მითითებული წყაროს მეშვეობით გააფართოს ინფორმაციით მისთვის საინტერესო თემატიკა. ამაჟამად პერსპექტიულად ისახება ყველა ამ მასალის ელექტრონულად დამუშავება.

ჩვენს ბიბლიოთეკას ბიბლიოგრაფიული

მუშაობის მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რადგან მკითხველთა კონტიგენტი მოიცავს უმცროსი ასაკის ბავშვებიდან დაწყებული, სტუდენტებითა და ხანდაზმული ასაკის ადამიანებით დამთავრებულს. რაკი საბავშვო, ისე მოზრდილთა განყოფილებებში წარმოებს ზეპირი და წერილობითი ცნობების აღრიცხვა, რასაც აწარმოებენ საბავშვო განყოფილებაში ბიბლიოთეკარი ელენე გოგოლაძე, ხოლო მოზრდილთა განყოფილებაში – მზია ტოგონიძე და მანანა ლომსაძე. მკითხველთა აღრიცხვიანობა საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ მათი ინტერესები, თემატიკა და ჩვენი შესაძლებლობები და მათი მოთხოვნები შევუხამოთ ერთმანეთს და ამ ხერხით გავზარდოთ კითხვადობის კოეფიციენტი. დღის წესრიგში დგას ისევე და ისევე ელექტრონული საშუალებების სრულყოფილად გამოყენება საქმის რაციონალიზაციის მიზნით.

მოთხოვნილი თემატიკა მრავალფეროვანია, მით უფრო საინტერესოა ეს ბავშვ-მკითხველებში, რადგან ბიბლიოგრაფიით ბავშვის მუშაობა, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს ბავშვთა დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას, ბიბლიოგრაფის დახმარებით მოძიებული მასალის გაანალიზებას და დასკვნის გამოტანას. აღრიცხვა საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ ინტერესების სფერო, ხოლო ეს უკანასკნელი მოიცავს, როგორც ლიტ-

ერატურულ, ისტორიულ, ხელოვნებათმცოდნეობის, რობოტების, წყალსაცავების, ქართული მწიგნობრობის, მსოფლიო ხალხთა რელიგიების, კოსმოსით და ცხოვრებისეული თითქმის ყველა მოვლენით ინტერესების სფეროს.

საინტერესოა, რომ 2014-2015 წლებში ბნოთარ ოსაძის მიერ ნაჩუქარი კარტოთეკით დაინტერესდნენ და ისარგებლეს საგნობრივი თუ თემატური ცნობებით: ალკოჰოლზე, დედაზე, რწმენაზე, ფანტაზიაზე, ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სპორტზე, თბილისზე და თბილისელებზე, საგმირო ეპოსზე, თანასწორობაზე, თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, ძალადობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და უამრავი სხვა.

მაგრამ ის, რასაც უკვე მივალწიეთ ჩვენი კარტოთეკის ჩვენი მკითხველებისათვის გაცნობისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით არასაკმარისად მიგვაჩნია, რადგან ვთვლით, რომ აღნიშნულ ანბანურ-საგნობრივ საძიებელს მეტი რეკლამირება სჭირდება არა მარტო საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, არამედ სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაკები ამ პრობლემას ეტაპობრივად მოვაგვარებთ.

იუნი სინაიჯიძე

ძმები გოგოლაძეების სამწერლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ

სლექსანდრე გოგოლაძის ოჯახი მთელ მხარეში იყო ცნობილი მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ალექსანდრე სოფლის მწვერლად მუშაობდა გოგოლესუბანში (ჩოხატაური, ოზურგეთის მაზრა). მისი მეუღლე - ქალბატონი ეგვიტო დიასახლისი იყო, რომელსაც კარგად ესმოდა განათლებისა და მწიგნობრობის ფასი. იგი ყველაფერს აკეთებდა, ღირსეულად აღეზარდა შვილები - ორი ვაჟი - ირაკლი და კაპიტო, და ქალიშობილი - ჟოზეფინა.

მამა - ალექსანდრე, ადრე გარდაიცვალა და შვილები ობლებად დარჩნენ, მაგრამ მათ იმარჯვეს და ცხოვრებაში ღირსეულად გაიკვლიეს გზა. და - „ჟოჟ“ გაზეთ „ბათუმის“ გამომცემლის, სპირიდონ ჭელიძის მეუღლე იყო და ოჯახური საქმეების გარდა, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იყო ჩართული.

ირაკლი უფროსი იყო. დაიბადა 1872 წელს. ხანგრძლივად არ უცხოვრია (გარდაიცვალა 1935წ), მაგრამ მეტად საინტერესო ცხოვრება განვლო და სათანადო კვალიც დატოვა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე დედას დააწვა კისრად. ირაკლი, როგორც უფროსი შვილი, ცხადია, დედას ყოველმხრივ უწყვედა შემწეობას. ვერავინ იფიქრებდა, ქვრივი ქალბატონი იმდენს შეძლებდა, რომ ამგვარი სასახელო შვილები გაეზარდა.

ირაკლიმ თვითგანათლებით შეძლო მიეღო განათლება და საზოგადოების ღირსეული წევრი გამხდარიყო. ამ გზას ადგა აგრეთვე და - ჟოზეფინაც, რაც შეეხება შუათანას - კაპიტონს - წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი და თვითგანათლებას დაეწაფა.

ირაკლის პოეზიის ნიჭი აღმოაჩნდა.

წარმატებული აღმოჩნდა მისი გამოსვლა ქართული იუმორისა და სატირის ასპარეზზე. როგორც ცნობილია, სატირა და იუმორი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ განვითარებული იყო. ამ პერიოდში აქ ქართული სატირისა და იუმორის კორიფეები მოღვაწეობდნენ - ნესტორ კალანდაძე („ეშმაკი“), შალვა შარაშიძე („თაგუნა“) და სხვანი, თვით აკაკი წერეთლის თაოსნობითა და ხელდასმით. მაგრამ მათი უმრავლესობა დედაქალაქში მოღვაწეობდა. ამიტომაც დიდი მწიგნულობა ჰქონდა იმას, მათ ხმას პერიფერიები რომ უერთდებოდნენ. ამ მოღვაწეებიდან გამოირჩეოდნენ შემდეგში უკვე თვალსაჩინო შემოქმედნი: კალისტრატე რამიშვილი (1886-1963); პარმენ ლორია (1896-1978) და მათ შორის ასაკით უფროსი და წინა თაობის დროს უკვე აღიარებული იუმორისტ-სატირიკოსი ირაკლი გოგოლაძე (1872-1935), რომელიც „წაველას“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა. მან არამარტო კარგი პოეტური შემოქმედებით გამოიჩინა თავი, არამედ პოლიტიკური მოღვაწეობითაც. იმ დროს, როცა გასული საუკუნის თავგაცებს იუმორისა და სატირის დარგში ძალიან გაუჭირდათ ახალი საუკუნის 20-იან წლებში განვითარებულ მოვლენებთან შეგუება, ირაკლი გოგოლაძემ სრულიად უდრტკინველად შეძლო დამდგარიყო ახალი სატირულ-იუმორისტული ჟურნალის, „ნიანგის“ დამაარსებლის - სილიბისტრო თოდრიას (1881-1936) გვერდით და დაუვიწყარი ნიშნით აღებეჭდა ახალი დროის ტენდენციები, საკუთარი კვალი დააჩინა ამ მიმართულებაში.

ვინც ახლოს იცნობდა ირაკლის, ბევრს გაუკვირდა მისი ასეთი სწრაფი „ფერისცვალება“, მაგრამ გონიერმა მწერალმა ძალიან კარგად იცოდა, რას აკეთებდა და არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, რასაც შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა.

ბევრს ეგონა, რომ ახალი ხელისუფლება ღირსეულად დააფასებდა ირაკლი გოგოლაძის ღვაწლს, მაგრამ ეს არ გამართლდა, რაც საერთოდ, დამახასიათებელი იყო იმ დროისათვის. მაგრამ ამას ირაკლი გოგოლაძის შემოქმედებით საქმიანობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

1935 წელს, როდესაც ის გარდაიცვალა, პოლიტიკური ატმოსფერო ისეთი მძიმე იყო და იმგვარად დამუხტული, ამგვარი მოვლენებისთვის ყურადღების დათმობა, მაინცა და მაინც, არ იყო მიღებული. მუხედავად ამისა, იგი დიდი პატივით დაკრძალეს თავის ეზოში.

ირაკლი გოგოლაძეს გარს მუდამ ერტყნენ მისი თავყვანისმცემელები. ის მშობლიური კუთხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა,

ყველა პატივს სცემდა და აფასებდა, კარგად იცნობდნენ როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს.

ირაკლის სოფელში საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომლითაც ყველას შეუფერხებლად შეეძლო ესარგებლა. იმდენი წიგნი, რამდენიც მას გააჩნდა, იშვიათად, თუ ვინმეს ექნებოდა ამ მხარეში. ამას მისი სამსახურეობრივი საქმიანობაც უწყობდა ხელს - მშვენიერი წიგნის მაღაზიის მეპატრონე იყო ჩოხატაურში. ათეული წლების განმავლობაში დებულობდა ჩოხატაურში მშვენიერ გამოცემებს, რომელთა ერთი ნაწილით თავის საკუთარ ბიბლიოთეკას ამდიდრებდა. მისი უმცროსი ძმა, ცნობილი პოეტი, კაპიტონ გოგოლაძე, რომელსაც საუკეთესო პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა შექმნილი ბათუმში, სადაც ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდა, სისტემატურად ეხმარებოდა ძმას წიგნების შეგროვებაში.

ირაკლი გოგოლაძის ბიბლიოთეკა დიდხანს იყო დაცული. მან გასული საუკუნის შუახანებამდე მოატანა. ის მეც მინახავს ირაკლის შესანიშნავი ვაჟის, ცეკვის დიდოსტატის, ტიტე გოგოლაძის თავაზიანი მიწვევის წყალობით.

ირაკლი გოგოლაძეს არც მისი ძმა, კაპიტონი ჩამორჩენია. იგი 1879 წელს დაიბადა. ძმებს ბავშვობიდანვე დაჰყვათ სატირულ-იუმორისტული უნარი და პოეტური ნიჭი. კაპიტონი უკვე სასწავლებელში წერდა ლექსებს. მოგვიანებით ის ბათუმში დასახლდა და დიდი ხნით დამკვიდრდა აქ. უპრობლემოდ შეერწეა იქაურ მოწინავე საზოგადოებას და შემოქმედებით ინტელიგენციას. იგი კარგად იყო ცნობილი ფსევდონიმით „კენტი“. კარგ განსწავლულობას ემატებოდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, თანაც კარგი ორატორიც გახლდათ. უკვე ცნობილი პოეტი, არ ივიწყებდა თავის მშობლიურ გოგოლესუბანს. ხალხიც დიდად აფასებდა. მისდამი პატივისცემის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, სოფელმა როცა ბიბლიოთეკის დაარსება შეძლო, მას მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კაპიტონ გოგოლაძის სახელი მიანიჭა. ამ ბიბლიოთეკამ რამდენიმე წელს იარსება და დიდი სამსახური გაუწია სოფლის მოსახლეობას.

კ. გოგოლაძის სახელობის ბიბლიოთეკა გოგოლესუბანში სკმაოდ მდიდარი იყო წიგნადი ფონდით. საქართველოში გამოძავალი თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი გააჩნდა ბიბლიოთეკას, ბლომად იყო ქართველ მწერალთა თხზულებები, არ აკლდა უცხოელ მწერალთა თარგმანთა გამოცემები. აქ დაცული იყო თვითონ კ. გოგოლაძის ყველა წიგნი

და პერიოდიკაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები. საგულისხმოა, რომ აქ თავმოყრილი იყო მრავალი ჟურნალ-გაზეთის კომპლექტები, სრულად იყო თავმოყრილი ამჟამად მეტად იშვიათი პერიოდული ორგანოს, ბათუმში გამომავალი გაზეთის „ბათუმის“ ნომრები.

სამწუხაროდ, როდესაც ეს ბიბლიოთეკა გააუქმეს, მისი წიგნები მოსახლეობაში მიმოიფანტა. ამ ბიბლიოთეკის ზოგი ეგზემპლარი ბევრ განათლებულ ოჯახში მინახავს ჩემს ყმაწვილობაში.

კაპიტონ გოგოლაძე 20-იან წლებში თბილისში დამკვიდრდა და თავისი პირადი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი აქ გადაიტანა.

მას ძალიან სტკიოდა გული მისი სახელობის ბიბლიოთეკის გაუქმების გამო, მაგრამ რას გახდებოდა? დრო იყო ამგარი - სოციალისტის სახელზე არსებულ ბიბლიოთეკას არსებობა როგორ იქნებოდა დაშვებული?

საოცარია, რომ თვითონ პოეტი გადაურჩა შევიწროებასა და ზეწოლას, თუ უფრო მეტს არა. იგი 1943 წელს გარდაიცვალა თავისი დღით თბილისში.

დღეს კვლავ ინტერესი აღიძრა კაპიტონ გოგოლაძის შემოქმედებისადმი. მწერლის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნდა, მაგრამ მეტია საჭირო. მისი პოეზია ღირსია, რომ ახალი თაობაც გაეცნოს მას.

სიანა ნაბიჯიძე

ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილების სპეციალისტი

შეათავსე წიგნი და კომპიუტერი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, პრეზიდენტის ფონდთან ერთად, ახორციელებენ პროექტს - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომ ბიბლიოთეკები არა მარტო წიგნის გაცემის ადგილი იყოს, არამედ გადაიტანონ საინფორმაციო ცენტრებად, რითაც შეიძენენ მრავალფუნქციურ სტატუსს და ინტერნეტზე წვდომა ექნება ყველა სოფლის მცხოვრებლებს. გარდა ამისა, ეს პროექტი ითვალისწინებს სოფლის ბიბლიოთეკარების გადამზადებას კომპიუტერული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.


ამ მიზნით 21-22 ივნისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგი კონკურსში გამარჯვებული სოფლის ბიბლიოთეკებისათვის, რომლებმაც დააკმაყოფილეს კომპიუტერული ტექნიკისათვის გათვალისწინებული კრიტერიუმები.

ტრენინგი ჩატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუ-



დან ასათიანმა, ქვედა საქარის სასოფლო ბიბლიოთეკის სპეციალისტ თონა კაპანაძესთან ერთად, რომელმაც გაიარა საბიბლიოთეკო ასოციაციაში ტრენინგები და გადამზადდა როგორც ტრენერი. პროექტის კონკურსში გაიმარჯვა ჩვენს რაიონში სოფ. სვირის და სოფ.ქვედა საქარის ბიბლიოთეკარებმა. ორი დღე უტარდებოდათ ბიბლიოთეკარებს კომპიუტერის მოხმარების უნარ-ჩვევებში ტრენინგები. ტრენინგზე მოწვეულნი იყვნენ: ვანის, ხარაგაულის და ჭიათურის სპეციალისტებიც. ბიბლიოთეკარები კომპიუტერის მოხმარების წესებს და სხვადასხვა საკითხებს ძირითადად გაივლიან ასოციაციის მოსამზადებელ კურსებზე და მიღებული ცოდნით დაეხმარებიან მკითხველებს. ელექტრონული წიგნების, ელექტრონული პერიოდული გამოცემების, ტექსტური დოკუმენტების და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული





მასალების მოძიებაში.

ინტერნეტის საშუალებით უფასოდ მოიძიებენ ელექტრონული დოკუმენტების, ბიზნესის, მედიცინის, სოციალურ და სხვა სფეროებში ინფორმაციას. ბიბლიოთეკარები უფასოდ შეასწავლიან მომხმარებელს კომპიუტერთი სარგებლობას და შემდეგ თვითონ მოიძიებენ

მასალებს, რაც მათთვის საინტერესო იქნება. თანამედროვე დონეზე განათლებული ბიბლიოთეკარების დახმარებით მოელრიგ სოციალურ და ეკონომიურ პრობლემებს გადაჭრის ბიბლიოთეკარების დახმარებით სოფელში მცხოვრები მოსახლეობა.

ჩვენს რაიონში ამ პროექტის გაფართოებისათვის პირველ რიგში ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება ხდება საღვინესა და ძირულაში, სადაც წინასწარმოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულია ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით. მათთვის კომპიუტერების დადგმა გათვალისწინებულია 2017 წლისათვის.

ვიმედოვნებთ რომ პროექტი - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ თანდათან გაფართოვდება, რაც ხელს შეუწყობს სოფელში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

რეკონია


ბიოხი ბაზენი
ჰუბლიცისტი

შეცდომაც არის და შეცდომაც!

სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ წლევიან-დედი წლის მეექვსე და მეშვიდე ნომრის ფურცლებზე (იხ.: №6, გვ. 10-14 და №7, გვ. 15-20), ჟურნალ „განთიადის“ 1984 წლის მე-3 ნომრიდან, ერთგვარი ცვლილებებით, გადმობეჭდილია ალექსანდრე სიგუას პუბლიკაცია, სათაურით „ვლადიმერ მიქელაძის დვაწლი და ამაგი“ (იხ.: გვ. 160-171), რომელშიც განხილულია ცნობილი ლიტერატორის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის, თბილისის სამეურნეო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებლის, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან და ჩვენს სხვა გამოჩენილ მამულიშვილებთან დაახლოებული შესანიშნავი პიროვნებისა და ქველმოქმედის, საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძის (1856-1927) ცხოვრება და სამშობლოს კეთილდღეობისათვის გაწეული მისი ამაგი და დვაწლი. ქართველმა ხალხმა თავის ამ საამაყო შვილს იმით დაუფასა ერისა და ქვეყნისადმი თავდადებული, უანგარო მსახურება,

რომ, გარდაცვალების შემდეგ, მას სამუდამო სავანედ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი მიუჩინა.

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ მასალების გამოქვეყნების „სპეციფიკურიდან“ გამომდინარე, მე არ შევუდგები მის ფურცლებზე დაბეჭდილი ალექსანდრე სიგუას ზემოხსენებული ვრცელი სტატიის აკარგვიანობის განსჯას და მკითხველს პირდაპირ მივუთითებ მხოლოდ იმ შეცდომაზე (და არა ლაფსუსზე!), რომელიც „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ ჟურნალ „განთიადიდან“ მისი გადმობეჭდვის შემდეგ არის დაშვებული. საქმე ის გახლავთ, რომ „განთიადში“ გამოქვეყნებულ თავის პუბლიკაციაში ავტორს ჩართული არა აქვს ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძის ფოტოსურათი, „ისტორიულ მემკვიდრეობაში“, ასე ვთქვათ, „გამეორებულ“ მის სტატიაში კი ჩასმულია ფოტო, და არ იკითხავთ ვისი? ვისი და ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძის (1891-1920) - სამოქალაქო ომის გმირის, „წითელი კომისრის“, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილისა და მგზნებარე ბოლ-



ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძე



შევიკის, რომელიც, დაღუპვის შემდეგ, დასაფლავებულ იქნა მოსკოვში, ვაგანკოვის სასაფლაოზე, სამოქალაქო ომის გმირის ვასილ კიკვიძის გვერდით.


ცხადია, მკითხველი დაინტერესდება, თუ რა მოხდა,

რამ გამოიწვია ამგვარი აბრაკადაბრა. ჩემი აზრით, სავარაუდოდ, ეს განაპირობა იმან, რომ სასურველი ფოტოს მოსაძიებლად, „ისტორიული მემკვიდრეობის“ თანამშრომლებმა მიმართეს „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას“, რომელშიც, სამწუხაროდ, ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძის შესახებ ინფორმაცია შეტანილი არ არის, სამაგიეროდ, ჟურნალისტებს იქ „დახვდათ“ ფოტო, მითითებით „ვ.ნ. მიქელაძე“ (ალექსანდრე სიგუას თავის წერილში ვლადიმერ მიქელაძის მამის სახელი ნახსენები არ აქვს) და მათ ისე, რომ არ ჩაიხედეს იქვე დაბეჭდილ ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძის მოკლე ბიოგრაფიაში, აიღეს, ფოტო დაასკანერეს და საქმე მოთავსებულად მიიხინეს. არადა, ისინი კვლევა-ძიებას მეტი გულისყურით რომ მოკიდებოდნენ, სასურველ ფოტოსურათს სულ უმტკივნეულოდ მოიპოვებდნენ, რამეთუ 1986 წელს ალექსანდრე სიგუას მიერ გამოქვეყნებულ წიგნში,

სათაურით „მამულიშვილი“, შეტანილი არის ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძის ორი ფოტო, რომელთაც აქვე ხელმეორედ ვაქვეყნებთ.

კარგი იქნება, თუ მკითხველი მოახერხებს „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ დაბეჭდილი ალექსანდრე სიგუას ზემოაღნიშნული სტატიის გაცნობას და მასთან წინამდებარე ჩემს შენიშვნაში მოთავსებული ფოტოსურათების შედარებას. დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი, ჩემი ამ მოკრძალებული თხოვნის შესრულების შემთხვევაში, ხმამაღლა თუ არ წამოიძახებს, აუცილებლად გაიფიქრებს მაინც ცნობილ ქართულ ხალხურ ანდაზას „სად ერეკლე და სად თეკლეო“.

ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი „რეპლიკა-შენიშვნა“ არ გაანაწყენებს ხსენებული ჟურნალის შემოქმედებით დასს, რომელიც საშურ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს და „ისტორიული მემკვიდრეობა“ კვლავაც ჩვეული მაღალპროფესიულობითა და კვალიფიციურობით განაგრძობს თავის სამეცნიერო-კვლევითი და შემეცნებით-პოპულარული პროფილით ფუნქციონირებას.



ლახჯან ხველიძე

„სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონის“ შესახებ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინოვაციურ პროექტს - „სასკოლო ლექსიკონები“ წელს შეემატა ახალი ციფრული რესურსი - „სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონი“.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ლექსიკონი არ გახლავთ ბეჭდური ფორმატით არსებული წიგნის შესაბამისი ციფრული დუბლიკატი, არამედ იგი შეიქმნა სიმონ გაჩეჩილაძის ლიტერატურათმცოდნეობითი სასკოლო სახელმძღვანელოს გადამუშავების შედეგად და წარმოადგენს კორექტირებული ტექსტის ბაზაზე შექმნილ პირველ გაციფრებულ ლიტერატურათმცოდნეობით ლექსიკონს.

თავდაპირველად ორიოდე სიტყვა სიმონ გაჩეჩილაძის ზემოხსენებული სახელმძღვანელოს შესახებ. ის გახლავთ გასული საუკუნის 40-იან წლებში (შემდგომ არაერთგზის გამოქვეყნდა) გამოცემული იდეოლოგიური კლიშეებით გაჯერებული სასკოლო სახელმძღვანელო. მიუხედავად იდეოლოგიური მინარევებისა, სწორედ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სისტემატიზირებულ, მეტ-ნაკლებად სოლიდურ ლიტერატურათმცოდნეობით კრებულს. როგორც სოციალიზმის ზეობის ეპოქაში გამოცემული ნაშრომი, აღნიშნული სახელმძღვანელოც გადატვირთულია იდეოლოგიური თვალსაზრისით.

პირველყოფლისა, წიგნი განიტვირთა იდე-

ოლღოგიური შინაარსისაგან.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს.

წიგნიდან საერთოდ იქნა ამოღებული რიგი საკითხებისა: ლიტერატურის ტენდენციურობა, პარტიულობა, სოციალისტური რეალიზმი (ბუნებრივია, რეალიზმი დარჩა), როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა და ა.შ.

ცალკეულ ტერმინთა ნიმუშებად წიგნში მოყვანილ ე.წ. „საბჭოურ“ ლექსიკურ ერთეულებს ჩაენაცვლა ნეიტრალური შინაარსის ნიმუშები. მაგ. ნეოლოგიზმის საილუსტრაციოდ მოყვანილი სიტყვები „კლემურენე“, „საბჭო“, „ზაჰესი“, „კომკავშირი“, „სოც შეჯობრება“ და ა.შ. ჩანაცვლებულია არაიდეოლოგიური შინაარსის სიტყვებით.

უნდა ითქვას, რომ ამ ხერხს მივმართეთ რამდენჯერმე.

ბალასტისაგან გაცხრილვის პარალელურად,



რად, საჭიროებამ მოითხოვა, წიგნში უხვად წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის რევიზიაც (ნაშრომის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მდიდარია საილუსტრაციო რესურსით). მაგ: მხატვრული და არამხატვრული ტექსტების განსხვავებულობის საილუსტრაციოდ, წიგნში ერთმანეთთანაა შედარებული პოეტური ნიმუში და ე.წ. მეცნიერული ენით დაწერილი ტექსტი. პოეტურ ნიმუშად წარმოდგენილია ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი“, ხოლო არამხატვრული ტექსტის ნიმუშად მოყვანილია ნაწყვეტი კომპარტიის სახელმძღვანელოს ტექსტიდან. შესაბამისად, კომპარტიის სახელმძღვანელოდან ამოღებული ტექსტი ჩვენ მიერ ჩანაცვლებულია ნაწყვეტით ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“.

ისეთი სინტაქსური ფორმის საილუსტრაციოდ, როგორცაა, მაგალითად, მიხეხის გარემოებითი პერიოდი, სახელმძღვანელოში გვხვდება გ. ტაბიძის შემდეგი სტროფი:

„ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა,
ჩვენ არ გვინდა ომი,

მაგრამ კაპიტალისტების არ ისვენებს ტომი,
რადგან მტერი არ ისვენებს
ჩვენი სისხლის მდომი,
ყველა წითელარმიელი იდგეს,
როგორც ლომი“.

აღნიშნული ნიმუში შეიცვალა იმავე აზრობრივი შინაარსის, ანუ მიხეხის გარემოებითი შინაარსის მქონე მაგალითით აკ. წერეთლის ლექსიდან „დამურა“:

„ერთმა უგზურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა,
დასწყველა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა.
ამ უსამართლო ბუნებამ თავგად რად გამაჩინაო,
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერქვეშ მომცა ბინაო“.

ერთი სიტყვით, ტექსტი გასუფთავდა „იდეოლოგიური“ ბალასტისაგან და შეივსო რელიგვიანტური შინაარსის მასალით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ანალოგიური „ქირურგიული“ ჩარევის მიუხედავად, ჩვენ ვხელმძღვანელობდით მკაცრი მითითებით, რომ მაქსიმალურად

ავთენტურად შეგვენარჩუნებინა როგორც ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, ისე მისი მხატვრული ქსოვილი, რაც ხედმიწვევით იქნა გათვალისწინებული და ამის შედეგად მივიღეთ წიგნის ზომიერად კორექტირებული, მაგრამ ავთენტური და თვითმყოფადი ასლი.

ეს, რაც შეეხება ნაშრომის შინაარსისა და ფორმის კორექციას.

ამის შემდეგ ჩვენ მასალა გადავიტანეთ ლექსიკონის ფორმატში.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც ლექსიკონმა მიიღო დასრულებული ფორმა, კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა, თუ რა ხედმიწვევით ზუსტად მოირგო ამ წიგნმა ლექსიკონის ფორმატი. ეს არის იმ კვალიფიციური ადამიანების დამსახურება, რომელთაც ასე განვითარებული პროფესიული ადლოს წყალობით ზუსტად შეარჩიეს იგი ლექსიკონის ფორმატისათვის.

ლექსიკონზე მუშაობის დასრულების შემდეგ მასზე მომუშავეთათვის კიდევ უფრო მეტად ცხადი გახდა მისი უპირატესობანი. როგორც აღვნიშნეთ, იგი შეიქმნა პირველი სისტემატიზირებული ლიტერატურათმცოდნეობითი სახელმძღვანელოს ბაზაზე. ამა თუ იმ ცნების განმარტებისას ავტორი ცდილობდა მაქსიმალურად წარმოეჩინა თანამედროვე კონცეფციები და თეორიები. ამ წიგნს მოჰყვა სხვა ავტორთა ლიტერატურათმცოდნეობი-

თი ნაშრომები. ამ მიმართულების ნაშრომთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია 2012 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“.

წიგნი მდიდარია საილუსტრაციო მასალით. ზოგ საკითხთან დაკავშირებით საილუსტრაციო ნიმუშები უფრო უხვადაა წარმოდგენილი, ზოგან ნაკლებად, მაგრამ მთლიანობაში წიგნს სწორედ მდიდარი საილუსტრაციო ნიმუშები გამოარჩევს. ამასთან, ხაზგასმას იმსახურებს ერთი გარემოება: საილუსტრაციო მასალად მოტანილი ციტატების ავტორთა წრე არ არის ფართო, თითქმის არ გვხვდებიან უცხოელი ავტორები. წიგნის ავტორი ციტირებს ძირითადად ქართველ კლასიკოსებს (შოთა, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი), საბჭოთა ეპოქისათვის აქტუალურ, სოციალურ თემატიკაზე ფოკუსირებულ მწერლებს (ე. ნინოშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვ). მიუხედავად იმისა, რომ ციტირებულ ავტორთა შეხედულებები რაოდენობა, შესაძლოა, რაღაც ასპექტით, ხარვეზადაც კი ჩაითვალოს, სამაგიეროდ, როგორც სასწავლო სტრატეგია, სწორი და გამართლებულია, რადგან, როდესაც მოსწავლეს აწვდი პოპულარულ მასალას და ციტირებულ ავტორთა მხატვრული სტილის ნაირგვარობა მას ყურადღებას არ უფანტავს, ამ დროს მისი ყურადღება მთლიანად ფოკუსირდება შესასწავლ საკითხზე, რაც ხელს უწყობს საკითხის ღრმად წვდომას.

რაც შეეხება ტერმინების ტრანსფერს - გადატანას სახელმძღვანელოდან ლექსიკონში.

წიგნში არსებული ყველა ტერმინი გადმოტანილია ლექსიკონში. უფრო მეტიც: სახელმძღვანელოში რომელიმე ტერმინის გვერდით სახსვართა შორისოდ ნახსენები ტერმინიც კი ლექსიკონში ცალკე ერთეულადაა წარმოდგენილი. მაგ. ექვსტერფიანი ტაეპის გვერდით ნახსენებია ჰეგზამეტრი, თუმცა ჩვენს მიერ ჰეგზამეტრი ცალკე ერთეულადაა გამოყოფილი. იგივე შეიძლება ითქვას ტერმინებზე „ექსპოზიციაც“, „პირდაპირი ექსპოზიციაც“, „შენელებული ექსპოზიციაც“. მათგან ბოლო არი ტერმინი ცალკე ერთეულადაა წარმოდგენილი და ა. შ.

წიგნის გადატანისას ლექსიკონის ფორმატში ჩვენ ვიხელმძღვანელო პრინციპით, რომ იგი, როგორც ვიზუალური სასწავლო რესურსი, მაქსიმალურად სასარგებლო და ეფექტიანი ყოფილიყო დამოუკიდებელი გამოყენებისას, რომ ლექსიკონის გრაფიკული ფორმატი მაქსიმალურად მორგებოდა მოსწავლეთა საჭიროებებს და ყოფილიყო მაქსიმალურად ეფექტიანი, როგორც საგანმანათლებლო რესურსი. ფორმატს უნდა

გაეადვილებინა შინაარსის აღქმა და გაახსრება. ამ მიზნით, აქტიურად გამოვიყენეთ ტუშირება. ყველა საკვანძო ტერმინი, დეფინიციაც, ციტატები, ავტორთა სახელები მონიშნულია შავი შრიფტით.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაადვილებოდათ ერთიან ტექსტში ცალკეული საინფორმაციო ერთეულების გამოყოფა, ინფორმაციების დახარისხება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციების გამიჯვნა, აქტიურად გამოვიყენეთ ტექსტის აბზაცებად დაყოფის მეთოდი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის ციფრულ ლექსიკონთა შორის აღნიშნული ლექსიკონი გამორჩეულად მარტივად გამოყენებადი რესურსია „კომფორტული“ გრაფიკული ფორმატის გამო.

თუმცა მარტო ამგვარი გრაფიკული ფორმატი არ განასხვავებს ჩვენს ლექსიკონს სხვა ციფრული ანალოგებისაგან. ამ ლექსიკონით ჩვენ ვნერგავთ ე. წ. გაფართოებული ექსპლიკაციის პრაქტიკას (და ამას უნდა ვუმაღლოდეთ ნათია შენგელიას პროფესიონალიზმსა და კრეატიულობას), როდესაც ახსნა-განმარტებას ექვემდებარება არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ტერმინი, არამედ ამ ტერმინის განმარტებისას გამოყენებული ყველა უცხო სიტყვა, რომელიც შესაძლოა ახსნას საჭიროებდეს.

განვიხილოთ მაგალითი:

ტერმინ „ავტობიოგრაფიის“ განმარტებაში ვკითხულობთ:

„ვრცელი ავტობიოგრაფიის აღსანიშნავად, ბიოგრაფიის პარალელურად, იხმარება აგრეთვე სიტყვა „თავგადასავალი“.

მაგ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, რომელშიც პერსონაჟი მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით, ბავშვობისა და სიჭაბუკის პერიოდში.“

თუკი არ გვეცოდინება ლურჯად მონიშნული სიტყვების მნიშვნელობა, დავაწკაპუნებთ და სისტემა ავტომატურ რეჟიმში დაგვაკავშირებს მათ საექსპლიკაციო ციფრულ რესურსთან.

და არა მხოლოდ...

ციტირებული ნაწარმოების შემთხვევაში (მაგ. „ჩემი თავგადასავალი“) კი შეგვეძლება ვიხილოთ ტექსტიც (თუკი მისი ციფრული ვერსია არსებობს).

ცხადია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ლექსიკონი სრულყოფილია. ბუნებრივია, გვაქვს უკმარისობის გრძნობა, რომ უკეთესად შეიძლებოდა მისი სტრუქტურირება როგორც შინაარსობრივად, ისე გრაფიკულად.

ველოდებით და სიამოვნებით გავითვალისწინებთ საქმიან შენიშვნებს.

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ (გალაკტიონი) „ბიბლიოთეკარი პოეტის“ მეორე კრებულის შესახებ

მ რამდენიმე დღის წინ ერთი ავტორის წიგნის წარდგენაზე შევიკრიბეთ, ბევრი ჩვენთაგანი მართლაც ვიყავით პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარული და გარკვეულწილად ამ საქმის მცოდნენიც... საყურადღებო საუბარი გაიმართა, სწორედ ამ საუბრის დროს დამებადა აზრი - მწერლობა, ეს დიდი და მძიმე სატვირთავი პროფესიაა. მაგრამ როდის არის მწერლობა პროფესია, როდესაც მთელი სულით და გულით, სამუშაო დღის სრული დატვირთვით მიუძღვნი ამ საქმეს შენს ცხოვრებას თუ მაშინაც, როდესაც ლექსებისა და მოთხრობების წერას პობად მიიხნევი? ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, პოეტმა ქალბატონმა ისეთი სიტყვები თქვა, რომ დაფუკვირდი, კი, ნამდვილად, მწერლობა პროფესიაა. ღამაზად წერა შეიძლება ბევრმა შეძლოს, მაგრამ რას წერ, რას ემსახურება შენი ნაწერი, - ფიქრობ, რომ მთავარი ეს არის და მაშინა ხარ პროფესიონალი, საზოგადოებისთვის საინტერესოც, მნიშვნელოვანიც და სასარგებლოც. თუმცა, აქაც ბევრი რამ სადავოა. ხომ არის ხელოვნება ხელოვნებისთვის და არა ხალხისთვის, არც საზოგადოებისთვის, მხოლოდ ვიწრო წრისთვის და ამ ვიწრო წრეში ატეხავენ ერთ ამბავს (ჭიქა წყალში ქარიშხალს): ხედავთ, კალამი თუ ფუნჯი როგორ მოუსვია, ეს რა ფერთა გამაა, ეს რა პოეტური ხილვები და სიტყვები... დიახ, პოეტური ხილვები და წარმოსახვებიც უნდა იყოს, ფერთა გამაც, განსაკუთრებული სურნელებითაც უნდა ატკბობდეს შენი ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა მკითხველს (მხატვრობის შემთხვევაში - მნახველს,) თორემ სხვაგვარად ვერ იქნება მწერლობა და ვერც ხელოვნება.

იცით, ეს საუბარი რატომ წამოვიწყე? ამ ცოტა ხნის წინ ერთი ძვირფასი და კარგი ქალბატონის, ინგა ლორიას შედგენილი წიგნი „ბიბლიოთეკარი - პოეტი“ მისახსოვრეს (ამ სათაურით შარშანაც გამოსცა ქალბატონმა ინგამ ერთი ღამაზი კრებული). უცებ ვერ შევათავსე ეს ორი სიტყვა ერთმანეთს, ბიბლიოთეკარი ხომ ბიბლიოთეკარია, პოეტიც

-თავისთავად პოეტი. მაგრამ ორივე ერთად?! დიახ, ახალი ამბავი როდია ჩემთვის ერთ პროფესიას შეჭიდებული კაცი რომ მეორესაკენ იღტვის და ხშირად ეს „მეორე“ უკეთ გამოსდის. მაინც ეჭვის თვალთ გადავათვალიერე წიგნი და ჩემდა სასიხარულოდ, ბევრი ტკბილსურნელოვანი ლექსი აღმოვაჩინე.

ბიბლიოთეკაში მუშაობა, კერძოდ, ბიბლიოთეკარობა სახუმარო საქმე არ არის, თუ ნამდვილი ბიბლიოთეკარი ხარ, ე.ი. თუ გიყვარს წიგნი, თუ იცი საბიბლიოთეკო საქმე (უპირველეს ყოვლისა, წიგნების ორგანიზება და ბევრი სხვა რამ!) და თუ პატივს სცემ მკითხველს, ადამიანს.

„დაგხვდებით წყნარი, მორცხვი ღიმილით, თვით პროფესია სიწყნარეს ითხოვს; მოგესალმებათ ის მოკრძალებით და უკვე იცის, რა უნდა ჰკითხოთ“;

აი ასეთი მშვენიერი სტროფით გვეუბნება წიგნში - „პოეტი ბიბლიოთეკარი“ (კრებული პირველი) ბიბლიოთეკარის ბუნებასა და როლზე თავად ბიბლიოთეკარი კი არა, ბიბლიოთეკარების ნამდვილი მანქანა - ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გურამ თაყნიაშვილი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი, ცოდნა და განათლება ქართულ საბიბლიოთეკო საქმეს მიუძღვნა. არ არსებობს საქართველოში კუთხე, სოფელი თუ ქალაქი, სადაც კი ბიბლიოთეკაა, გურამ თაყნიაშვილის დამოძღვრილი ბიბლიოთეკარები არ მუშაობდნენ. ბიბლიოთეკარის დასახასიათებლად მან ასეთი პოეტური სიტყვები გამოიყენა:

„გულუხვად გასცემს ყოველდღიურად სულის საზრდოს და გულის მაღამოს, თავს დასტრიალებს დედაშვილურად სოფლის ყველაზე მდიდარ საღაროს“

წიგნის, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ურთიერთობით ბევრი სასიკეთო რამ ხდება, ვინმე კერძო პირისთვის კი არა, არამედ სახელმწიფოსთვის, ქვეყნისთვის. ვინც



ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოთეკის მუშაობა არაპროდუქტიულიაო, სამწუხაროდ, მას არაფერი გაეგება კულტურისა და განათლების ამ ზოგადსაკაცობრიო სფეროში (ასეთ შემთხვევაში უთუოდ ინტელექტის დეფიციტთან გვაქვს საქმე). თუ პირველი იყო სიტყვა , მას მოჰყვა დამწერლობა და ყოველივე ამის შემდგომ დაიბადა კაცობრიობის მოდემის გაადამიანებისა და უკვდავების საფუძველი - წიგნი, მაშ, რაზეა საუბარი! მაგრამ დღესდღეობით საუბარი საუბრად რჩება და ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის როლი არ არის ისე შეფასებული (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში), როგორც მას ეკუთვნის.

ბიბლიოთეკარი გონებრივ სამუშაოსთან ერთად ფიზიკურადაც დატვირთულია,ყოველივე ეს კარგად უწყიან ბიბლიოთეკარებმა და ამ დროს მათ თუ თავიანთი ინტელექტი იზიდავს პოეტურ სამყაროში არა მხოლოდ ფიქრებთან ერთად განმარტობით სამოგზაუროდ,არამედ საკუთარი მხატვრული სიტყვის სათქმელად და რითმების ასაკრებადაც, დიახ, საამაყოა ეს და გასახარელი. მოიძიეთ, ნახეთ, გადაშალეთ ეს ლამაზყდინი კრებული, გაეცანით ჩვენი ბიბლიოთეკარების პოეტურ განწყობას და ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებით,ჩემო ძვირფასო მკითხველო, იმიტომ, რომ წიგნის მსახურნი არა მხოლოდ განსწავლულნი, არამედ ნამდვილი მამულიშვილები არიან, შეგიძლიათ თავისუფლად ენდოთ, ესაუბროთ, გაუხიაროთ აზრები და შეხედულებები, შეხვიდეთ თანამედროვე ინფორმაციის თქვენთვის საინტერესო სფეროში,გაიდრმავოთ ცოდნა და სულიერადაც ამაღლდეთ...

სად არ დადიან და რას არ ეტრფიან ჩვენი მწიგნობარი ბიბლიოთეკარები. ეტრფიან სამშობლოს, გმირობას , სიღამაზეს, ბუნებას, ერთგულებას, სიყვარულს და თურმე, არც ისე ცუდად გამოუდით ამ გრძნობებზე პოეტურად საუბარი. „მე პოეზიის ჰანგით ვარ სავეს, ქართული სიტყვა მომძაღვებია, ხალხის ტკივილი, ღხინი და დარდი პატარა მხრებით მიტარებულია...“- არ დაიჯერებთ ქუთაისელი ბიბლიოთეკარის, ირმა მეშველიანის ამ წრფელ სიტყვებს? ანდა, როგორ შეიძლება წაიკითხო და არ მოიხიბლო ჭიათურელი (სოფელი რგანი) ბიბლიოთეკარის ნიაზ აჭარაძის ლექსით - „ნათია“:

„სახლისკენ მივაბიჯებ დიდინით,
ბახუსმა თავისი გაიტანა,
ჭიშკართან გოგონა მიდიმის,
ირმისფეხება და ალვისტანა.
მოვარე ფარანივით ანთია,
ვღგავართ ერთმანეთთან ახლოს,

მეზობლის გოგონა ნათია,
მე მისი დაბადება მახსოვს“
და, ბოლოს:

„ჭრიალებს ჭიშკართან გაზაფხული,
დასიცხულს ოაზისი ელოდება,
ავდივარ კიბეზე გალახული,
და ჩემი შემოდგომა მეცოდება“.

- ეს ხომ შემოდგომაში ფეხშედგმული კაცის ნამდვილი პოეზიაა!

გაგიკვირდება, საით გაქცეულა მოსწავლე -ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ირმა მაღასიძის ფიქრები

„აღმოდებული ოცნებისაგან,
შეაღწიე ჩემი ტვინის ხვეულებში,
ლაბირინთში გზა არ აგებნეს,
გულისცემა იქნება შენი ნავიგატორი“.
შენიდან ჩემს გულამდე გზამკვლევი.
ხედავ, დამიობდა კედლები, ხავსი მოედო
ზღურბლს...

კირით შეწამლული ფესვები ცრემლმა ჩარეცხა და უსასრულოდ ხრავს დროის ჭია“.

- ხომ მოვიდა ჩვენთან და ხომ გვატყინა ჩვენც გული ოცნებისაგან აღმოდებულმა ირმამ თავისი „კარდიოგრამით“...

„უკრიმანჭულებს შემოდგომას ეხოში შაშვი, ყანაში სიმინდს ყაბალახი წაუკრავს თავზე და იზაბელა, ონავარი, როგორც ციცაბო დაუკითხავად აპარულა მეზობლის ნაძვზე.“

- როგორი სურათია, ა! ნამდვილად სკოლის სახელმძღვანელოში შესატანი, უნდა ისწავლონ ბავშვებმა თბილისელი ბიბლიოგრაფის ლელა ცუცქერიძის ლექსის ეს სტროფები...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ - „ბიბლიოთეკარი პოეტის“ ორივე კრებულში ნახავთ თქვენ ჩვენი სასიქადულო ბიბლიოთეკარების ხატოვან ფიქრებს, სურნელოვანი სიტყვებით დაქარგულ სურათებს და დარწმუნდებით, როგორ თავსდება ადამიანში ორი პროფესია ერთად! ეს არის სწორედ „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“. ვამთავრებ წერილს, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ შემიძლია გვერდი ავუარო და პირველი კრებულიდან თუნდაც ერთი სტროფი არ მოგაწოდოთ ჩვენი ახალგაზრდა მწერლის, ამჟამად დიდი ბიბლიოთეკარის (ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია!) გიორგი კეკელიძის მეტისმეტად ორიგინალური (ეს კიდევ მსჯელობის სხვა თემაა!) ლექსიდან:

„არვინ ვიცით, ვინ შეგვაყვარა (და რას გაგვეყარა),
ვინ დაგვაბრალა ჯიბეებში დამღრჩვავი ფრთები,
ვინ დაგვაძალა ერთნაირი გვეყოს სამხარი და სამხარს მერე წამწამების ფიჩხით რომ ვობებოთ“...

აი, სად მიყვაროთ პოეტურ წარმოსახვებს და აზროვნების სხვაგვარ, ორიგინალურ სტილს, მაგრამ ეს ყველაფერი მთლიანობაში უნდა წაიკითხოთ.

და ბოლოს, ამ ორ კრებულში ბევრი რამ არის საგულისხმო, მაგრამ მთავარი მაინც შექმნის იდეა და მისი დაპროექტება, რაშიდაც დიდი წვლილი მიუძღვის უპირველეს ყოვლისა, კრებულების შემდგენელს ინგა ფილაურ-ლორიას და მის თანამდგომთ: რე-

დაქტორ მაია მიქაბერიძეს, მხატვრებს - ნინო ჩაკვეტაძესა და ნინო ჩიხრაძეს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ძვირფასო მკითხველებო, არ დაიზაროთ, წაიკითხეთ თქვენი ბიბლიოთეკარების ლექსები, იმოგზურეთ მათ მხატვრულ სამყაროში, კიდევ ერთხელ შეიგრძნეთ ქართული სიტყვის სიტკბო!


ბუჩხა თაყნიაშვილი

ნაშრომი ადამიანის ადამიანურობის შესახებ

სხლახან ქართულ სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შინაარსის გამომცემებს შეემატა ცნობილი პუბლიცისტის, ბიბლიოთეკათმცოდნისა და მწერლის, გულნარა სტურუას ნაშრომი „ვინ არის ადამიანი“. კრებულში წარმოდგენილი წერილების დიდი უმრავლესობა უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაშია დაწერილი და, ცხადია, მათში ავტორმა თავისებური თვალთახედვით, თხრობის გაბედული მანერითა და ქალური გულისტკივილით გადმოგვცა დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სურათები. ავტორს ერთნაირად აწუხებს „ხედა ეშელონებში მოკალათებულთა“ უზრუნველი ცხოვრება, მათი სულიერი სიღარიბე და საზოგადოების დიდი ნაწილის სიდატაკე. უიმედობა და ყოველდღიური უდამდამობით გამომწვეული სევდა. ავტორის დამოკიდებულება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული პროცესების შესახებ გამოიხატება და მთავრდება ერთი ლოგიკური კითხვით: რამდენად არის ადამიანი ადამიანური, როგორია მისი მისია, ადგილი თუ როლი ამქვეყნად, სადაც იგი უფლის ნებით გაჩნდა. შეინარჩუნა თუ არა მან ბოლომდე ადამიანის სახე, მარტივი შინაგანი წყობა, თუ მისი ქცევა, მეტყველება, სიცოცხლის აზრი მთლიანად დაექვემდებარა ქვენა გრძნობებს - მომხვეჭელობას, გაუტანლობას, შურსა და სიხარბეს. ამ კითხვებზე ეძებს პასუხებს ავტორი წერილებში - „ისევ ადამიანების ადამიანურობის შესახებ“, „სარეველა

ბალახივით ამოყრილი უხნეობა“, „ვინ არის ადამიანი“ და სხვ.

ადამიანში ადამიანურობის თვისებების ძიებაში ავტორი მიმართავს ქართველთაგან შოთა რუსთაველს და საკმარისად მიიჩნევს მის სიბრძნეს; უცხოელი ავტორებიდან პასუხებს ეძებს აბრამ ჰეგელის, სოკრატეს, პლატონის, ჰენრი დევიდ თოროსა და სხვა ცნობილ მოაზროვნეთა ნააზრევში.



თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ადამიანური ადამიანის ძიებაში ავტორი მიმართავს პოლიტიკის, კულტურისა და სოციალურ სფეროებს და ასკვნის, რომ ყველგან გვაკლია ნამდვილი პატრიოტები. ჩვენს წინამძღოლებს, ავტორის აზრით, აკლიათ სიმამაცე, სიმართლისათვის ბრძოლის უინი, მოთმინება, თავმდაბლობა, თავშეკავება და მიმტყვებლობა და სხვა ქრისტიანული ნიშან-თვისებანი. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები, წინა-

საახალწლოდ თქმული 1887 წელს: „გავწყდით, გავიჟღიერებთ, თავი გავწირეთ, უსწორს ომები ვასწორეთ, ხორცი მივეციოთ სულისათვის და ერთი მუჭა ერმა ქრისტიანობა შევიინახეთ; რამ შეგვაძლებინა ყოველივე ეს? - თავგანწირვამ, რწმენამ, მამულის სიყვარულმა და იმის წადილმა, რომ თუ თავი არ გასწირე, ისე ვერ შეინარჩუნებ ვერც მამულსა და ვერც სარწმუნოებას“.

„ნეტავ მართლა ვინ ვართ, საით მივდივართ“ - ასეთ კითხვებზე პასუხს ეძებს წარსულთა ნააზრევში, თანამედროვეთა ნაფიქრალსა და

წერილებში. დიახაც, რომ დღევანდელ საზოგადოებაში გვეყვანან ერისა და მამულისათვის თავდადებულნი, უპირატესად სასულიერო წრეებში, სამოქალაქო საზოგადოებაშიც, მაგრამ ისინი ნაკლებად ჩანან; ჭეშმარიტი პატრიოტი ადამიანური ადამიანები საქმით გამოირჩევიან და არა მყვირალა პოლიტიკური ფრაზებით. თანამედროვე ადამიანი, ავტორის აზრით, მატერიალურ საბურველის მიღმა ვერ ხედავს სულიერ სამყაროს.

როგორ ეხმაურება ჩვენ დღევანდელ ყოფიერებას იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის სიტყვები: „აჰა, რით უნდა შევიქმნეთ ღირსნი ჩვენი წოდებისა, ჩვენ უნდა ურთიერთ-არის თავს ვიდვათ ე.ი. ერთი-მეორეს შევიწყნარებდეთ, ვუთმენდეთ, შევიყვარებდეთ ყოველითა სიმდაბლით, სიმშვიდითა და სულგრძელობით“.

თანამედროვე საზოგადოების ზნეობისადმი მიძღვნილ წერილებში ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ უზნეობა თანამედროვე ყოფიერების თანამდევია, რომელიც აღარიბებს ჩვენს სულიერ საღაროს: „ზნეობა კაცობრიობის ყოფიერების ხერხემალია; ადამიანის სულიერება ასხმულია ზნეობაზე“ - წერს ავტორი. ამ საკითხზე ყურს თუ მივუვადებთ დღევანდელი ჩვენი ეკლესიის საჭეთ-

მპრყობელს, უთუოდ შეგვძრავს მისი სიტყვები: „თავშეკავება გონიერებაა, იგი ვნებებსა და სხვა ცოდვებზე უარის თქმაა; დღეს ჩვენ გვმართებს ამ უნარების გამოძევა, რადგან მთელი მსოფლიო მოიცვა ზნეობრივმა დაცვამ, და, იგი, როგორც ჭაობი, ყველას თავის წიადში ითრევს“.

მორალურ კატეგორიებზე მსჯელობისას, წიგნის ავტორი წერს: „ჩვენი ხალხი უფრო რადიკალურად განსხვავებული თავსატეხითაა ცნობილი - უთავმოყვარებით და პატივმოყვარეობით“, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაშიც არიან ჭკვიანი და სახელოვანი პიროვნებები, „რომლებიც დიადები არიან ჭკუითა და გონებით“.

ქნ გულნარა სტურუას წიგნი, მიუხედავად მისი თემატური მრავალფეროვნებისა, უთუოდ დააფიქრებს მკითხველს ჩვენს დღევანდელ ყოფიერებაზე, ქართულ პოლიტიკურ კულტურაზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება ჩვენი გადარჩენა დღევანდელ ადამიანთა საზოგადოებაში, სადაც ერთი-მეორეს ებრძვის ზნეობა და უზნეობა, სიხარბე და სათნოება, სიამაყე და თავმდაბლობა, სიყვარული და სიძულვილი. ასეთ გარემოში ეძებს ავტორი ადამიანურ ადამიანს.

მოგონებები

იენე ბუსევი

ვასილ ბარნოვის მოგონება იაკობ გოგებაშვილზე

„სამწუხრო ღიმილი“ - ასე ჰქვია ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის ვასილ ბარნოვის მოგონებებს, რომელიც გიორგი ლეონიძის თხოვნით დაიწერა და 1940 წელს გამოცემულ აღმანახ „ლიტერატურის მატრიანეს“ 1 - 2 წიგნში, მოგვიანებით კი, 1964 წელს გამოცემულ ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის მე -10 ტომში დაიბეჭდა.

სარა ბარნაველის, ვასილ ბარნოვის შვილის, რომელიც მუზეუმის თანამშრომელი იყო, გადმოცემით, მოგონება 1933 წლის ზაფხულიდან 1934 წლის ოქტომბრამდე იწერებოდა. საინტერესოდ ჰყვებოდა თურმე თავისი ცხოვრებიდან სხვადასხვა ეპიზოდს. მისმა მსმენელებმა (სავარაუდოდ გიორგი ლეონიძემ) სთხოვეს ამ მოგონებების დაწერა. შემოთავა-

ზებაზე ჯერ უარი უთქვამს, შემდეგ კი დათანხმებულია და დროგამოშვებით კარნახით აწერინებდა შეილებს. (იმ ხანებში შეუძლოდ იყო. 1930 წელს დამბლა დაეცა. იმის შემდეგ და განსაკუთრებით 1933 წლიდან თავს ძლიერ სუსტად გრძნობდა). სათაური „სამწუხრო ღიმი“ შემდეგ დაარქვა.“ ეს მოგონება დაცულია - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

გთავაზობთ ვასილ ბარნოვის ამ მოგონებებიდან ორ ეპიზოდს, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ეხება:

გოგებაშვილი სასწავლებლის ზედამხედველად რომ მოვიდა, მესამე კლასში ვიყავ, მაშინ ჯერ მხეპლა ისევ მეფობდა. საცა წვრილფეხობა იყო, ყველა გაკვეთილზე გამოდიოდა

ბლავილი და ღრიალი. დღის მანძილზე ნახევარი კლასი მაინც დაიშეპლებოდა. რაც კლასი უფრო ზევით იყო, იმდენი იშვიათად იცემებოდა, თუმცა სულ ზემო კლასსაც დანაშაულის დროს არ ასცდებოდა ეს. კონების მოტანა დავალებული ჰქონდა იმ შეგირდებს, რომლებიც განაპირას ცხოვრობდნენ, ბაღების ახლო. იმ ბაღებიდან იპარავდნენ წიკვლებს და კლასში მოჰქონდათ, იქვე ინახებოდა მერხებში. შიშით ვინ ახლებდა ხელს. ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცემა, რომ თუნდაც ეგ ზარხოსი მოსულიყო კლასებში დასავლელად, მასწავლებლები თავისას არ იშლიდნენ.

- გოგებაშვილი, გოგებაშვილი! - გაისმა ხმა,
- ჩვენ ზედამხედველად

რომ დანიშნეს, ისა!

წამოსადეგი კაცი გამოდგა. ბეწვის საყელოანი გვაბანაკი ესხა. ჩამოიარა ყველა კლასები, ხელი ჩამოართო მასწავლებლებს, შეგირდებსაც გადმოუგდო ზოგი რამ სიტყვა.

- კაცო, კაცო! ახალ ზედამხედველს უხეპლა და შიმშია გადაუგდია. უთქვამს, ვერ მოვითმენო, რომ შეგირდებს ღახამდეთო.

ისე ერთბაშად გადავარდა ფიზიკური დასჯა, როგორც წისკვილის წყალი გადაუგდო და ბორბალი შედგეს. წარმოიდგინე დაშინდა მასწავლებლობა.

- კაცო, ამბობენ, რასაც იტყვის, გველის ხერხელში გაძვრება დაასრულებს კიო.

ესედალოცვილი გახდამისი შემოსვლის დღე. თვითონ კარგი მასწავლებელი გამოდგა. აქამდინ ყველაფერს ზეპირად ვსწავლობდით და მასწავლებელსაც წინ გადაშლილი სახელმძღვანელო ედო, რომ მოწაფეს არაფერი აერივნა ან შეეშალნა. ესედა კაკეთილის მიცემის დროსაც თვითოეულ სიტყვას გვიხსნიდა თვითონ, მასწავლებლებსაც ესე სთხოვდა.

ყველა კლასიდან ამოირჩია საუკეთესო მოწაფეები, სადილის უკან, დანიშნულ დროს ავიდოდით იმის ბინაზე და ის დაგვასწავლიდა მოცემულ გაკვეთილს, მოგვისმენდა. ჩვენ უნდა ეს გაკვეთილი კლასისთვის გვესწავლებინა, ჩვენი ჯგუფებისათვის. თუ შეგირდმა გაკვეთილი ვერ იცოდა მეორე დღეს, მიზეზს ჩვენ გვკითხავდა, თუ რომელიმე მშველელი არ გამოდგებოდა, შესცვლიდა სხვა მოწაფით.

მართლა და ამ ფანდმა მუშაობა გააძლიერა და ამას თავისი სახეირო შედეგი ჰქონდა.

ერთი საკვირველი ჩვეულება: მაშინ მიდებოდა იყო - მასწავლებელს ბაგეშვის ჭირისუფალი მოიკითხავდა, მოართმევდა ხილს, ნამცხვარს, თუ მაგისთანა სხვა რამ საიასადლოს. ეს ქრთამად არ ითვლებოდა. მასწავლებელს სახლში მიაართმევდნენ. იაკობი ამაზე უარს არ ეტყოდა, ჩამოართმევდა, გადასდებდა, დამატებითი გაკვეთილის შემდეგ მოსაკითხს ჩვენ დაგვირიგებდა. როცა ვნახავდით, ფანჯარაზე ეწყო ჩურჩხელების კონა, ვაშლები, მსხალი, ნაზუქი, ვიცოდით გაკვეთილის გათავებისას ჩვენ გაგვინაწილებდა, ვხალისობდით.

მაშინ პანსიონებიც იყო სასწავლებელთან, მაგრამ საშინელი უწმინდურობა და ჭუჭყი სუფევდა. გოგებაშვილმა მოსპო ეს მწერი. თითონ დაივლიდა, გასინჯავდა ყველა ლოგინს, საცვლებს და როგორც შეიძლებოდა, ისე ასუფთავებინებდა. ზედმეტი ფულიც გამოადებინა ამ საგნისათვის სამღველოებას.

ციაგი შემოგვადგა მის მოსვლით საწყალ, დაჩაგრულ შეგირდობას და დიდ პატივსა ვცემდით, ვეთაყვანებოდით.

ცოლშიდს არ მოეკიდა, დრო აღარ მექნება, ჩემ არჩეულ საგანს, პედაგოგიკას, შევსწიროს ჩემი შრომაც და ჩემი დროცაო. ბოლოს

კი ნანობდა ამას. ამაყ კაცს ხანდისხან უთქვამს ჩემთვის:

- შეცდომა მომივიდა, რომ ასე უჩამომავლოდ ჩავიარეო.


ბოლოს ვნახე, როცა ის მძიმე ავადმყოფი იყო. მითხრა: - რაც აზრი მქონდა, ავისრულე, ქართულ სკოლას საფუძველი ჩავუყარეო!

ვუპასუხე: - ძვირფასი შრომაა. სკოლა გაქართულდა მაგ შრომით, მაგრამ სულ ყველაფერი ვერ აასრულე.

- რაღა დამრჩა გასაკეთებელი? სცადა რიხიანად სიტყვის შემობრუნება. თავი ისევ ბალიშზე დაუვარდა.

მე გავიდიმე:
- ის დაგრჩა, შენი ნაშრომები მთლიანად არ გამოეცი, რომ მაღაზიაში შევსულიყავი, მეთქო გოგებაშვილი! იმასაც დიდტანიანი ერთი წიგნი გადმოელო.

- მართალს ამბობ მაგას კი! აზრადაცა მქონდა, მაგრამ არ დამცალდა.



- მაშ, როცა მოიხდი ამ ავადმყოფობას, აასრულე. შენი თხზულებები შენზე კარგ გამომცემელს ვერ იშოვიან.

ბოგაბაჟილი შავჩხარაძე

შეჰყვარებოდათ იაკობი, რატომღო, მოსულ - მოსული წაბლა ვაჟკაცი, რიხიანად მოუბარი.

ზის ერთხელ გოგებაშიელი ქაშეთის ბაღში დიდ შადრევანთან. ჩამოუარა ერთმა ქალმა.

- ნება მომეცი, ერთი - ორი სიტყვა მოგახსენო.

- ინებეთ, სათხოვარი გექნებათ რამე.

- სათხოვარი კი არა, სახვეწარი კი მაქვს, მხოლოდ მრცხვენთან ვენა ვერ გამომიგვნიან.

- არა უშავს რა, ბრძანე, ქალო.

- შემომხედეთ, გაიგებთ, თქვენზე ამბობენ, გუღთმისანიანო.

- აი ეხლაც დიდად ხარ ღელვილი, მითხარ უსათუოდ გიშველით რასმე.



იაკობი გვაბანაკი

- იაკობ, მიყვარხარ! უშენოდ ვერ გავძლებ.

- ჰოო?! მაგის წამალს ვიშოვი მე.

ქალს ნათელი გადაეფინა და დაჟინებით დაუწყო მხერა კაცს.

- შენ იმას გაუჯავრებისარ, რომ დაბალი ადგილი გიჭირავს, შევცვლით, შეძლება არის.

- ბატონო იაკობ, შენ ვერ გამიგე ღელვის მიზეზი.

- გავიგე, გავიგე საალერსოს მეუბნები. მე კი მაგისთვის სრულებით არ მცალიან.- წამოდგა იაკობ,

გაიბერტყა გვაბანაკის კალთა და ზურგი შეაქცია ქალს.

ქალი ერთხანს იდგა გაშეშებული, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

- სად? არ ვიცი? ის კი ვიცი, რომ მასწავლებელი ქალი გარდაცვლილიყო, თავი მოეკლა.

შოთა ზოიძე

მომღვარი


(პარმენ ლორია - 120)

მწერალ პარმენ ლორიას დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით, რედაქციას წერილი მიაწოდა ბათუმელმა ცნობილმა პოეტმა, შოთა ზოიძემ. მისი სურვილით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე ვებეჭდავთ ამ წერილს ჩვენს ჟურნალში.

რედაქცია

ბათუმის მერიის სასაფლაოზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს ცნობილი ქართველი მწერალი პარმენ ლორია. ყოველი წლის 7 მარტს, მისი გარდაცვალების წინა დღეს - მისი გარდაცვალების თარიღის აღსანიშნავად - გაზაფხულის ყვავილებით ხელდამშვენებული მივდივარ მის საფლავთან და პატივს მივაგებ ჩემი თაობის მოძღვრის ნათელ ხსოვნას.

პარმენ ლორიას, როგორც რომანისტის, პოპულარობა სრულიად საქართველოში განუსაზღვრელი იყო. მის წიგნებს „სანთლით ეძებდნენ“ და ეწაფებოდნენ მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწენი, მწყემსები და მიწისა თუ



დაზვის მუშები, სტუდენტები და მოსწავლეები, პედაგოგები და ექიმები, ჯარისკაცები და სპორტსმენები. გასული საუკუნის შუახანებში არ მეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც იმდენი მკითხველი ჰყოლოდეს, რამდენიც - პარმენ ლორიას. მისმა მადლიანმა კლამმა ქართველ კაცს წიგნი აადებინა ხელში და კითხვას მიაჩვია.

პარმენ ლორიამ თავისი სიცოცხლე, ღვთიური ნიჭი და შთაგონება აჭარას -საქართველოს ღვთით კურთხეულ, მაგრამ ათას წარდენასა და ჯოჯოხეთს გამოღწეულ მხარეს მიუძღვნა. ჯერ კიდევ მძიმედ იყო აჭარელთა ცნობიერებაში სამსაუკუნოვანი ოკუპაციის შედეგები. მისი

რომანები, რომლებითაც მწერალმა ქართულ მწერლობაში პირველად შემოიყვანა აჭარის მკვიდრნი, კულტურული რევოლუციის ტოლფასი იყო. თავისი პოპულარობის კვალობაზე, თავისუფლად შეეძლო თბილისში - ქვეყნის დედაქალაქში დაედო ბინა, სადაც ნიჭიერი მწერლისათვის უფრო დიდი ასპარეზია, მაგრამ ეს არ გააკეთა, თავის საყვარელ ბათუმს შეაბერდა, აჭარლების გულის მესაიდუმლე და ჭირისუფალი გახდა.

დრო, რომელშიც პარმენ ლორიამ იცხოვრა, არ იყო სწორხაზოვანი. მისთვის მთავარი იყო ეროვნული იდეა. მისი რომანების დამსახურებაცაა აჭარელთა ცნობიერების ინტეგრაცია ეროვნულ იდეასთან. მწერალი, რომე-

ლიც თავის დროს გამოსატყვევს, ძალიან დიდ ნაბიჯს გადადგამს მომავალში. დრმად ვარდარწმუნებული, როცა დღევანდელი ბაკქანალია ჩაივლის და ჩვენი ცხოვრების მდინარე დაწდება, პარმენ ლორიას მადლიერი მკითხველი ღირსეულ ძეგლს დაუდგამს.

ჩემთვის დღის ჯილდო იყო ძვირფას პარმენსა და მის ოჯახთან სიახლოვე. იგი მოძღვარი იყო, მოძრვარი და მწერლობაში ჩემი გზის დამლოცავი. როცა გარდაიცვალა, მისმა მეუღლემ მისი კოსტუმის ჯიბეში ჩემი პირველი წიგნი („სიახლოვე“) იპოვა! ახლა, როცა ჩემი საყვარელი მწერლის ასაკს ვუახლოვდები, უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

მეთოლოგიური სამსახური

ბუჩხა თაყნიაშვილი


როგორ გავიგოთ ბიბლიოთეკების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი

კონსულტაცია

საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებულ კანონში (1996 წ., მუხლი, 3) ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მიჩნეულია პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. ამავე კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს როლი საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. სახელმწიფო ატარებს ქვეყანაში საბიბლიოთეკო პოლიტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამუშავებს საბიბლიოთეკო საქმის იურიდიულ საფუძვლებს, ქმნის კანონ-

ქვემდებარე აქტებს და საბიბლიოთეკო ცენტრების მეშვეობით საბიბლიოთეკო ქსელს უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების მუშაობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტაციით.

თანამედროვე ეტაპზე ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში დაცულია გარკვეული რაოდენობის პოლიტიკური შინაარსის საბიბლიოთეკო დოკუმენტები. მათი რაოდენობა დამოკიდებულია ბიბლიოთეკის პროფილსა და ამოცანებზე. პოლიტიკური შინაარსის საბიბლიოთეკო დოკუმენტები: წიგნები, პერიოდული და გრძელდებიანი გამოცემები, ელექტრონული რესურსები ჩვეულებრივი სისტემატიზაციის პრინციპით მუშავდება და აისახება ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში. ბიბლიოთეკები დიდი ხანია განთავისუფლებულნი არიან პარტიული პოლიტიკის ზეგავლენისაგან. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარდა დეპოლიტიზაციის პროცესები. ბიბლიოთეკები განთავისუფლდნენ კომუნისტური იდეოლოგიის ამსახველი ზედმეტი ეგზემპლარებისაგან. პოლიტიკური ნიშნით აღარ



ტარდება მასობრივი დონისძიებები; ბიბლიოთეკა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს ამ დარგში მოქმედ კანონებთან შესაბამისობაში. ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა სახის პოლიტიკური ლიტერატურა თანაბარ პირობებში მუშავდება და სისტემატიზაციის პრინციპის დაცვით ხელმისაწვდომია მკითხველთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის.

პოლიტიკური ნეიტრალიტეტი მარტივით ნიშნავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და პარტიული ჯგუფების შესახებ არსებული წერილობითი წყაროების მიღებას, დამუშავებასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ცალკეული პოლიტიკური კამპანიების პერიოდში ბიბლიოთეკები ქმნიან თემატურ კარტოთეკებს, აწყობენ გამოფენებს. ნებისმიერი ეტაპის არჩევნების დროს გამოიცემა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები, პლაკატები, ბუკლეტები, სპეციალური გაზეთი და სხვა სახის წერილობითი ინფორმაციები. ისინი თვალსაჩინოდ უნდა გამოიფინოს, რათა დაინტერესებული მკითხველი ადვილად გაეცნოს ინფორმაციის ასეთ საშუალებას.

ბიბლიოთეკაში ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსის გამოცემების აღწერილობანი სისტემატურ კატალოგში შეიძლება ცალკე გამოიყოს რუბრიკით: 324 - არჩევნები, 328 - პარლამენტი, 329 - პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები და ა. შ. უფრო ოპერატიული ფორმით ასეთი მასალები აისახება თემატურ კარტოთეკებსა თუ ელექტრონულ საშუალებებში. აქ შეიძლება გამოიყოს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რუბრიკები: დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოში, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები, საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური ღირებულებები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანოები და ა. შ.

ბიბლიოთეკა, როგორც სოციალური ინსტიტუტი და სახელმწიფო დაწესებულება თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში ოპერატიულად უნდა შემოდოდეს ამ პროცესების ამ-

სახველი წერილობითი წყაროები, იქნება ეს ცენტრალური თუ ადგილობრივი გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული. მათი მოვლა-პატრონობა და ოპერატიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თავისთავად ნიშნავს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაცარებას. საბიბლიოთეკო დოკუმენტების დამუშავების პროცესში არც ერთ პოლიტიკური მიმდინარეობის ამსახველ მასალებს არ უნდა მიეცეს პრივილეგია, პრიორიტეტი.

ბიბლიოთეკის პერსონალი თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად მონაწილეობს პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტების დამუშავებაში. არჩევნების პერიოდში



მათი შეხედულებები არ უნდა იქცეს ბიბლიოთეკაში კამათის საგნად; ისინი, როგორც მოქალაქენი, თავისუფალნი არიან გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგრამ მხოლოდ არასამსახურებრივ პირობებში შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი შეხედულებისამებრ. მთლიანობაში ბიბლიოთეკის კოლექტივი თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში იცავენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. რაც შეეხება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, მენეჯერს, მისი პოლიტიკური აქტიურობა არ უნდა ხასიათდებოდეს ტენდენციური მიდგომებით. თავისი პოლიტიკური შეხედულებები, თუ მას აუცილებლად მიაჩნია, გააცხადოს, არ უნდა გამოხატავდეს ბიბლიოთეკის, როგორც აპოლიტიკური დაწესებულების კოლექტივის თვალსაზრისს. ბიბლიოთეკის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი წარმოჩნდება პოლიტიკური შინაარსის საბიბლიოთეკო დოკუმენტების თანაბარ პირობებში ორგანიზებასა და ხელმისაწვდომობაში. იგივე ითქმის მომხმარებელთა მიმართ ურთიერთობაზეც.

ნიჩნა ანიაშვილი

რეგიონების ბიბლიოთეკარები უცხოელი სპეციალისტის თვალთ

23 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რიგით მეორე ტრენინგების ტრენინგი დასრულდა, რომელიც ხორციელდება პროექტ „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოს პრეზიდენტის ფონდისა და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს IREX-ის ინიციატივით პროგრამის Beyond Access საქართველოს ფარგლებში. პროექტის ორგანიზატორი და შემსრულებელია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

გარემონტებული ბიბლიოთეკები, განახლებული წიგნალი ფონდები, ინტერნეტი და კომპიუტერებით აღჭურვილი სივრცეები - 2014 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა პრეზიდენტის ფონდთან ერთად რეგიონულ ბიბლიოთეკებს კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვაში ეხმარება. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში ბიბლიოთეკარების ტრენინგი და გადამზადება მიმდინარეობს.

გადამზადებული ბიბლიოთეკარები თავად ჩაატარებენ ტრენინგებს თავთავიანთ რაიონებში. ტრენინგები ბიბლიოთეკარებს პროექტის კონსულტანტმა, IREX-ის წარმომადგენელმა, უკრაინელმა ლიუბოვ კვასიუკმა ჩაუტარა, რომელიც დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია. მასთან ინტერვიუ აქონდა ჩვენს თანამშრომელს, ირინა ალიაშვილს. გთავაზობთ მათ შორის გამართული ინტერვიუს შინაარსს:

ქალბატონო ლუბა, როგორ შეაფასებდით ჩატარებულ ტრენინგებს საქართველოში? ძალიან ძლიერი ჯგუფი შეირჩა. ისინი ბოლომდე იყვნენ ჩართულები აქტივობებში და წარმატებით დაძლიეს პროგრამა. გარდა ამისა, ტრენინგზე უდიდესი ნაწილი მოდიოდა პრაქტიკულ სამუშაოებზე, სადაც ასევე კარგი შედეგი აჩვენეს.

– თქვენი აზრით, რომელი სერვისის გაუმჯობესება სჭირდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს? – ხუსტად ვიცი, რომ ადამიანური რესურსის გაუმჯობესება არა, იმიტომ რომ ბიბლიოთეკარები ძალიან მოტივირებულები არიან. თვითონ ადგილზე რა სიტუაციაა, მე არ ვიცი, არ ვყოფილვარ, სამწუხაროდ, რეგიონების ბიბლიოთეკებში, თუმცა ეს ადამიანები ნამდვილად ბევრ რამეს შეძლებენ, ამაში დარწმუნებული ვარ.

– როგორ ფიქრობთ, არიან თუ არა მზად ტრენინგების შემდეგ ქართველი ბიბლიოთეკარები, რომ განაახლონ თავიანთი სერვისები? – ჩემი დაკვირვებით, ისინი მართლაც მზად არიან ისეთი ბიბლიოთეკის შესაქმნელად, რომელიც თავიდან ბოლომდე მორგებულია მომხმარებლის ინტერესებზე.

– როგორია თანამედროვე ბიბლიოთეკა მსოფლიოში? – ესაა ბიბლიოთეკა ყველასათვის! წარსულს ჩაბარდა აკადემიური, ჩუმი და მკაცრი წესები ბიბლიოთეკაში. ის უნდა იყოს ადგილი, სადაც ადამიანები გაცვლიან იდეებს,



იკამათებენ, მიიღებენ სასურველ ინფორმაციას და ეს პროცესი ჩუმი ვერაფრით იქნება. ბიბლიოთეკარების მოვალეობაა, რომ განვადგინოთ ადამიანების დაკავშირება ინფორმაციასთან და ცოდნასთან უკვე ციფრულ სამყაროში, სადაც ჩვენს ფიზიკურ ბიბლიოთეკებს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა აქვთ, იყვნენ სივრცეები, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მოქალაქეობრივი, საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. ჩვენ უნდა ახლიდან გავიზრდეთ ბიბლიოთეკის არსი - ეს აღარაა მხოლოდ წიგნებით სავსე შენობა, არამედ ესაა მომსახურება, რომელიც ინფორმაციას და ცოდნას ახვედრებს საზოგადოების თითოეულ წევრს. ბიბლიოთეკა და მისი სერვისები უკვე აღარაა მხოლოდ ერთი ფიზიკური სივრცე. ჩვენ უნდა შევძლოთ და მისი ნაწილი ციფრულ ერაში გადავიტანოთ, ბიბლიოთეკები მსოფლიოში ერთმანეთს უნდა დაუკავშიროთ. სწორედ



ახლა, ეს საუკუნე არის საოცარი დრო საბიბლიოთეკო დარგის განვითარებისთვის.

– რა თანხა დასჭირდება რიგით სოფლის ბიბლიოთეკას მოდერნიზებისთვის და თქვენი აზრით, საიდან უნდა მოიძიონ ეს თანხა გარდა ადგილობრივი ბიუჯეტისა? რა გზები არსებობს ამისათვის?

– ვფიქრობ, ფინანსები საერთოდ არაა დაკავშირებული ამ ცვლილებასთან, თუმცა სხვადასხვა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს ბიუჯეტის დათვლა. ასევე შესაძლებელია, ბიბლიოთეკამ შექმნას, ვთქვათ, მეგობართა საზოგადოება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გაუწევს დახმარებას - გაავრცელებენ ფლაერებს და ბუკლეტებს, დახატავენ ბანერებს, დაეხმარებიან ინფორმაციის გავრცელებაში სოციალური ქსელებით თუ ზეპირად; თავად ააწყოთ ან მოიტანენ ავეჯს და ეს ავეჯი შეიძლება იყოს ხელით შეკერილი პუფი, ძველი მაგიდა და სკამი, რომელიც შედგება და გაარემონტეს და ა.შ. ათასი რამის მოფიქრება შეიძლება, რომელიც, საერთოდ, არ ან მინიმალურ დანახარჯებს მოითხოვს.

– ვინ არის თანამედროვე ბიბლიოთეკის მომხმარებელი დღეს?

– ბიბლიოთეკის მომხმარებელი შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც დავადლება აქვს შესასრულებელი და დამატებით ინფორმაციას ეძებს; გლეხი, რომელსაც სურს, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს, თუ როგორ შეწამლოს ვენახი ან სხვა ნარგავები; დიასახლისი, რომელსაც რჩევების მოძიება უნდა, როგორ მოუაროს ბავშვს, ან პენსიონერი - რომელსაც, უბრალოდ, გართობა სურს და ამისათვის ყურნალებს, გაზეთებს ან მხატვრულ ლიტერატურას ეძებს. ჩვენი ვალია, რომ ყველას თანაბარი ყურადღებით და გულისყურით მოვუხმინოთ, არ შევხედოთ ვინმეს ზევიდან, ვინც არ იცის ბიბლიოთეკაში მოქცევის წესები. თუ ყველამ ყველაფერი იცის, მაშ, რა საჭიროა ბიბლიოთეკარი იქ?

– რა ბარიერები უნდა მოშალოს ბიბ-

ლიოთეკარმა ბიბლიოთეკაში, რომ მომხმარებელს იქ მუშაობა გაუადვილდეს?

– აუცილებლად თავი უნდა ავარიდოთ ზედმეტ ბიუროკრაციას, მოუხერხებელ განლაგებას, რომელიც გამორიცხავს ჯგუფურ მუშაობას; წარამარა სიჩუმისკენ მოწოდებას, რომელიც აიძულებს მომხმარებელს, გაუნძრევლად იჯდეს. ასეთი წესები განაწყოფს მკითხველს იმისკენ, რომ ბიბლიოთეკაში მეორედ აღარ მოვიდეს.

– რა მიზნები აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკას დღეს?

– ყოველწუთას იკვლიოს მომხმარებლის ინტერესები, საჭიროებები და მთავრის თანხის პროგრამები და სერვისები მათ საჭიროებებს, თუ საჭიროა, ითანამშრომლოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან სერვისების გაუმჯობესებისთვის. შექმნას კომფორტული გარემო მომხმარებლისთვის; ხელი შეუწყოს სხვადასხვა ჯგუფებისა და ორგანიზაციების საგანმანათლებლო, სამოქალაქო და კულტურულ აქტივობებს; იყოს საჯარო ფორუმი იდეებისთვის და ინფორმაციის გაცვლისთვის; დაეხმაროს მომხმარებელს საჭირო ინფორმაციამდე მისვლაში.



– ჩვენ უნდა ვკითხოთ ჩვენს თავს: „რა არის ბიბლიოთეკარის უნიკალური და მტკიცე როლი და ნებისმიერ მომენტში უნდა შევამოწმოთ ჩვენი თავი, ვაკეთებთ თუ არა მაქსიმუმ?“

– თქვენი აზრით, გაართმევენ თუ არა ქართველი ბიბლიოთეკარები თავს ახალ გამოწვევებს საბიბლიოთეკო სერვისებში?

– „თუკი ადამიანები იმეორებენ ადრინდელ ქმედებებს, მაგრამ უნდათ სხვა შედეგის მიღწევა, ეს სიგიჟეა“ - ალბერტ აინშტაინი. ვფიქრობ, ბიბლიოთეკარებს ამ ფრაზამ ბევრი რამ ასწავლა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ესა თუ ის ადამიანი რევოლუციურ ცვლილებებს მოახდენს, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი მზად არიან სხვადასხვა სიტუაციებისთვის და გამოწვევებისთვის.

– დიდი მადლობა ინტერვიუსთვის!

იუბილე

ვულოცავთ!

მზია ტოგონიძე - 70

ქალბატონი მზია ტოგონიძე იუბილარია, ქალბატონი, რომელიც უზომო სიბო-სა და სიყვარულს აფრქვევს ირგვლივ, ქალბატონი, რომელიც თავისი ჯანსაღი სუ-ლიერებით და მომხიბლავი გარეგნობით, ღირსებებით სავსე, ის ფენომენია, რამდენიმე თაობას რომ გაჰყვება სანიმუშოდ.

მზია ტოგონიძე დაიბადა 1946 წლის 26 აგვისტოს ქალაქ თბილისში, შეხმატკბილე-ბულ რაჭულ ოჯახში. იზრ-დებოდა სიყვარულისა და მზ-რუნველობის გარემოცვაში. ნიჭიერ გოგონას თავიდანვე ჰქონდა არჩეული მომავა-ლი პროფესია, ყოველთვის იცოდა, რომ წიგნის მცოდნე და წიგნის პროპაგანდისტი უნდა ყოფილიყო. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ სწავლა ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათ-მცოდნეობისა და ბიბლი-ოგრაფიის სპეციალობით განაგრძო. წარჩინებულ სტუ-დენტს ყოველთვის ჰყავდა მისაბაძი მაგალითები პრო-ფესორ-მასწავლებლებთან სახ-ით, რომელთა დვაწლი თავის მიერ შედგენილ პერსონალურ-ბიბლიოგრაფიულ საძიებელში გამოხატა, ესენია პროფესორები: ნ. ლორთქი-ფანიძე, აღ. ლორია, ო. კოსაძე, ზ. ტყაბლაძე, გ. თაყნიაშვილი და საბიბლიოთეკო დარგის ამაგდარი ც. კალმახელიძე. ინსტიტუტის ხე-ლმძღვანელობამ თავის პროფესიაზე შეყვა-რებული ახალგაზრდა სამუშაოდ კათედრაზე დატოვა. 1973-2006 წლებში იგი მუშაობდა ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე ბიბლიოთეკათ-მცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის განხრით. ყველგან იყო აქტიური, გამორჩეული, დაუზა-რელი და სამაგალითო თანამშრომელი.

2000-2003 წლებში სწავლობდა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტა-ცია, მინიჭებული აქვს მეცნიერებათა კანდი-

დატის ხარისხი. 2007 წლიდან ასოცირებული პროფესორია. წლების მანძილზე იგი ეწეოდა პედაგოგიურ და აღმზრდელობით საქმიანო-ბას, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალ-ისტი და პედაგოგიური აღდოსა და ტაქტის მქონე სტუდენტთა აღმზრდელი-მეგობარი.

ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტის დახურვის შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფილიალებში მთავარ სპე-ციალისტად, 2012 წლიდან დღემდე №42 ფილიალის მთავარი ბიბლიოთეკარია.

ქალბატონი მზიას ერთ-გულეა წიგნისადმი და, საერთოდ, საბიბლიოთე-კო სფეროსადმი ნათლად ჩანს მის სამეცნიერო ნაშ-რომებში და პუბლიკაციებ-ში, რომელთა რაოდენობა 50-ს აღემატება, სადაც ის წარმოაჩენს დარგის აქტი-ურ საჭირობორტო საკითხ-ებს, არაერთ პროფესიონალს მასზე ხშირად უთქვამს, რომ ის „ნამდვილად წიგნის ტრ-ფიალია“.

კეთილშობილებით აღსავსე ქალბატო-ნი გამოირჩევა უანგარობით, გულისხმიერე-ბით, მოყვასის სიყვარულით, თანადგომით და ქველმოქმედებით.

სწორედ მისნაირი განათლებული, მაღალი პროფესიონალი და პრინციპული ადამიანები სჭირდება ჩვენს ქვეყანას! ვულოცავთ და ვუ-სურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ემსახუროს იმ საქმეს, რომელიც მას ასე უყვარს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვა-რელო, კეთილო, უღალატო მეგობარო!

თქვენ გვერდით ყოფნა და თანამშრომლობა დიდი ადამიანური ბედნიერებაა, დაე, ეს გაგრ-ძელდეს მრავალ წელიწადს!

№42 ბიბლიოთეკის უფროსი მანანა საგანელიძე
ბიბლიოთეკის თანამშრომლები
ჟურნალის რედაქცია



ბუჩხა თაყნიაშვილი

გულისა და გონების ერთიანობით

თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში მოღვაწეობს ერთი ღამაში სულის, მაღალ მორალურ ღირებულებებთან ნაზიარები და კრისტალური შინაგანი წყობის სპეციალისტი, ქ-ნი მზია ტოგონიძე. საკუთარი გამოცდილებით ადვსილი, კოლეგებს შორის სიყვარულითა და სათნოებით გამორჩეული პროფესიონალი ბიბლიოთეკაში ამკვიდრებს სიტბოს, სიყვარულს, მკითხველებთან ურთიერთობის პედაგოგიურ გარემოს და, რაც მთავარია, წიგნისადმი უზადო ტრფიადის გრძნობას. მან კარგად უწყის, რომ წიგნი, ცოდნა აქტიურად უწყობს ხელს ადამიანის ზნეობრივ გაკეთილშობილებას. მისი აქტიური მონაწილეობითა და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების დაუზოგავი გაღებით სრულიად მოწყსრიგდა ბიბლიოთეკის ათასობით გამოცემა, მოწყსრიგდა იმ დონეზე, რომ ცალკეული გამოცემები შეიძლება აამეტყველოს ბავშვთა და მოზარდთა გონების განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ქ-ნი მზია გონების თვალთ უმზერს „საკუთარ“ ბიბლიოთეკას, ღრმად აქვს რა შეგნებული მისი მისია მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების აღზრდისა და ინფორმირების საქმეში. ბიბლიოთეკა ჭეშმარიტად ადამიანთა სულიერი წვრთნის ყველაზე ღირებული სამყაროა. ეს სამყარო ცოდნის უკიდევანო სივრცეა, სადაც ავტორთა ნაზრევი ცოცხლობს, რათა ხელი შეუწყოს მკითხველთა აზრისა და გონების მოძრაობას. ქ-ნი მზიას იცნობენ მისი კოლეგები, ყოფილი

კათედრის წევრები; მან მეცნიერული მიდგომით ჩამოაყალიბა თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მართვის პრინციპები და მეთოდები, რითაც ერთობ აამაღლა საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ფორმირების მეთოდოლოგია. მისი შემოქმედი სული ყოველთვის ძიებაშია, მას ასაზრდოებს წიგნებიდან ამოკრებილი სიკეთე და კოლეგებთან ურთიერთობის ისეთი სტილი, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს კეთილშობილ პიროვნებას, ინტელიგენტს. სუსტი მზარეები ყოველ მოკვდავშია, ქ-ნი მზიას კარგად აქვს შეგნებული, რომ ასეთი სისუსტეების დაძლევა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. მისი ხასიათისა და მეობის დიდი და დამსახურებული გვირგვინი საკუთარი გამოცდილებაა, რომელიც შეიძინა თავდაუზოგავი შრომით, შინაგანი, ადამიანური ვნებების დათრგუნვითა და ქალური შემართებით. მას შეუძლია გასაოცარი ძალებით შეინარჩუნოს შინაგანი სიმშვიდე, თუნდაც ცხოვრების მძიმე წუთებში; ეს იმიტომ, რომ მასში ძლიერია თვითდაძლევის სურვილი.

ქ-ნი მზია ბევრს კითხულობს, კითხულობს მკითხველისათვის, საკუთარი სულის წვრთნისა და გონების გაცისკროვნებისათვის. ბიბლიოთეკაში შემოსულ ყოველ ახალ წიგნს მკითხველის თვალთა და ინტერესთ ეცნობა; ასეთია ჭეშმარიტი ბიბლიოთეკარის ყოველდღიური ცხოვრება. ცოდნის განახლება ხომ გულისა და გონების ერთიანობითაა შესაძლებელი.

რევიუ

ლავით ბიბინაიშვილი

ვერდის „მაკბეტი“ ვენის საოპერო სცენაზე

ეროპაში ერთ-ერთი წამყვანი მუსიკალური ქალაქი, რომელიც ამკვიდრებდა მუსიკალურ გემოვნებას და ტრადიციებს, უდავოდ არის ვენა, რაც პირველ რიგში ავსტრიული იმპერიის სათავეში პაბსბურგების დინასტიის ხანგრძლივმა და წარმატებულმა მმართველობამ განაპირობა. მუსიკის მიმართ ავსტრიული მონარქების ხაზგასმული პროტექციონიზმი დაიწყო XVIII საუკუნიდან, ამან შემდგომში ისეთი სახელე-

ბი აჩუქა მუსიკალურ სამყაროს, როგორცაა გლუკი, ჰაიდნი, მოცარტი და ა.შ. ამ ტრადიციების კვალდაკვალ ვენის სახელმწიფო ოპერა ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს მთელ ეროპაში - სეზონზე დაკავებულია საოპერო სცენის მსოფლიო ვარსკვლავები და სპექტაკლები პრაქტიკულად ყოველდღიურად იდგმება. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ამ ზაფხულს საშუალება მომეცა კიდევ ვწვეოდი ვენას - მისი საოპერო რეპერტუარიდან ორმა

დადგამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომელიც მიყოლებით უნდა განხორციელებულიყო. ვერდის “მაკბეტი” და გლუკის “ალცესტა”. ნამდვილად გარკვეულ ბედისწერას ჰქონდა ადგილი, რადგან ამ ორივე (სრულიად განსხვავებული ჟანრისა და სტილის) ოპერაში წამყვანი ქალის პარტიაა, რომელიც კლასიკური ტრაგედიის გმირია. შესაბამისად სპექტაკლის წარმატებულ წარმართვას კარგი ხმის გარდა, სამსახიობო ნიჭი და რეჟისორული მიდგომა ესაჭიროება. მეც როგორც კი ინტერნეტიდან (<http://www.wiener-staatsoper.at>) ამ სპექტაკლების შემადგენლობას თვალი გადავაავლე, მაშინვე ინტერესი გამიჩნდა.



ვენა ტრადიციულად თბილ, ლიბერალურ ფერებში დამხვდა. მასთან კონტრასტში საპასპორტო კონტროლის ოფიცერმა ქალმა დოკუმენტების დიდი “კირკიმალის” შემდეგ მოულოდნელად დამატებითი მონაცემები გამომართვა, ისე მომექცა, თითქოს ვიზა არ მქონოდა და უვიზო მიმოსვლა უკვე შემოღებული იყო. არადა მქონდა ეს ვიზა და თან როგორი: გადამეტებულად პედანტურ და არაკეთილგანწყობილ შვეიცარიის საელჩოს საკონსულოს განყოფილების მიერ მეტისმეტად ჭირვეულად გაცემული.

ვენაში ამინდი ისეთივე არეული იყო, როგორც თბილისში დავტოვე - მზეს ქარი ცვლიდა, ქარს ღრუბლები და წვიმა მოჰყავდა. მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია 15 ივნისს ოპერაში ხალხმრავლობა ყოფილიყო. ტრადიციულად, მოსული პუბლიკის სულ ცოტა მეხუთედს აზიური წარმოშობის მოქალაქეები წარმოადგენდნენ, რომლებიც ძირითადად პარტერისა და ლოჟების რიგებს იკავებდნენ. ასევე შესამჩნევი იყო რუსული წარმოშობის პუბლიკა. გერმანულენოვნები კი

ტრადიციულად სმოკინგში და ქალბატონები - გამომწვევ მოკლე კაბებში იყვნენ გამოწყობილნი. ერთი სიტყვით, სიჭრელე თვალში საცემი იყო, თუმცა ჭარბობდა ტრადიციული გამოსასვლელი ტანსაცმელი.

დარბაზში შესულს უცნაური ფარდა დამხვდა. მასზე გამოსახული იყო თანამედროვე ტანისამოსში გამოწყობილი შავგვრემანი ქალბატონი, იატაკზე მუხლებით ჩამომჯდარი რაღაც უფანჯრებო და უავეჯო ინტერიერში, რომლის კედლები მოდერნისტულ ცისფერ-მოწითალო ფერებში იყო მოხატული. არ ვიცი, ეს მიმდინარე სპექტაკლების სიუჟეტური ხაზის უნისონად უნდა ჩამეთვალა თუ რაიმე სხვა გარემოება ედო ამას საფუძვლად... ოპერის პრესცენტრმა მე „მაკბეტის“ სპექტაკლზე პარტერის მე-13 რიგის მარჯვენა მხარეზე მომცა ადგილი, სადაც საშუალო ასაკის ავსტრიელი ქალბატონებით გარშემორტყმული აღმოვჩნდი.

კიდევ ერთი მოულოდნელობა - ჩემთვის უცნობი დირიჟორი - სიმონე იანგი (Simone Young), ქალბატონი აღმოჩნდა. დღევანდელ დღეს მე უკვე არაფერი მიკვირს, მაგრამ ქალი-დირიჟორი ვერდის ამ უძველეს პარტიტურაში ნამდვილად გაკვირვებას უნდა იწვევდეს. ავსტრალიელი წარმოშობისა, იგი უკანასკნელ წლებში გერმანულ და ავსტრიულ ორკესტრებს ხელმძღვანელობდა და

შესაბამისად ითვლებოდა გერმანული კლასიციზმისა და რომანტიზმის საუკეთესო ინტერპრეტატორად. აკუსტიკა, რომლითაც ვენის საოპერო თეატრი ვერ დაიკვეხნის, ჩემს აშკამინდელ ადგილას არც ისე შესამჩნევი იყო. ორკესტრი კარგად ჟღერდა, ხმები ჩავარდნილი არ იყო. პრელუდიდანვე დირიჟორმა სწრაფი ტემპი აირჩია - პარალელურად ვიზუალური ეფექტების საშუალებით სცენაზე ჩამოწვა წითელი ბურუსი, რომელიც უსაშველოდ იზრდებოდა, გეგონებოდა ცოტაც და ჩაყლპავდა მსმენელს, ამ ფონზე ქალის ფიგურა მოსასხამს ააცლის მიწაზე გაშხლართულ მამაკაცს და იკარგება სცენის სიდრემში. გამოჩნდა ბეტონის კედლები და ქარიშხლოვანი მუსიკის ფონზე (უმაღლე ჩნდება პარალელი „რიგოლეტოს“ ქარიშხალთან) მოუსვენარი კუდიანების გუნდით იწყება ვერდის „მაკბეტი“. რეჟისორულად მოქმედება გადატანილი იყო მე-XX საუკუნის მიწურულს, სიმბოლურად ეს ნებისმიერი ევროპული, ლათინურ-ამერიკული ან აღმოსავლეთის ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო.

ვერდისათვის „მაკბეტი“ შექსპირთან პირველი შემოქმედებითი შეხვედრა იყო. დაროგორც დიდ გენოსებს ახასიათებთ, ასეთმა შემოქმედებითმა დუეტმა მუსიკალური სიხლეები წარმოქმნა, რადგან იტალიური ოპერისთვის დამახასიათებელი ვოკალური სტანდარტებით შექსპირის მუსიკალური დრამის გადმოცემა შეუძლებელი იყო. ვერდიმ დეკლამაციასზე, თამაშზე და ვოკალურად განსხვავებული ხერხების (დახშულ, ნახევარხმაზე მელოდიის შესრულება) გამოყენებაზე გააკეთა მთავარი აქცენტი, რაზედაც 1847 წლის პირველ დადგმის დროს (ფლორენცია, თეატრი „ლა პერგოლა“) მიაქცევინა ყურადღება მომღერლებს, რომლებიც სპეციალურად ამოარჩია ამ ოპერისათვის. მოგვიანებით, როდესაც პარიზის ოპერამ მას ახალი დადგმა შეუკეთა, ვერდიმ ისარგებლა პარიზის ოპერის წინადადებით და გადააკეთა ნაწარმოები: დაამატა სცენები, უპირატესად მესამე და მეოთხე აქტისათვის, რამაც დრამატურგიულად გაამდიდრა ოპერა, რომელიც უკვე 1865 წელს დაიდგა. ამჟამად ეს ვერსია იდგმება ხოლმე სცენაზე. ეს იყო ვერდის მეათე ოპერა და მისი პირველი სერიოზული მცდელობა, შეექმნა იმ დროისათვის ახალი სტილის რეფორმატორული ნაწარმოები - მუსიკალური თეატრალური დრამა. არც ისე მარტივია გაარჩიო, თუ რომელი პერსონაჟია ამ ოპერის დერძი - მაკბეტი თუ ლედი მაკბეტი. თავად ვერდიმ ოპერის ოთხი აქტი ისე დატვირთა მუსიკალურად, რომ მაკბეტს მხოლოდ ერთი არია განუწესა ოპერის ფინალში (*ieta rispetto, amore*) ბრძოლის წინ, როდესაც აჯანყებულები მაკდუფი და მოკლული მეფისწული მალკოლმი გააერთიანებენ ძალებს ტირანის დასამარცხებლად. და ლედი მაკბეტს კი - მეორე აქტის შესწორებულ 1865 წლის ვერსიაში (*La luce langue*), სადაც ლედი მაკბეტი აქეზებს მაკბეტს ახალი დანაშაულისკენ (იგულისხმება ბანკოსა და მისი შვილის მკვლელობა, რომლებიც, კუდიანების წინასწარმეტყველებით, მეფე დუნკანის სიკვდილის შემდეგ შეიძლება შოტლანდიის ტახტზე ასულიყვნენ). მუსიკის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს დუეტებს და დიდ სცენებს - მაკბეტის სცენა მოლანდებებით (*Finche appelli, silenti*), ლედი მაკბეტის სომნამბულიზმის სცენა (*Una macchia... e qui tuttora!*) და გრანდიოზული მეორე აქტის ფინალი, სადაც ორგანულად არის ლედი მაკბეტის ულამაზესი სამაგიდო

სიმღერა (*Si colmi il calice*). ამ სცენების მიღმა სხვა პერსონაჟები მხოლოდ სქემატურად არიან მონიშნულნი - შედარებით სრულად მოხაზულია შოტლანდიის მხედართმთავარი ბანკო, ერთი ტენორის არია კი დათმობილი აქვს მაკდუფს, რომელიც აჯანყებულებს ხელმძღვანელობს.

რეჟისორულად ვენის სპექტაკლი მინიმალისტური მანერით იყო შესრულებული - ამისათვის გონივრულად გამოიყენეს მცირე დეკორაციები - ბეტონის კედელი, რომელსაც ზოგჯერ კიბეც ახლდა (მაგრამ რომელიც მოხერხებულად და სწრაფად გარდაიქმნებოდა შემდგომი სცენისათვის სხვა ფორმის კედლად; სცენის დიზაინერი - გარი მაკკაანი/Gary McCaen). კოსტიუმები კი თანამედროვე სამხედროების ფორმას წარმოადგენდა - გარდა ქალი პერსონაჟებისა (კუდიანების, ლედი მაკბეტისა და კარის მოახლე ქალბატონისა), რომელთა შორის მხოლოდ ლედი მაკბეტის ტანისამოსი იყო მრავალფეროვანი. საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი მაკბეტის მოლანდებების სცენა - თანმიმდევრულად მაკბეტის საწოლთან ჩნდებოდა ჯერ კუდიანების ღანდი და მერე ბავშვების - როგორც სისხლიან მანტიაში, ასევე გვირგვინით, რომლითაც თავად მაკბეტს შეამკობენ საბოლოოდ. ამ და სხვა სცენებში რეჟისორი იყენებდა წმინდა კინემატოგრაფიულ მანერას, რამაც გამიმძაფრა ის აზრი, რომ თავად ვერდიმ „მაკბეტის“ მოქმედების დაგეგმარე-



ბისას პროფესიონალური კინომონტაჟის ხერხები გამოიყენა. ცხადია, იგულისხმება დღევანდელი გადასახედი, თორემ მაშინ კი ეს რეკოლუციური თეატრალური რეჟიროსული ჩანაფიქრი იქნებოდა უთუოდ.

იტალიური კლასიკური ოპერისათვის არასასურველი რეჟისორული და სცენოგრაფი-

ული მინიმალიზმის მიუხედავად, ვერდის ჩანაფიქრი და მუსიკალური ტილო არ გადასულა მეორე პლანზე. მუსიკალური დრამა იყო თეატრალურად მაინტრიგებელი და ძალზე მიმზიდველი მუსიკალურად. და ეს პირველ რიგში ვერდის უკვდავი მუსიკის დამსახურებაა. მაგრამ ამ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში შემსრულებლებმა არანაკლები როლი ითამაშეს. გარდა იტალიელი ბანისა ფერუჩო ფურლანგეტოსი (ბანკოს პარტიაში), ყველა მომღერალი ჩემთვის უცნობი იყო. მაკბეტის პარტიაში გამოდიოდა პოლონელი ბარიტონი ანდრჟეი დობერი (Andrzej Dobber) - მაღალი, ჩამოსხმული მრგვალსახიანი მამაკაცი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო კარგი ფრაზირებითა და საკმაოდ თანაბარი შესრულებით მთელი ოპერის მანძილზე. მისი ხმა რაღაცით რენატო ბრუზონისა და პიერო კაპუჩინის ნაზავს წააგავდა - ისმოდა ყველა ადგილიდან კარგად და სრულფასოვნად. ეს იყო ტიპური ვერდის ბარიტონალური ხმა. აღსანიშნავია, რომ მისი წლევანდელი რეპერტუარი ზუსტად ვერდის ოპერების ცენტრალური პარტიების შესრულებით არის გაჯერებული როგორც გერმანიის (ჰამბურგი, ბერლინი, მიუნხენი, დრეზდენი) ასევე ვენის საოპერო თეატრებში. მასთან კონტრასტულად ღედი მაკბეტის როლში - რუსი სოპრანო, ტატიანა სერჟანი პირველი აქტის კავატინაში (Vieni! t'affretta), სადაც დეკლამაციის დიდი ნაწილია, სრულად უფეროვნად მომჩვენა, რადგან მისი იტალიური უფრო რუსულს წააგავდა და ვოკალურად არც ისე დამაჯერებელი იყო (ქვედა რეგისტრი მეტად რბილი და ნაკლებად ჟღერადი, ტემბრალურად კი მეცოსოპრანოს წააგავდა, აქა იქ გამოკვეთილი ვიბრატოთი). შემდგომ, ოპერის მსვლელობისას მან გააუმჯობესა შესრულება - მისი დრამატული და დახშული ხმა უფრო ლაღად გაისმა, ტექნიკური ხარვეზებიც არ შეიჩნევოდა. სერჟანი სანკტ-პეტერბურგის „მარიინის“ ოპერის სოლისტია, სადაც ასევე ძირითადად ვერდის ოპერებშია დაკავებული. რიკარდო მუტის ხელმძღვანელობით მან უკანასკნელი წლებია, იტალიის თეატრებში ვერდის ადრეულ ოპერებში წამყვანი პარტიები იმღერა („ნაბუკო“, „ერნანი“, „ორი ფოსკარი“, „ატილა“, „ბრძოლა ლენიანოსთან“). ღედი მაკბეტი მის ერთ-ერთი წარმატებული პარტიად ითვლება.

მაგრამ ვერც ტემბრალურად და ვერც ხმის ექსპრესიით სერჟანი ვერ უახლოვდებოდა

მარია კალასის ან შირლი ვერეტის ინტერპრეტაციას, რომლებიც, ჩემი თვალსაზრისით, სწორად გადმოსცემენ ვერდის ჩანაფიქრს. ორივე ცენტრალური შემსრულებელი არ ანელებდა ტემპს, რომელიც დირიჟორმა ოპერის პრელუდიდანვე შემოგვთავაზა. მაგრამ ზედა ნოტები დიდხანს არ ეჭირათ - ჩემი თვალსაზრისით, ხსნიდნენ ოდნავ ნაადრევად, ვიდრე იტალიურ ოპერას მოუხდებოდა.

ფურლანგეტომ დამაჯერებელი სახე შექმნა, მაგრამ მისმა ხმამ დაკარგა გარკვეული სიმაგრე, განსაკუთრებით ქვედა რეგისტრში. აღსანიშნავია ესპანელი ტენორი ხორხე დე ლეონი (Jorge de Leon), რომელსაც იმპულსური, ემოციური სიმღერის მანერა ჰქონდა და არ გამოირჩეოდა კარგი ლეგატობით, მაგრამ იგი მარტივად აფრქვევდა ზედა რეგისტრის ნოტებს, რადგან სრულიად არ უჭირდა ამ დიაპაზონში. მას ჩინებული პარტნიორობა გაუწია მეორეხარისხოვანი მალკოლმის როლის შემსრულებელმა, ჩინელმა ტენორმა - ჯინხუ ხიაჰოუმ (Jinxu Xiahou). ორივე ეფექტურად გამოჩნდა ოპერის ბოლო აქტში (La patria tradita da Vittoria, Vittoria!). მიუხედავად ხარვეზებისა, რომელიც როგორც რეჟისორულ, ასევე ვოკალურ მხარეს ეხება და, რაც ასე ტრადიციული გახდა ვერდის ოპერების შესრულებისას ევროპის საუკეთესო სცენაზე, სპექტაკლს მაინც გამოვეყოფდი მეარი და სწორი ვოკალური ხაზისა და შეკრულობის გამო. ყოველ შემთხვევაში, მე დიდად კმაყოფილი დავრჩი ამ სასიამოვნო და უცხო საოპერო სპექტაკლის ნახვით და მოსმენით, არასოდეს აქამდე ვერდის „მაკბეტი“ სცენიდან არ მომიხმენია.

P.S. უკვე როდესაც ეს წერილი მზად იყო, მოულოდნელად ხელში ჩამივარდა 2015 წლის ოქტომბრის ვენის სახელმწიფო ოპერაში ვერდის „მაკბეტის“ საპრემიერო წარმოდგენის ვიდეო ჩანაწერი, სადაც იგივე დასი მონაწილეობდა, გარდა მაკბეტის შემსრულებლისა (ჟორჟ პეტეანი) და დირიჟორისა (აღენ ანტილოგლუ). ამან გარკვეულად გაანელა ზოგადი დადებითი შთაბეჭდილება, რადგან სიმონე იანგს ამ ოპერაში უკვე გაწვრთნილი ორკესტრი დახვდა და ტატიანა სერჟანს საპრემიერო დღევა ჩამცხრალი უნდა ჰქონოდა, თუმცა ჩანაწერში მომღერლის იგივე (თუ მეტი არა) ხარვეზი ვლინდებოდა, რაც ზემოთ-მოყვანილ წარმოდგენაში.

მხითხოვლის შემოქმედება

პოეტის გადაგისეული ხილვები

„ჩვეულებრივი ნაწნავებიანი გოგონა ვყოფილვარ, ოღონდ ცოტა ფართოდ მქონდა გახელილი თვალები, ვიდრე სხვებს და ცოტა უფრო სხვანაირად ვხედავდი გარემოს, ვიდრე სხვები“.

ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ ნანა შანიძე, ხულოს რაიონის სოფელ რაქეთაში დაბადებული. მისი ბავშვური ხასიათი ყალიბდებოდა სარეკელას ჭაღის მიდამოში, ალიკარის ჩანჩქერის შხეფებში, დიდიეილას, სამსმელოსა და თეთრობის მთებიდან მონაბერი გრილი ნიავით, რომელიც დედის ნანასავით ჩაესმოდა ფართოთვალეზიან ასულს. ადრე დაოჯახებულს ბედმა ბევრი სიმწარე და ცრემლი არგუნა, თუმცა სიცოცხლისადმი შეუწინაღებელმა წყურვილმა და ღტლ-

ვამ მასში ვერ ჩაკლა ზესწრაფვის ნება. მისი პოეტური სტრიქონების კითხვისას თვალწინ დაგიდგებათ ბედთან დაუმორჩილებელი, ერთი შხედვით სუსტი, მაგრამ სულით ძლიერი არსება, რომელსაც თავისი სამყოფის ცა აქვს, თავისი ხიხანი და ტბელი. ქალბატონი ნანა აქტიურად თანამშრომლობს სოფ. სხალთის ბიბლიოთეკასთან, არის მისი მუდმივი მკითხველი.



ჩემი აზანტენა

...გავდივარ ცხოვრების თამაშიდან,
თქვენ გითმობთ ამქვეყნის არეალებს...
აღარ მსურს,აღარ მწამს,აღარ მინდა,
უბრალოდ დაგმარცხდი-ვაღიარებ...
მივდივარ და მიმაქვს ერთი როლი,
საკუთრივ ჩემეული ჩემი სახე...
ნიღბით შესრულება არის იოლი,
მაგრამ ჩემი როლი?-ვერსად ვნახე...
და მიტომც გავდივარ თამაშიდან,
სხვებს ვუთმობ სცენას და არეალებს.
უბრალოდ მიწაზე აღარ მინდა,
ნურასდროს,ნურასდროს მაღიარებთ!!

შვიდიშარბი...

გია ქურდიძე

მიყვარს სევდა და სევდიანი სევდისფერები...
ზღვა მოლურჯფერო, ცაც...ფიქრებიც სევდადფენილი,
მე შენს არყოფნის სიყვარულსაც შევიფერებდი,
ვით მთის კალთებზე ნისლი სევდად შემოფენილი...
მე ჩემეული მიყვარს სევდა, სევდიანებიც
და შენმიერი სიყვარული-გულისგულამდე...
გთხოვ მაპატიო, რომ გიპოვე შეგვიანებით,
მაგრამ ხომ იცი, აგამაღლე კარგო უფლამდე...
სევდას, სევდა რომ არ რქმეოდა ალბათ სახელად,
ჩემს კუთვნილ ზეცას ავასევდასევდისფერებდი,
შენ კი სევდისთვის მოგიწევდა ტრფობის გამხელა
და შენს სიყვარულს უფრო მეტად შევიფერებდი...

ჩემი საზი და...

სულში ქარიშხალი დადგა,
ახლა რომ ვფხიზლობდე დროა...
ისევ ავირიე,რადგან-
ვატყობ გაორება მოვა.
ხელში შემახეჩეს ისევ,
ზათქით შემალეწეს წარსულს,
ჩემთვის გაუგებარს ვისმენ,
უკან მიბრუნება არ მსურს.
გულში გაყრილი მაქვს ისრად,
წლობით აჩეხილი ვაზი,
მტკივა ჯერაც ისევ,ის რაც-
სულში წყლულებად რომ მაზის.
აქეთ ჩადრიანი გოგო,
იქით ყურსაკიდით ბიჭი,
რომელს ავედევნო-ოღონდ,
ოღონდ გამარკვიეთ მიჭირს!
არ ვესაკუთრები სხვისას
და არც მეხარბება სხვისი,
უნდა,გამეჯიბროს-ვისაც...
ვისი მეშინოდეს,რისი?!
ჩემი საყოფის ცა მაქვს,
ჩემი ხიხანი და ტბელი,
დღემდე მომიყვანა რამაც...
ისევ მამუნათებს მტერი-
რადგან მომახვიოს თავზე
თავის პირფერული ძმობა,
ისევ გადავიტან რამდენს,
მტერი მტერია და მტრობა-
დაღად რომ მაჩნია დღესაც,
ვოხრავ გათანგული წლებით,
ვეღარ მომისყიდი ვერა,
შენი ნაირფერი ძღვენით!

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქველმოქმედო საღამო ცნობილი მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შვილის ნიკა ჩოხელის დასახმარებლად.



□ 19 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ფსიქოლოგიის განვითარების კვლევის ცენტრის“ წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა/დისკუსია თემებზე: „ბავშვი, ოჯახი, სახელმწიფო“. საკითხის გარშემო ისაუბრეს რუსუდან კერვალიშვილმა და ბესიკ მოგველმა.

□ 6 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვედრა გამართა იეზუიტმა მღვდელმა, იტალიელმა მწერალმა და თეოლოგმა ანტონიო სპადარომ. მან ისაუბრა პაპ ფრანცისკეს ვიზიტების მნიშვნელობაზე. სპადარომ 1998 წელს დააარსა კულტურული პროექტი, რომელიც კოორდინაციას უწევს კრეატიული მწერლობის ინიციატივებს. იგი 2002 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ვატიკანის გრეგორიანულ უნივერსიტეტში.

□ 12 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შემოქმედებითმა გაერთიანებამ „ეროვნული იმპერატივი“ და „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა“ გამართეს ღონისძიება „დღე როცა ვერ მოჰკლეს ილია“. ღონისძიებაზე წარადგინეს წიგნი „საუკუნის მკვლელობა - გზა ილიასი“.

□ 13 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ლევან მიქელაძის სახელობის ფონდმა გამართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა თემაზე „სოფლის მეურნეობა

და რეგიონული განვითარება“.

□ 15 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის“ კერძო კოლექციაში არსებული მე-19-20 საუკუნეების გერმანული, რუსული და ოსმალური ეთნოგრაფიული, პოლიტიკური და რელიგიური რუკების გამოფენა.

□ 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა „ქართველ სპორტსმენთა ბიოგრაფიული ლექსიკონისა“ და ალექსანდრე ქურდობაძის წიგნის „მოედანზე არიან ბორჯღალოსნების“ წარდგენა. შეხვედრაზე გადაწყდა სპორტის ბიბლიოთეკის დაარსება ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე.

□ 21 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო აჭარული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები (ცეკვა, სიმღერა, ხალხური რეწვა). ღონისძიების ორგანიზატორი იყო ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.

□ 21 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ფონდმა „იავნანამ“ წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია გამართა. 2016 წლის სასწავლო წელი ნაწილობრივ დაუფინანსდა 27 სტუდენტს, „იავნანას“ სახელობითი სტიპენდია კი შვიდ წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნა.

□ 22 სექტემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის განახლებული მედიათეკის წარდგენა გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, საქართ-



ველოში საფრანგეთის ელჩი პასკალ მენიე, ფრანგული ინსტიტუტის ხელმძღვანელი ჟან-ივ ლაფუარი, განახლებული მედიათეკის სპონსორი გ. რამიშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, გიორგი კეკელიძე.

□ 28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის „ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფიკა. ისტორია, თანამედროვეობა“ წარდგენა. წიგნში წარმოდგენილია ქვაზე ნაკვეთი, მოზაიკური, ფრესკული, ჭედური და ნაქარგი, ასევე ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების ნიმუშები. ქართული დამწერლობის უძველესი დროიდან დღემდე, ასევე ქართული ტიპოგრაფიის განვითარების გზას ვახტანგ VI-ის სასტამბო შრიფტიდან უახლოეს ფონტებამდე.

□ 29 სექტემბერს ღვინის კვირეულის ფარგლებში მარნეულის მუნიციპალიტეტში გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი დაესწრო.



მან მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ ბიბლიოთეკას ეროვნული ბიბლიოთეკისგან საჩუქრად 800 წიგნი გადასცა.

□ 30 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში „საქართველოს ღვინის კლუბმა“ გამართა მალხაზ ხარბედიას წიგნის „ქართული ღვინის გზამკვლევი 2016“-ის პრეზენტაცია (ეს გზამკვლევის მეოთხე გამოცემაა). წიგნის წარდგენა „ქართული ღვინის კვირეულის“ ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო „საქართველოს ღვინის კლუბი“. გზამკვლევი 2012 წლიდან გამოდის; მასში დეტალურადაა მიმოხილული საქართველოს ღვინის რეგიონები. გამოცემაში დახასიათებულია 150-მდე ქართული ღვინო.

□ 6 ოქტომბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გამომცემლობა „ნოტა ბენეს“ წიგნის „ვეფხისტყაოსნის მხატვრობა“ წარდ-



გენა. უნიკალურ საკოლექციო წიგნ-ალბომს ანალოგი არ მოეძებნება ქართულ საგამომცემლო არეალში. მასში სრულყოფილადაა წარმოდგენილი პოემისთვის შესრულებული უნიკალური ილუსტრაციები. ალბომში წარმოდგენილია შემდეგი მხატვრების ნამუშევრები: მ. ხიჩი, ნ. ფიროსმანაშვილი, ლ. გუდიაშვილი, თ. თოიძე, ქ. მატაბელი, რ. ფეტვიაშვილი და სხვები.

□ 24 სექტემბერს ბაღდათის ბიბლიოთეკის მენეჯერის სოსო კოტორეიშვილის მიწვევით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი, ასოციაციის გამგეობის წევრები ინგა ლორია, ციცო ქველიძე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიული განყოფილების უფროსი მანანა სვანიძე-იმყოფელოდნენ იმერეთის რეგიონის სოფლებში: ობჩა, დიმი, რიკოთი-დიდველა, ვარციხე, ხოხი, წითელხევი, ფერსათი და ბოლოს ბაღდათის ბიბლიოთეკა. ნახეს გაუქმებული და მოქმედი ბიბლიოთეკები. ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს დაეხმაროს ბაღდათის ბიბლიოთეკის მენეჯერს სოსო კოტორეიშვილს, სოფლის ბიბლიოთეკების აღდგენაში, ამისათვის ასოციაციის წარმომადგენლებმა გასცეს კონსულტაციები ადგილობრივ თვითმმართველებთან, თუ რა ფორმით და რა საშუალებით შეიძლება ბიბლიოთეკების აღდგენა.

□ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ 10-21 ოქტომბერს საქართველოს პარ-





ლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაატარა ტრენინგი სასწავლო დაწესებულებებისა და რეგიონული ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებისთვის. ტრენინგზე მსმენელებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ბიბლიოთეკის ფონ-

დის დაკომპლექტება, ფონდის განლაგება და ხარისხის მართვა, ფონდების აღრიცხვა, პროექტებისა და საგრანტო განაცხადების წერა, საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა, აღწერილობის საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები, საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია, პრინციპები და სიახლეები, კატალოგების სახეები; საინფორმაციო ტექნოლოგიები და სერვისები; საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობა; საბიბლიოთეკო პროგრამა „ოპენბიბლიო“-ს საფუძვლები; ციფრული ბიბლიოთეკის განვითარება; საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლები და სტანდარტები; ინოვაციური პროცესები საბიბლიოთეკო საქმეში; მკითხველებთან მუშაობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ბიბლიოთეკართა საყურადღებოდ

მოსახრულები ვართ, გაცნობთ კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ინიციატივის შესახებ, რომელსაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ამ წლის მიწურულს განახორციელებს.

მთელი საქართველოს რეგიონული და სასოფლო ბიბლიოთეკების მასშტაბით ჩატარდება ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? რომელშიც მონაწილეობას მე-8-12 კლასების მოსწავლეები მიიღებენ.

თამაშის წინაპირობა მარტივია: 1. მოთამაშე უნდა იყოს კონკრეტულ რაიონში სკოლის მოსწავლე და მე-8-12 კლასელი; აუცილებელია, ჩაწერილი იყოს თავისი რეგიონის/სოფლის ბიბლიოთეკაში.

თამაში ქვეყნის მასშტაბით წარიმართება რამდენიმე ეტაპად. პირველი თამაში ჩატარდება საქართველოს სოფლებში და აბსოლუტურად ყველა სოფელსა თუ ქალაქში დაიწყება ერთსა და იმავე დროს. პირველ ტურში გამარჯვებული გუნდები დაუპირისპირდებიან სხვა გუნდებს რაიონულ შეჯიბრებაში. მეორე ეტაპის თამაში ჩატარდება რაიონული ცენტრების ბიბლიოთეკებში. მასში მონაწილეობას მიიღებენ მოცემული რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკებიდან წარდგენილი პირველი ეტაპის გამარჯვებული გუნდები. თამაში სინქრონული იქნება.

რაც შეეხება მესამე ეტაპს, წინა

ტურში გამარჯვებულები მიიღებენ მონაწილეობას რეგიონულ გათამაშებაში, რომელიც სამხარეო ცენტრებში არსებულ ბიბლიოთეკებში გაიმართება. მასზე დასწრება ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებსაც შეეძლება. ბოლო და ფინალური ეტაპი გაიმართება თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელშიც რეგიონისა და თბილისის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თუკი წინა ეტაპებში შეკითხვების რაოდენობა იქნება 20, ფინალში იქნება - 36.

თამაშის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა ბიბლიოთეკარს დაურიგდება მცირე ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა ჩაერთონ ამ თამაშში, რა როლი ეკისრებათ და როგორ უნდა ჩაატარონ ის. კითხვების მიწოდება





მოხდება თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე, ელექტრონული ან ბეჭდური ფორმატით. რაც შეეხება თამაშის წესებს, მარტივია და როგორც ტრადიციული რა? სად? როდის? თამაში ისე ტარდება. ერთი გუნდი შედგება 6 მონაწილისგან, რომელთაგან ერთი კაპიტანია. კაპიტანი კრებს გუნდს და ირჩევს საბოლოო სწორ პასუხს. წამყვანი სვამს კითხვებს ნელა და გარკვევით. შესაძლებელია კითხვის გამეორებაც. საჭიროების შემთხვევაში, დარიგდება ვიზუალური მასალა. კითხვაზე მოსაფიქრებელი დრო არის ერთი წუთი. ამ ერთი წუთის განმავლობაში გუნდები თავის მაგიდების ირგვლივ ბჭობენ და განიხილავენ ვერსიებს. საბოლოო ვერსიას ირჩევს კაპიტანი. შეკითხვის დასმისთანავე იწყება დროის ათვლა. 50 წამის მერე წამყვანი აცხადებს, რომ დარჩენილია 10 წამი. 10

წამის გასვლის შემდეგ აცხადებს, რომ პასუხის დრო ამოიწურა და გუნდები ვალდებული არიან პასუხის ფურცლები ჰაერში ასწიონ.

კაპიტანი ვალდებულია, ერთი წუთის განმავლობაში პასუხი დაწეროს პასუხის ფურცელზე. ვადაგადაცდენილი პასუხი აღარ მიიღება. პასუხის ფურცელზე უნდა ეწეროს მხოლოდ ერთი პასუხი.

ყოველი სწორად გამოცნობილი კითხვა უდრის ერთ ქულას, არასწორი - ნულს. თამაშის დამთავრების შემდეგ მოხდება ქულების დაჯამება და საბოლოო შედეგის გამოთვლა. თამაშის თემატიკა შეხედულია და კითხვები იქნება წიგნებისა და ლიტერატურის თემაზე.

მონაწილეებისათვის გათვალისწინებულია სიმბოლური საჩუქრები, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართება ფინალის დასრულებისთანავე ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელოთ მკითხველებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის.

*საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ჟურნალის რედაქცია*

ნაქროლოგი

წარმატებული მოღვაწეობის შეწყვეტილი ნაბიჯები

2016 წლის 2 სექტემბერს შეწყდა სოციალურ საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი დიდოსტატი, მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი, საქმის უბადლო ორგანიზატორის, თავდადებული მოღვაწის, შრომის ვეტერანის, დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ყოფილი გენერალური დირექტორის - ციალა კალმახელიძისა.

საბიბლიოთეკო დარგში კარგადაა ცნობილი მისი სახელი. მისი ურთიერთობა არა მარტო ქსელში მოღვაწე თანამშრომლებთან, არამედ მთელი საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოებასთან, უდავოდ მისაბაძი მაგალითია. მას თითქმის ყველა იცნობდა, აფასებდნენ, პატივისცემით იყვნენ გამსჭვალნი

მის მიმართ. განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, კოლეგებთან. დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდების საბიბლიოთეკო სფეროში ჩაბმის საქმეს.

ციალა კალმახელიძემ დიდი და სასახელო გზა განვლო. დაიბადა 1939 წლის 13 აგვისტოს, რაჭის უმშვენიერეს სოფელ ჟამქვაში, სადაც ბავშვობის წლები გაატარა. ცნობილია, რომ ეს ხანა მთელი ქვეყნისთვის უმძიმესი და რთული იყო, რასაც ბოლოს მეორე მსოფლიო ომიც დაერთო. მისი ცხოვრებაც სავსე იყო წინააღმდეგობებით, ბრძოლითა და დაუღალავი შრომით.

1965 წელს დაამთავრა თბილისის პუშკი-

ნის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი ისე, რომ შრომითი საქმიანობისათვის თავი არ გაუნებებია. გამოირჩეოდა წარმატებული სწავლით, მონდომებითა და დისციპლინით. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა ის წარმატებები, რაც მისი მოღვაწეობისთვის არის დამახასიათებელი.

ჯერ მუშაობდა თბილისის შიომღვიმელის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში, შემდეგ კრუპსკაიას სახელობის მასობრივ ბიბლიოთეკაში. 1975 წელს გადაყვანილ იქნა თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდისტად. შრომისმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი მალე დააწინაურეს დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგედ, ხოლო 1981 წელს იგი მთელი სისტემის მასშტაბით ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. 1989 წელს ერთხმად აირჩიეს სისტემის დირექტორად, სადაც თითქმის 25 წელი იღვაწა. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით მრავალ სიახლეს ჩაეყარა საფუძველი; ბიბლიოთეკამ არნახულ წარმატებებს მიაღწია.

ციალა კალმახელიძე იყო რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი; მინიჭებული ჰქონდა შრომის ვეტერანის წოდება; იყო პირველი ბიბლიოთეკარი, რომელსაც საპატიო თბილისელის წოდება მიანიჭეს.

ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დაარსების 100 წლისთავზე მერიამ ის „ქართული კულტურის ამბგდარის“ სიგელითა და მედლით დააჯილდოვა, ასევე გადაეცა „ქართული კულტურის დესპანის“ სიგელი და მედალი. მიუხედავად ამისა, იგი არასოდეს უსვამდა ხაზს თავის ამგვარ აღიარებას. ახასიათებდა უადრესი თავმდაბლობა, გამოირჩეოდა ენერგიული, დაუღალავი შრომის უნარით, დაუოკებელი სურვილით - გაეუმჯობესებინა მთავარი ბიბლიოთეკისა და მთელი სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი დიდი მონდომების შედეგი იყო ის, რომ 2006 წელს მთავარ ბიბლიოთეკას ახალი შენობა გადაეცა, რომელიც დროთა განმავლობაში საუკეთესო, სანიმუშო საბიბლიოთეკო ნაგებობად იქცა.

განსაკუთრებით ზრუნავდა მოსახლეობასთან - მკითხველებთან ურთიერთობის პირობების გაუმჯობესებაზე, მომხმარებლის

მომსახურების რაციონალურობაზე, ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებით განვითარებაზე.

ციალა კალმახელიძე იყო ჩუმი, თვითრეკლამის გარეშე მოღვაწე ხელმძღვანელი. მუდამ ხელს უწყობდა მშობლიური ქვეყნის კულტურის დონის ამაღლების საქმეს. საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მისი დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნა: „...ქალბატონი ციალა საოცარი გულშემატკივარია ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურისა“.

ც. კალმახელიძე მთელი 3 თვის განმავლობაში უანგაროდ ზრუნავდა აფხაზეთის ომში დაჭრილ მეომრებზე, ბევრი დევნილი დაასაქმა და ამით ხელი შეუწყო მათ ღირსეულ არსებობას. მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოინახა თანხები და შენობა, პატარა „სათნოების სახლი“ გახსნილიყო მარტოხელა, მიუსაფარი მოხუცი ბიბლიოთეკარებისთვის.

მან თავისი ხელფასიდან 500 ლარი ჩარიცხა რუსთაველის თეატრის რესტავრაციის ფონდში. მერიას 800 ლარი გამოაყოფინა ჯარის ნაწილების წიგნებით მომარაგებისთვის და მუდამ ასეთ მზრუნველობას უწევდა მათ: ხელს უმართავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში წიგნების მიწოდების საქმეს; 2007 წელს მშობლიურ სოფელ ჟაშქვაში ეკლესიის აგებისათვის მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია. საერთოდ, იგი გამოირჩეოდა როგორც ქველმოქმედი, ყველას მიმართ კეთილგანწყობითა და სათნოებით, მაგრამ ამავე დროს იყო საკმაოდ მკაცრი მომთხოვნიც, თუმცა არასოდეს დალატობდა ზომიერების გრძნობა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მის შესახებ მრავალი სტატია, წიგნი და ბროშურა იქნა გამოქვეყნებული, რაც ნათელჰყოფს მის უშრეტ ენერგიულ მოღვაწეობასა და ჰუმანურობას.

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, მოქალაქე, პროფესიონალი, მართვისა და ხელმძღვანელობის ნამდვილი დიდოსტატი, კეთილშობილი ადამიანი, კოლეგა და ძვირფასი მეგობარი. მისი ნათელი სახე ჩვენში ყოველთვის გამოიწვევს მისდამი პატივისცემის გრძნობას.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა
ქურნალის რედაქცია



